# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 29 ივნისი 2000 №122 (1144) | ფასი 50 თეთრი


ავთანდილ სვანიძე

*ლონდონიდან*



# არა იცრუო, ქენია!

## ლაბაძე სანჩესს ჩააბარეს, ფილიპუსისი — ბეკერს

### არ დაიჯერო

თუ ტოტალიზატორში ყველაზე უაზრო ფსონებს გინდათ ჩახვიდეთ და, სახლი თუ არა, მანქანა მაინც წააგოთ, იყიდეთ „სარბიელი", გადაშალეთ ჩოგბურთის გვერდზე და მიენდეთ ჩემს პროგნოზებს. მერწმუნეთ, სანადელს სულ იოლად და მაქსიმალური დანაკარგებით აისრულებთ.

არა, მადლობის თქმა საჭირო არ არის.

ჩემს მიერ ნაძაგები მინერალური წყლის ფირმა „პერიე" პრესცენტრში შედეგების გამოსაცნობ კონკურსს ატარებს. ის ჟურნალისტი, ვინც ორი კვირის განმავლობაში ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს, პორტატული კომპიუტერით დაჯილდოვდება, მეორე-მესამე ადგილებზე გასულები — ერთი ცისტერნა წყლით. ხომ გითხარით, არ დაიჯეროთ-მეთქი.

ორშაბათს ანა კურნიკოვა — სანდრინ ტესტიუს შეხვედრაში თქვენმა მონა-მორჩილმა გამარჯვება ამ უკანასკნელს უწინასწარმეტყველა, მაგრამ პირიქით კი მოხდა. სამშაბათს დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს მიერვე ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად შერაცხული ლეიტონ ჰიუიტი მუდმივად პერსპექტიულ ამერიკელ ჟანმაიკლ გემბილს (მეტსახელად „ჰოლივუდი") გაანადგურებდა.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



REUTERS ლონდონიდან

ლეიტონ ჰიუიტი



REUTERS ბრიუსელიდან

მარსელ დესაი (№8), დიდიე დეშამპი (№7) და ოქროს გოლის გამტანი ზინედინ ზიდანი

# საფრანგეთი ზიდანია!

## ზიზუს ოქროს პენალტმა მსოფლიოს ჩემპიონი ფინალში გაიყვანა

UEFA EURO 2000

ნახევარფინალი

| | |
|---|---|
| საფრანგეთი | 2 |
| პორტუგალია | 1 |

იხილეთ მეორე-მეხუთე გვერდები

# ხელია!

ბრიუსელი
28 ივნისი
23.45 საათი
მეფე ბოდუენი
50 000 (ტევადობა 50 000)

**საფრანგეთი 2:1დ.დ. პორტუგალია**

ძირითადი დრო 1:1

0:1 ნუნუ გომეში (19), 1:1 ანრი (51), 2:1 ზიდანი (117პ, ოქროს გოლი)

**საფრანგეთი:** ბარტეზი, ტურამი, ბლანი, დესაი, ლიზარაზუ, ვიეირა, დეშამპი, ზიდანი, პეტი (პირესი 87), ანრი (ტრეზეგე 105), ანელკა (ვილტორდი 72)

**პორტუგალია:** ვიტორ ბაია, აბელ შავიერი, ფერნანდო კოუტუ, ჟორჟე კოშტა, დიმაში (რუი ჟორჟე 91), სერჟიუ კონსეისაუ, ვიდიგალი (ბენტუ 61), რუი კოშტა (ჟოაუ პინტუ 78), კოშტინია, ფიგუ, ნუნუ გომეში

გაფრთხილება: ვიეირა, დესაი, ვიდიგალი, ფიგუ, ჟორჟე კოშტა, დიმაში, ჟოაუ პინტუ

გაძევება: ნუნუ გომეში (117)

მსაჯი: გიუნტერ ბენკო (ავსტრია)

*კარისკენ დარტყმა: 9-2; კარში დარტყმა: 6-4; ჯარიმა: 22-29; კუთხური: 11:3; თამაშგარე: 5:1*

ილია ბაბუნაშვილი
ბრიუსელიდან



ამ სიტყვების ავტორი მოედნის ცენტრიდან უფრო იმ კარისკენ იჯდა, სადაც მთავარი დრამა დატრიალდა.

— ხელია — წამოვიძახე უნებურად.

— ხელია — წამოიძახეს ჩემს გარშემო მსხდომმა ათასი ჟურის კოლეგებმა.

ჩვენგან ასე ჩანდა, ავსტრიელმა მსაჯმა გიუნტერ ბენკომ კი კუთხურისკენ მიუთითა. ის მოედანზე უფრო შუისკენ იყო. სულო ცოდვილო და, ქართულად ვიფიქრე, მსაჯებიც ადამიანები არიან, რომც შეემჩნია, დამატებითი დროის მიწურულს გუნდს არ გაიმეტებდა-მეთქი, მაგრამ უეცრად თვალში სლოვაკი თანამსაჯის იგორ სრამკას ალმართული ალამი მეცა. იგიც ჩვენი მხრიდან, ოღონდ გაცილებით ახლოდან უცქერდა პორტუგალიელთა მეკარის, ვიტორ ბაიასგან მარცხენა ძელთან მომხდარ ეპიზოდს. ბენკო სრამკასკენ გაეშურა, რა მოხდაო, ჰკითხა და...

პენალტი!

პორტუგალიელები ჭკუაზე შეიშალნენ. ძირითადის მოთამაშეები, სათადარიგოები, ყველანი საჩხუბრად გაიწიეს. ერთადერთმა მწვრთნელმა, უმბერტუ კოელიუმ შეინარჩუნა საღი აზრი და ცხელ წერტილში გასაშველებლად, თავისი ბიჭების დასაწყნარებლად მივიდა. მოგვიანებით მას დიდმა ეუსებიომაც აუბა მხარი, მაგრამ ამას დრო დასჭირდა.

ლუიშ ფიგუმ მაისურა გაიხადა და მოედნიდან გავიდა. სათადარიგოთა სკამთან ვიღაც თავისიანს, აზრი არაფერს აქვსო, უთხრა. ხელი ჩაიქნია.

პრეს-ლოჟაში ტელევიზორებია დაკიდებული. მართალია, ეკრანი ცხვირწინ არ მქონდა, მაგრამ გამეორებებს შეძლებისდაგვარად დავაკვირდი.

— ხელი იყო — ვთქვი შედარებით შორეული ხედით გამეორებისას.

— ხელი იყო — თქვეს კოლეგებმა.

— არ ვიცი — ვთქვი, როდესაც კადრი ახლო ხედით გაიმეორეს. ყველაზე საინტერესო ადგილს რომელიღაც ფეხბურთელი ეფარებოდა. კოლეგებმა ხელები გაშალეს. თითქოს... თუმცა...

თუმცა თქვენ, ვინც ეს მატჩი ტელევიზორში ნახეთ, ეჭვი არაა, მომენტი ჩემზე უკეთ და გაცილებით მეტჯერ, სხვადასხვა რაკურსით გაქვთ ნანახი.

...აბელ, აბელ. შენ მოკალი ძმები. დიახ, სილვენ ვილტორდის მიერ უმახვილესი კუთხიდან ძელთან დარტყმული ბურთი ქერად შეღებილი აბელ შავიერის სხეულის რომელიღაც ნაწილს მოხვდა და ეს ნაწილი იმ მხარეს, სადაც ჩვენ ვისხედით, ხელად ალიქვა. ასევე ალიქვა ჩვენს მხარეს, ოღონდ გაცილებით ახლოს მდგომმა სრამკამ.

პენალტი ზინედინ ზიდანმა გაიტანა. ეს ოქროს გოლი გახლდათ, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონი ევროპის ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა.

მანამდე კი იყო ქანცის გამწყვეტი 117 წუთი — „მეფე ბოდუენი“ ფრანგებსაც და ასევე პორტუგალიელებსაც, დაუნდობელი გამოცდით შეხვდა. ასეთი გახლდათ დიდიე დეშამპის მეასე შეხვედრა ეროვნული გუნდის შემადგენლობაში. ასეთი გახლდათ ფაბიენ ბარტეზის დღეობა, ასეთი გახლდათ ევრო 2000-ის პირველი ნახევარფინალი, გამეორება 16 წლის წინანდელი ნახევარფინალისა, რომელშიც საფრანგეთმა და პორტუგალიამ ასევე დამატებითი დროის მიწურულს გაარკვიეს, რომ ფინალისტი საფრანგეთი იყო.

პირველი ტაიმი შედარებით ფრთხილი იყო. სიფრთხილეს მომავალ გამარჯვებულთა შემადგენლობის წინასწარი გაცნობაც მოასწავებდა — იური ჯორკაეფის ნაცვლად ემანუელ პეტი.

მაგრამ თანდათან სურათი შეიცვალა, რაშიც დიდი როლი, ცხადია, პორტუგალიელთა გოლმა ითამაშა: მე-19 წუთზე კონსეისაომ ბურთის ფლობით მეტოქე მცველთა ყურადღება მიიპყრო და ბურთი ნუნუ გომეშს გადააწოდა. გომეშმა წამით ისარგებლა და ოსტატურად გაუტანა იუბილარს.

შესვენებამდე ფრანგების თამაშს ერთი დიდი ნაკლი ახლდა — ნახევარმცველები თავდასხმასა და დაცვას შორის სწრაფად ვერ მოძრაობდნენ, რის გამოც გუნდი ხშირად გაწყვეტილს ჰგავდა.

შესვენების შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონთა მოქმედება უფრო სწრაფი გახდა და, რაც უფრო მთავარია, ბრწყინვალედ ათამაშდა ის, ვისაც ეს შეუძლია და ვისგანაც ამას მოითხოვენ — ზინედინ ზიდანი.

თუმცა მარჯვენა ფრთიდან წამოწყებულ საგოლე შეტევაში ზიდანს მონაწილეობა არ მიუღია.

შემდეგ კი მომენტებმაც იმატა, იმატა ინტრიგამაც. გოლმა კი დაცდა ამჯობინა და ბოლოს, 117-ე წუთზე

— ხელია!



ორი სუპერვარსკვლავის, ფრანგი ზინედინ ზიდანის (№10) და პორტუგალიელი ლუიშ ფიგუს დუელში მსოფლიოს ჩემპიონმა გაიმარჯვა



კუთხურისას პორტუგალიელი აბელ შავიერის (№14) თავური ფრანგმა ფაბიენ ბარტეზმა (№16) მოიგერია

## მატჩის შემდეგ

როგორ ხასიათზე იქნებოდა **უმბერტო კოელიუ** მატჩის შემდეგ, ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. ცხადია, 117-წუთიანი შეხვედრის მსვლელობა მეორეხარისხოვან ამბად იქცა, ყველას იმ საბედისწერო (ვისთვის როგორ) პენალტის კოელიუსეული შეფასება აინტერესებდა.

„აბა, რა უნდა ვთქვა, ის მომენტი კარგად ვერ გავარჩიე. ვილტორდმა ძალიან ახლო მანძილიდან დაარტყა და შავიერმა ხელის გაწევა ალბათ, ვერ მოასწრო, უნებლიეთ მოხვდა. მერე კი მხოლოდ მსაჯის გადასაწყვეტი იყო, პენალტს დანიშნავდა თუ არა. გული მწყდება, რომ მატჩის ბედი ასეთმა შემთხვევამ განსაზღვრა. თუმცა ვაღიარებ, თერთმეტმეტრიანი მეტოქის კარში რომ დანიშნულიყო, გამეხარდებოდა.

ჩემი ნაკრებში მუშაობა კი ამით დასრულდა. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა. გუნდი მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უნდა მოემზადოს და მწვრთნელიც ახალი სჭირდება. ვინ იქნება ჩემი მემკვიდრე, არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, წარმატებას ვუსურვებ“ — ამ სიტყვებით 70-იანი წლების ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ლიბერო და პორტუგალიის ნაკრების აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი (თუმცა, ჯერჯერობით არაოფიციალურად) უმბერტო კოელიუ ჟურნალისტებს და ევრო 2000-ს დაემშვიდობა.

აი, **როჟე ლემერისთვის** კი დამშვიდობება ნაადრევია. ის კმაყოფილებასაც არ მალავს, თუმცა უშუალოდ მატჩზე არაფერს ამბობს, გიუნტერ ბენკოს ქებით კი ვერ ძღება: „დიდებული მსაჯობა იყო. ასეთ მომენტში პენალტის დადებას ბევრი ვერ გაბედავდა. ბენკო კი წესების ერთგული დამცველი აღმოჩნდა. მცველმა ხელით ითამაშა და რა მნიშვნელობა აქვს, პენალტს „ოქროს გოლი“ მოჰყვებოდა თუ არა“.

**ზინედინ ზიდანი** გაგაოცებს. თამაშის დასრულებიდან რამდენიმე წუთში ის უკვე პრესკონფერენციაზე იყო, შუალედში კი ტანსაცმლის გამოცვლა და რაც მთავარია, იმ მომენტის ვიდეოჩანაწერის ხილვაც მოუსწრია.

„ხელით თამაში არ შემინიშნავს, მაგრამ ჩანაწერი ვნახე და აშკარად გამოჩნდა. პენალტი როგორ დავარტყი? კუთხის არჩევაზე არ მიფიქრია. ვიცოდი, რომ ძალიან ძლიერად უნდა დამერტყა, დანარჩენი კი თავისთავად მოხდა“.

## მატჩის სტენოგრამა

19 — დიდიე დეშამპი სერჟიუ კონსეისაუსთან ბრძოლაში შეცდა, ბურთი საჯარიმოს სიახლოვეს ნუნუ გომეშს მიუვიდა და ამანაც შეუჩერებლივ ერთობ ლამაზი გოლი გაიტანა — 1:0.

30 — ნიკოლა ანელკა პორტუგალიელთა საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ მეკარე ვიტორ ბაიას ვერ აჯობა.

36 — ზინედინ ზიდანის ფინტების ფოიერვერკს ტიერი ანრის დარტყმა მოჰყვა, ბურთმა ხარიხას გადაუფრინა.

43 — ზინედინ ზიდანის ძლიერი შორეული დარტყმა ბაიას კარს ოდნავ ასცდა.

51 — ტურამი — ანელკა — ანრის სწრაფი კომბინაცია და 1:1.

58 — ემანუელ პეტის კუთხური: მარსელ დესაიმ ჟორჟე კოშტას საჰაერო დუელი მოუგო და ეფექტური თავურიც გამოუვიდა, ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

87 — მოწინააღმდეგის საჯარიმოში მყოფმა ნუნუ გომეშმა მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი დაუხვედრა და ჟოაუ პინტუს დაუგორა, მაგრამ ეს უკანასკნელი მცველთან ჭიდილში ბურთს ველარ შესწვდა.

90 — ჯარიმა მარჯვნიდან: ლუიშ ფიგუს ჩაწოდებულ ბურთს აბელ შავიერმა თავი მძლავრად დაჰკრა, მაგრამ ფაბიენ ბარტეზმა ჩინებული რეაქცია გამოავლინა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

90 — ტიერი ანრი პორტუგალიელთა საჯარიმოში შეიჭრა, კარის გასწვრივ ჩააწოდა, მაგრამ იქ ფრანგთაგან არავინ იყო.

91 — რობერ პირესის მარცხნიდან ჩაწოდებულ ბურთს, ლორან ბლანმა თავური შეაგება, მაგრამ კარს ააცილა.

97 — რობერ პირესის კუთხურს ისევ ლორან ბლანის თავური მოჰყვა. კვლავ უშედეგოდ.

110 — ლუიშ ფიგუს პასი და ჟოაუ პინტუს დაახლოებით 30 მეტრიდან ძლიერად ურტყამს, ბურთი სულ ოდნავ სცდება კარს.

115 — სილვენ ვილტორდისა და დავიდ ტრეზეგეს კომბინაცია ვიტორ ბაიამ მოიგერია, ბურთი ისევ ვილტორდმა დაიბრუნა და მისი დარტყმული აბელ შავიერმა ხელით მოიგერია კუთხურზე. პენალტი.

117 — თანამსაჯთან მოლაპარაკებისა და პორტუგალიელებთან დავის შემდეგ, მსაჯმა გიუნტერ ბენკომ პენალტი მაინც დანიშნა. ზინედინ ზიდანის გამორბენი და ოქროს გოლი პორტუგალიელთა კარის მარცხენა მაღალ კუთხეში — 2:1.



დღეს შეიძლება ყველაფერი მოხდეს... ფრანკ რაიკარდის ემოციური მრავალსახეობა ნახევარფინალამდე

# ზეიმი, ფიქრი, ეჭვი, ქვა, ფურცელი და მაკრატელი



ილია ბაბუნაშვილი

ბრიუსელიდან

მთლად სანაყინეც არ იყო, კიდევ ბევრი რამ იყიდებოდა, მაგალითად, კოკა-კოლა, რაღაც საჭმელი და რაღაც სხვა სასმელი. თუ გნებავთ, კაფე დავარქვათ, პატარა კაფე, სადაც დახლს უკან მდგომს თუ არ ჩავთვლით, დიდი-დიდი ხუთი ადამიანი დატეულიყო, მაგრამ იმ წუთას ოთხნი იყვნენ, იტალიელები. ერთი მთავარი გახლდათ, რიხიან ლაპარაკზე ეტყობოდა. ის სამი მოკრძალებით, მაგრამ ეკამათებოდა. რაზე? რაზე შეიძლება იკამათოს... იკამათოს კი არა, ისაუბროს, იჩურჩულოს ოთხმა იტალიელმა. ცხადია, ფეხბურთზე.

თქვენი მონა-მორჩილის იტალიური სრულიად საკმარისი გამოდგა ერთი წინადადების მისახვედრად: ჰოლანდია ჯგუფიდან კოლინამ გაიყვანა. გაიხსენეთ პენალტი ჩეხეთთან — მასწავლებლური ტონით განაცხადა რიხიანმა. ძალიან ტევადი იყო მისი ინტონაცია და ჟესტიკულაცია. ცალკე თითქოს ჰოლანდიის ნახევარფინალისტობას სულ პირველი შეხვედრის გამო ეჭვქვეშ აყენებდა, ცალკე მსაჯობის დონეს თუ ტენდენციურობას უსვამდა ხაზს და თან კოლინას გვარი ისე გამოთქვა, მიხვდებოდით, ფეხბურთში მთავარი მაინც იტალიაა. დიახ. თვით გაკრიტიკებული მსაჯიც „რეფერი აძურაა". არა, ბიჭო...

მაგრამ, რაც უნდა ამტკიცოს ამ კაცმა, ყველაფერი, უფრო სწორად კი ევრო 2000-ის მეორე ფინალისტი დღეს გაირკვევა. „ამსტერდამ არენაზე" სწორედ ჰოლანდია — იტალიაა.

„არ არის სწორი, ასე ლაპარაკი ცუდია" — გაასავსავა ხელები ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა, როდესაც კარგად მოისმინა, რას ლაპარაკობდნენ მისი თანამემამულეები ქუჩაში, პარკებში, შინ, გარეთ, ზემოთ, ქვემოთ... ისინი ამბობდნენ — ესე იგი, ფინალში საფრანგეთი ან პორტუგალია გვხვდება. რაიკარდს, ეტყობა, გული გაუსკდა, ვაითუ საფრანგეთი ან პორტუგალია ფინალში იტალიას შეხვდესო და:

„დაივიწყეთ მეოთხედფინალი და იუგოსლაველებთან გამარჯვება, რომელიც დღეს უკვე აღარაფერს ნიშნავს. ფინალამდე ძალიან შორია, რადგან ჩვენ უკიდურესად ძლიერი მოწინააღმდეგე გველის".

თუმცა ზეიმი ზეიმია. ანკი რა გაემტყუნებათ ჰოლანდიელ ქომაგებს? ევრო 2000 მათ სამშობლოში ტარდება, გუნდი ჩინებული ჰყავთ. ნახევარფინალი და ფინალიღაა დარჩენილი.

თავის მხრივ რაიკარდისაც სრულიად გასაგებია. ერთი სიტყვით, ყველა თავის საქმითაა დაკავებული — გულშემატკივარი ბედნიერია და ამას გამოხატავს, რაიკარდი მუშაობს და ღელავს, ტელევიზია კი ყველაფერს ძალიან ლამაზად ასახავს ეკრანზე.

აი, აქ კი მინდა უზუსტობისთვის ბოდიში მოვიხადო: ერთი ხნის წინანდელ რეპორტაჟში ჰოლანდიური ტელევიზიის გადაცემა, რომელსაც მხოლოდ ის ნაკლი აქვს, რომ ჰოლანდიურადაა, „ნარინჯის კლუბად" მოვიხსენიე მაშინ, როდესაც „ნარინჯის სახლი" ჰქვია, რაც მათებურად ასე ჟღერს: „ჰუის ვან ორანიე". ეს სახლი ნახევარფინალის წინ საუცხოოდ გამოხატავს საერთონიდერლანდურ განწყობილებას, ხალისს, ზეიმს. რაღაც განსაკუთრებულის მოლოდინს და ასე შემდეგ. ვის არ ნახავთ ამ გადაცემაში, რინუს მიხელსით დაწყებული, მსაჯ დიკ იოლით დამთავრებული ყველა „ჰუისის" სტუმარია და ბევრს ხუმრობს.

დინო ძოფს კი სერიოზულად ყოფნა უჯობს. კაცმა რომ თქვას, „სკუადრა აძურას" თავკაცი დიდად მხიარული ადამიანის შთაბეჭდილებას არასდროს ახდენდა, ახლა კი, როდესაც ფინალამდე ერთი, მაგრამ უძნელესი ნაბიჯიღა დარჩა, იგი საგანგებოდ თავ და ფიქრმოყრილია. ერთი შეხედვით, რაც ბელგია-ჰოლანდიაში ჩამოვიდა, პაპა დინო თანამემამულე ჟურნალისტთა კრიტიკას გადაურჩა, რადგან ამხანაგური მატჩებისგან განსხვავებით, იტალიის ნაკრები ევრო 2000-ზე ჩინებულად და თან მატჩიდან მატჩამდე უკეთ და უკეთ თამაშობს, მაგრამ ეს ხომ საკმარისი არაა.

რა შეიძლება მოხდეს დღეს? ყველაფერი. მართალია, ჰოლანდიის ნაკრები ძლიერი გუნდია და თან მასპინძელი, მაგრამ იტალია კერკეტი კაკალია, ძალიან კერკეტი.

ჰოლანდიელთა სიძლიერე, მე თუ მკითხავთ, კომბინაციათა ქსოვაშია, რასაც ნარინჯისფერი მოთამაშეები საუცხოო ტექნიკის წყალობით ისე ასრულებენ, რომ ნებისმიერ მეტოქეს უჭირს წინააღმდეგობა. რომ გგონია, პასს ჩავუჭრიო, მავანი ჰოლანდიელი ბურთს სხარტად, თან ერთადერთხელ შეეხება და შეტევა უკვე საჯარიმოში გრძელდება, სადაც პატრიკ კლუივერტია ჩასაფრებული. ხოლო გოლის გასატანად არც კლუივერტს სჭირდება დიდი წვალება და არც დენის ბერხკამპს. ისინი ნებისმიერი პოზიციიდან დაარტყამენ გნებავთ, ზემოთ, გნებავთ ქვემოთ, თავით, ტერფით, ქუსლით...



დინო ძოფი — მუდამ შუბლშეკრული, იერუცვლელი

იტალიელთა კოზირი კი სწორედ კომბინაციათა ჩაშლის უნარი და სწრაფი კონტრშეტევაა. „სკუადრა აძურაში" თანაგუნდელის დაზღვევა არავის ეშლება და მოწინააღმდეგენი ხშირად „სადაზღვევო ქსელში" ისე ებმებიან, როგორც მტრის რიგებში ღრმად შეჭრილი ჯარისკაცები ომის დროს. შემდეგ კი არიან დემეტრიო ალბერტინი, სტეფანო ფიორე თუ ფრანჩესკო ტოტი, რომელთაც 20-30 მეტრიანი პასით ნებისმიერ წამს შეუძლიათ ფილიპო ინძაგის ან სხვა ლურჯფორმიანის ხელსაყრელ პოზიციაზე გაყვანა.

ერთი სიტყვით, დღეს კონტრასტულ ფილოსოფიათა ბრძოლაა. ჰოლანდია მოქსოვს თუ იტალია დაარღვევს და მეხსაც დასცემს.

გახსოვთ ის თამაში, ხელით მაკრატელი, ქვა ან ფურცელი რომ უნდა გამოსახოთ? თუ თქვენ მაკრატელი გააკეთეთ, მოწინააღმდეგემ კი ფურცელი — თქვენ მოიგეთ. თუ მან მუშტი შეკრა ანუ თქვენს მაკრატელს ქვა დაუხვედრა — წააგეთ, ხოლო ფურცელი ქვას ფარავს და ამარცხებს.

ჰოლანდია — იტალია, შესაძლოა ამ თამაშს დაემსგავსოს.

*საფრანგეთ — პორტუგალიის მატჩში ზიდანი — ფიგუს და სხვა წყვილების ორთაბრძოლებს ველოდით. დღეს კი ამსტერდამულ მინდორზე იტალიურ-ჰოლანდიურ დუელთა ჯერია. ერთნი შეუტევენ, მეორენი თავს დაიცავენ. მოკლედ, კარგი სანახაობა გველის.*

# თამაში თამაშში: დაჭერობანა გამარჯვების ნახევარია

### ნესტა და კლუივერტი





შეხედავ ალესანდრო ნესტას თამაშს და მიხვდები, რომ ის თანამედროვეთაგან ერთ-ერთი საუკეთესო მცველია. თუ წლეულს ლაციოელთა მოპოვებულ სკუდეტოზე ვისაუბრებთ, მათი კაპიტნის წვლილზეც უნდა ვთქვათ. მოგებული საჰაერო ორთაბრძოლები, პირისპირ თამაშისას გადაულახავი ბარიერი, ცენტრის გარდა ფლანგების საიმედო დაცვა — ეს ყველაფერი ნესტას ეხება.

ვარჯიშზე დინო ძოფს შეგირდებისთვის უთქვამს, ჩვენი მთავარი ამოცანა კლუივერტის ამოკეტვააო. ეს მითითება უპირველესად ნესტას ეხება. შეძლებს კი იმის გაკეთებას, რაც მისმა ლაციოელმა მეგობარმა სინიშა მიხაილოვიჩმა ვერ მოახერხა? პატრიკ კლუივერტი ამოუცნობი ფეხბურთელია, წინასწარ არასდროს იცი, რას მოიმოქმედებს, ეგებ სულაც არ წაუვიდეს თამაში. მაგრამ ისე თუ გაისარჯა, როგორც იუგოსლავიასთან, ნესტას თავის მარაგში არსებული ყველა საიდუმლო იარაღის გამოყენება მოუწევს.

### ინძაგი და სტამი





ერთი წლის წინ „იუვენტუსი" და „მანჩესტერი" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. გეხსომებათ, მაშინ ტურინში „მანჩესტერმა" მასპინძლებს 3:2 სძლია, თუმც ჩვენთვის საინტერესო უფრო ის არის, რომ წაგებულთაგან ორივე გოლი ინძაგიმ გაიტანა, ხოლო სტუმართაგან მისი შეჩერება იაპ სტამს ევალებოდა.

ინძაგიმ დღესაც ორი გოლი თუ გაიტანა, აბა, ეგ ყოფილაო, ვიტყვით, თუმც საეჭვოა, ასე მოხდეს. სტამი იმუქრება, თუ ბიჭია, ახლაც მაჯობოსო. ისე, როგორი სანახავი იქნება წარბზე ნაკერებდადებული ბრგე ჰოლანდიელი და ჰაეროვანი ინძაგი, მეტოქის ოდნავ შეხებაზე რომ იქცევა. თურქებმა ეს არ იცოდნენ, სტამმა კი იცის — პიპოსთან ფრთხილად თუ არ იქნება, გაგორდება და ვინძლო პენალტსაც გამოჰკრას ხელი.

### ალბერტინი და დავიდსი





ვისაც ფეხბურთის არაფერი გაეგება, მაგრამ ჰოლანდიის ნაკრების თამაშისთვის თვალი მოუკრავს, უპირველესად ედგარ დავიდსი დაამახსოვრდება, გარეგნობა აქვს ისეთი. ქომაგები კი მას სხვა მიზეზების გამო გამოარჩევენ.

აქეთ კიდევ დემეტრიო ალბერტინია, ნაკლებად დასამახსოვრებელი იერით, მაგრამ არანაკლებ დასამახსოვრებელი თამაშით. მოედნის შუაგულში მათი გარჯა მატჩის ბედზე დიდად იმოქმედებს. დავიდსის და ალბერტინის შუღლი ახლა არ დაწყებულა — იტალიიდან გამოჰყოლიათ. აბა, იუვენტუსელი და მილანელი ფეხბურთელები ერთმანეთს ალმაცერად უყურებდნენ, რა გასაკვირია.

### მალდინი და ოვერმარსი





სამი დღის წინ პაოლო მალდინის 32 წელი შეუსრულდა. ეს ფეხბურთელისთვის მცირე ასაკი როდია, მაგრამ ვინ იტყვის, იტალიელთა კაპიტანი ძველებურად ვერ თამაშობსო?

და მიუხედავად იმისა, რომ მალდინიმ დაბადების დღე საავადმყოფოში, რენტგენის აპარატთან გაატარა (მან ფეხი აიტკივა, მაგრამ სურათმა აჩვენა, რომ მყესების ტრავმა მოსალოდნელზე ნაკლებ საგანგაშო აღმოჩნდა), იტალიელთა დაცვის მარცხენა ფლანგი უიმისოდ ძნელი წარმოსადგენია, მით უმეტეს, რომ იტალიის ნაკრების ყოფილი თავკაცის შვილს დღეს მარკ ოვერმარსის მეურვეობა მოუწევს. ჰოლანდიელის ამბავი კი მოგეხსენებათ, იუგოსლაველებთან შეხვედრაში არსენალელმა ფეხბურთელმა კლუივერტი მოედნიდან გაისტუმრა და ჰეთ თრიკის გამხერხებელს დიდადაც არ ჩამორჩა — ორი გოლი მიითვალა.

ისიც აღსანიშნავია, რომ მარკ ოვერმარსი „არსენალში" მარცხენა ფლანგიდან უტევს, რაიკარდმა კი ნაკრებში მას საპირისპირო ფლანგზე მიუჩინა ადგილი, სწორედ იქ, სადაც პაოლო მალდინი თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში.

### ტოლდო და ვან დერ სარი





ამ ჩემპიონატზე მეკარეთა შეცდომები მრავლად ვნახეთ. ფრანსისკო მო-[illegible]ა ნორვეგიასთან მატჩში კარიდან რატომ გამოვარდა, თავადაც ვერ ახსნის. ფაბიენ ბარტეზმა, იქამდე ჩინებულად რომ ირჯებოდა, მეოთხედფინალში ბოლო წუთზე უაზრო პენალტი აიკიდა, ფილიპ დე ვილდეზე ხომ საუბარიც არ ღირს.

იტალიელთა და ჰოლანდიელთა საბედნიეროდ, მათი კარის დარაჯები „შავ სიაში" არ მოიხსენიებიან.

არადა, ფრანჩესკო ტოლდო ნაკრების პირველი მეკარე სრულიად შემთხვევით გახდა. გეხსომებათ, ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ძოფის რჩეულმა ბუფონმა ხელი მოიტეხა, მაგრამ ნაკრებისთვის ეს დიდი ტრაგედია არ გამხდარა — ტოლდო საუკეთესო ფორმაშია.

ედვინ ვან დერ სარის ამბავიც კარგად ვიცით. ჯერ კიდევ „აიაქსიდან" მოყოლებული თანაგუნდელები ისეთი სიძლიერის პასებს აწვდიდნენ თავის მეკარეს, ფეხით კი არა, ზოგს ხელით ალებაც გაუჭირდებოდა.

მაგრამ ჰოლანდიელებს სწამთ, ვან დერ სარი არ შეცდება. ისე, დღევანდელი შეხვედრის ბედი, შესაძლოა რომელიმე ფეხბურთელის ერთმა უმნიშვნელო შეცდომამ გადაწყვიტოს, მაგრამ ნაკლებმოსალოდნელია, რომ ეს ტოლდოს ან ვან დერ სარს დაემართოთ.

ნახევარფინალი. 29 ივნისი. 21[00]

## იტალია — ჰოლანდია

ამსტერდამი. „არენა". მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

# ძოფი ფრთხილობს, რაიკარდი ექსპერიმენტებს აგრძელებს

რაც უფრო შორს მიდის იტალიის ნაკრები, დინო ძოფი მეტად და მეტად ფრთხილობს, დაცვის გაძლიერებას მეტ ყურადღებას უთმობს. პირველ შეხვედრაში თურქებთან, მწვრთნელმა მინდორზე სამი მცველი გაიყვანა — პაოლო მალდინი, ალესანდრო ნესტა და ფაბიო კანავარო. შემდგომ მატჩებში მათ მეოთხე — მარკ იულიანო დაემატა, თუმც ამით ფორმატი არ შეცვლილა — იულიანომ მალდინის ადგილი დაიკავა, ხოლო კაპიტანმა ნახევარდაცვაში გადაინაცვლა. მაგრამ იტალიელებს აქამდე ჰოლანდიის დარი სახიფათო მეტოქე არ ჰყოლიათ, მათი დაცვის გარღვევას არც კლუივერტის და ბერხკამპის დონის თავდამსხმელები ცდილან, ამიტომაც ძოფმა ნახევარფინალისთვის სხვა სქემა არჩია — 4-4-2.

ამ სქემის მიხედვით, დაცვის მარცხენა ფლანგზე მალდინი ითამაშებს, ცენტრს იულიანო და ნესტა გაამაგრებენ, ხოლო კანავარო მარჯვნივ იქნება. აქვე დავუმატოთ, რომ პაოლო მალდინი ფრანჩესკო ტოლდოს გარდა ერთადერთი ფეხბურთელია, ვისაც ევროპაზე აქამდე გამართულ ოთხივე შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაში უთამაშია და ჰოლანდიასთანაც პირველივე წუთიდან იქნება მოედანზე. ძოფმა იცის, მალდინი შეუცვლელია, თორემ მინდორზე დიდი ხალისით ეგებ არც გაჰყავს და აი, რა მიზეზით: დინო ძოფს იტალიელთაგან ყველაზე მეტჯერ მოურგია „სკუადრა აძურას" ცისფერი მაისურა (112 შეხვედრა ნაკრებში). ამ ხუთიოდე წლის წინ მალდინი ათეულშიც არ იყო. ახლა კი თავისი მწვრთნელის რეკორდს სახიფათოდ მიუახლოვდა. დღევანდელი თამაში მისთვის ასმეათე იქნება. ჰოდა, რაღა დარჩა ძოფამდე? თუმც ეს ძოფის და მალდინის პირადი პრობლემაა, ჩვენ შემადგენლობას მივუბრუნდეთ.

ნახევარდაცვაში ფიორე, ძამბროტა, ალბერტინი, კონტეს კვარტეტს ცნობილ მიზეზთა გამო უკანასკნელი გამოაკლდა და მის ნაცვლად ლუიჯი დი ბიაჯო ითამაშებს. ამ ოთხეულს ევროპის ჩემპიონატზე მხარდამხარ თამაში მხოლოდ ერთხელ, რუმინელებთან მოუხდათ და ისიც სულ 34 წუთით (კონტეს დაშავების შემდეგ). მინდორზე კი ისინი შემდეგნაირად განაწილდებიან: ფლანგებს ფიორე და ძამბროტა ჩაიბარებენ (შესაბამისად, მარცხნივ და მარჯვნივ), ცენტრში დი ბიაჯო, ხოლო ალბერტინი საყრდენი ნახევარმცველის ადგილს დაიკავებს.

იტალიელთა შეტევაში ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ. აქ ყველაფერი ძველებურადაა — ფილიპო ინძაგი მარჯვნიდან, ფრანჩესკო ტოტი კი მარცხენა ფლანგიდან შეუტევენ ვან დერ სარის კარს. დინო ძოფმა სასტარტო შემადგენლობაში ალესანდრო დელ პიეროს ყოფნა კვლავაც არ სცნო საჭიროდ, თუმცა სპეციალისტები ირწმუნებიან, მწვრთნელი მას აუცილებლად ჩართავს თამაშშიო, ოღონდ რომელი წუთიდან, საკითხავი აი, ეს არის.

თუ ჰოლანდიელთა შემადგენლობას თვალს გადავავლებთ, აღმოჩნდება, რომ მათ მხოლოდ ორი ნომინალური მცველი ჰყავთ და ორივე ცენტრალური — იაპ სტამი და ფრანკ დე ბური. მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ფრანკ რაიკარდი მეტოქის შეტევების მოგერიებას მხოლოდ მათ ანდობს. ჰოლანდიელთა 22-კაციან განაცხადში განაპირა მცველებიც არიან — მიხაელ რაიციგერი და არტურ ნუმანი, მაგრამ... ბარსელონელს მწვრთნელი რატომღაც აღარ ენდობა და მის ნაცვლად, ისევე, როგორც საფრანგეთთან და იუგოსლავიასთან, ფეიენოორდელი პოლ ბოსველტი ითამაშებს, დამტვრეულ ნუმანს კი მისივე თანაგუნდელი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი შეცვლის.

რაიკარდისეული ნახევარდაცვის კვარტეტშიც ამ პოზიციაზე ნომინალურად მოთამაშე მხოლოდ სამია. საყრდენ ედგარ დავიდს, ცენტრალურ ნახევარმცველ ფილიპ კოკუს და მარცხნივ გამწესებულ ბუდევინ ზენდენს, მარჯვენა ფლანგიდან თავდამსხმელი მარკ ოვერმარსი დაეხმარება, ვისთვისაც ამ პოზიციაზე თამაში ცოტათი უჩვეულოა. ჰოლანდიელთა პირველი მატჩის გარდა (ჩეხებთან ოვერმარსის ნაცვლად კლარენს ზეედორფმა ითამაშა), რაიკარდი ნახევარდაცვას მუდამ ამ ოთხეულს ანდობდა და მათაც თავი არ შეურცხვენიათ.

თავდასხმაში კი, იტალიელებისა არ იყოს, ყველაფერი მკაფიოდაა გარკვეული — პატრიკ კლუივერტი და დენის ბერხკამპი.

აი, ეს ფეხბურთელები და ტაქტიკა შეურჩევიათ დინო ძოფს და ფრანკ რაიკარდს. ვისი აჯობებს, დღეს საღამოს გამოჩნდება.



პატრიკ კლუივერტი

## ფეხბურთელები საბრძოლველად ემზადებიან

გვინახავს, მაღალი კლასის ფეხბურთელებს ზოგიერთი შეხვედრა ულიმღამოდ ჩაუტარებიათ. მიზეზი ბევრნაირი შეიძლება იყოს, ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთელებიც ხომ ადამიანები არიან. ერთი ასეთი ფაქტორიცაა, რა განწყობით ხვდება მოთამაშე მომავალ მატჩს. დღევანდელი თამაშისთვის ფეხბურთელები სრულ მზადყოფნაში რომ არიან და მას უდიდესი პასუხისმგებლობითაც ეკიდებიან (ისე, ამას რა მტკიცება უნდა), მათი გამონათქვამებიდანაც ჩანს.

პაოლო მალდინი: „ჰოლანდიელებს რომ დიდი ფეხბურთელები ჰყავთ, უეჭველია. მათი იერიშების მოგერიებაც ურთულესი საქმეა, მაგრამ, ვფიქრობ, ისინი ძალიან რისკიანად თამაშობენ, შეტევაში რომ გადაერთვებიან, უკან ბევრ ცარიელ ადგილს ტოვებენ. ამით უნდა ვისარგებლოთ და დავსაჯოთ."

ალესანდრო დელ პიერო: „ჰოლანდიელებს არ ეგონოთ, რომ ისე ითამაშებენ, როგორც ეს იუგოსლავიასთან გააკეთეს. იტალია სულ სხვა დონის გუნდია და უამრავ პრობლემას შევუქმნით."

სტეფანო ფიორე: „მატჩის ბედს მოთამაშეთა ორთაბრძოლები გადაწყვეტს."

პატრიკ კლუივერტი: „იტალიასთან არცთუ კარგი მოგონებები მაკავშირებს. „მილანს" ვერ მოვერგე და იქაური პრესა ჩემზე კარგს არაფერს ამბობდა. დღეს დავამტკიცებ, რომ ცდებოდნენ."

### ურთიერთშეხვედრები

| იტალია | 13 | | ჰოლანდია |
|---|---|---|---|
| 6 | მოგება | | 2 |
| 5 | ფრე | | 5 |
| 2 | წაგება | | 6 |
| 19 | ბურთები | | 14 |
| 13.05.20 | ჯენოა | ა.მ. | 1:1 |
| 08.05.21 | ამსტერდამი | ა.მ. | 2:2 |
| 02.12.28 | მილანი | ა.მ. | 3:2 |
| 06.04.30 | ამსტერდამი | ა.მ. | 1:1 |
| 20.11.74 | როტერდამი | ე.ჩ.შ. | 1:3 |
| 22.11.75 | რომი | ე.ჩ.შ. | 1:0 |
| 21.06.78 | ბუენოს აირესი | მ.ჩ. | 1:2 |
| 24.02.79 | მილანი | ა.მ. | 3:0 |
| 06.01.81 | მონტევიდეო | ა.მ. | 1:1 |
| 16.11.88 | რომი | ა.მ. | 1:0 |
| 21.02.90 | როტერდამი | ა.მ. | 0:0 |
| 26.09.90 | პალერმო | ა.მ. | 1:0 |
| 09.09.98 | ეინდჰოვენი | ა.მ. | 3:2 |

## ნუმანს განაჩენი ჩააბარეს, მალდინი კი დააიმედეს

ხშირი შემთხვევაა — მწვრთნელი მატჩისთვის ფეხბურთელებს შეარჩევს და ტაქტიკურ სქემასაც მონიშნავს, ამ დროს კი ვინმე დაშავდება და ყველაფერი თავიდან გადასაწყობი ხდება.

ნახევარფინალისთვის ჰოლანდიელთა მთავარი დანაკარგი რეინჯერსელი მცველი არტურ ნუმანია. მას ჩეხთა და დანიელთა წინააღმდეგ არ უთამაშია, საფრანგეთთან და იუგოსლავიასთან კი სასტარტო შემადგენლობაში იყო. გაიხარეს ჰოლანდიელებმა — 6:1 მოგება ხუმრობა როდია. მაგრამ მატჩის შემდეგ ნაკრების წევრთა საერთო სიხარული ნუმანმა ვერ გაიზიარა, მან საავადმყოფოში ამოჰყო თავი. იქ ფეხბურთელს რენტგენი გადაუღეს და მარჯვენა ფეხზე კუნთის სერიოზული ტრავმა აღმოუჩინეს. ექიმი უიმედოდაა: „ნუმანი ხუთშაბათს ვერ ითამაშებს. ვშიშობ, ის ფინალსაც გამოტოვებს". როგორც ჩანს, ექიმს ჰოლანდიელთა ფინალში გასვლა არ ეეჭვება.

არტურ ნუმანი ცხადია, დანაღვლიანებულია: „ვერ ვიჯერებ, რომ ჩემთვის ევროპის ჩემპიონატი დასრულდა. მით უმეტეს მაშინ, როცა ჩემპიონობას ორი ნაბიჯილა გვაშორებს. ნაკრების განუყოფელი ნაწილი ვიყავი... იმედი მაქვს, მომავალშიც ასეთად ვიქნები. ერთი რამ კი ზუსტად ვიცი — 2 ივლისს ფინალურ მატჩზე ტრიბუნაზე ვიჯდები და ჩემს მეგობრებს ვუქომაგებ. მერე კი გამარჯვებას მათთან ერთად ვიზეიმებ".

არტურ ნუმანის გარდა ჰოლანდიელთა შორის ტრავმირებული სხვებიც არიან, თუმცა იმდენად არა, რომ თამაში ვერ შეძლონ. ესენი ედვინ ვან დერ სარი, ფილიპ კოკუ და პატრიკ კლუივერტია. მათ ბოლო ვარჯიშები სრული დატვირთვით არ ჩაუტარებიათ. ამ ფეხბურთელთა გარდა ერთ-ერთ ვარჯიშზე როი მაკაიმ კოჭი იტკინა, თუმცა ის სასტარტო შემადგენლობაში ისედაც ვერ ხვდება.

იტალიელებს კი ჩემპიონატს დამშვიდობებული ანტონიო კონტე ჰყავთ.



არტურ ნუმანისთვის ევრო 2000 დამთავრდა

მის ტრავმაზე უკვე ბევრი ითქვა. მართალია, „იუვენტუსის" კაპიტანს თავისი ჩამწიხლავის, გეორგე ჰაჯის ნამუსიანობაში ეჭვი შეეპარა, მაგრამ ყავარჯნების გადაგდებას ეს, აბა, როგორ უშველის.

მეოთხედფინალის დასრულების შემდეგ რენტგენის გადაღება ერთ იტალიელ ფეხბურთელსაც დასჭირდა. პაოლო მალდინიზე მოგახსენებთ. ის საავადმყოფოში ორშაბათს მოხვდა, მაგრამ არტურ ნუმანისგან განსხვავებით, იქიდან დამაიმედებელი პასუხით გაისტუმრეს. რენტგენმა აჩვენა, რომ მალდინის მარცხენა ფეხის მყესები ისე არ დაზიანებულა, როგორც მოველოდითო — გვამცნო იტალიელთა ბანაკის წარმომადგენელმა. კაპიტნის ტრავმა საშიში რომ არ არის, ამას ექიმთა დასკვნის გარდა ისიც მოწმობს, რომ სამშაბათს მალდინი ვარჯიშზე გავიდა.

უფრო რთული და გაურკვეველია ფაბიო კანავაროს ბედი. მას მარჯვენა მუხლი აწუხებს. პარმელმა მცველმა განაცხადა, სამშაბათს მუხლი ისე ამტკივდა, ვარჯიშის შეწყვეტა მომიხდაო. ხოლო კითხვაზე, ჰოლანდიასთან თამაშს შეძლებ თუ ვერაო, კანავარო პასუხობს: „არა მგონია, ჩემთვის ევროპის ჩემპიონატი დასრულებულიყოს."

### სავარაუდო შემადგენლობები

| იტალია | | | ა | წ | თ | გ | თე | გე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ფრანჩესკო ტოლდო | ფიორენტინა | | მკ | 28 | 12 | 0 | 4 | 0 |
| 5 ფაბიო კანავარო | პარმა | | მც | 26 | 38 | 0 | 4 | 0 |
| 13 ალესანდრო ნესტა | ლაციო | | მც | 24 | 27 | 0 | 4 | 0 |
| 3 პაოლო მალდინი | მილანი | | მც | 32 | 109 | 7 | 4 | 0 |
| 15 მარკ იულიანო | იუვენტუსი | | მც | 26 | 9 | 1 | 4 | 0 |
| 17 ჯანლუკა ძამბროტა | იუვენტუსი | | ნახ | 24 | 9 | 0 | 3 | 0 |
| 4 დემეტრიო ალბერტინი | მილანი | | ნახ | 28 | 70 | 2 | 3 | 0 |
| 14 ლუიჯი დი ბიაჯო | ინტერი | | ნახ | 29 | 17 | 3 | 2 | 1 |
| 18 სტეფანო ფიორე | უდინეზე | | ნახ | 26 | 7 | 1 | 4 | 1 |
| 9 ფილიპო ინძაგი | იუვენტუსი | | თავდ | 26 | 24 | 8 | 3 | 2 |
| 20 ფრანჩესკო ტოტი | რომა | | თავდ | 23 | 15 | 3 | 3 | 2 |

| ჰოლანდია | | ა | წ | თ | გ | თე | გე |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ედვინ ვან დერ სარი | იუვენტუსი | მკ | 29 | 50 | 0 | 3 | 0 |
| 15 პოლ ბოსველტი | ფეიენოორდი | მც | 30 | 5 | 0 | 2 | 0 |
| 3 იაპ სტამი | მანჩესტერი | მც | 27 | 34 | 3 | 3 | 0 |
| 4 ფრანკ დე ბური | ბარსელონა | მც | 30 | 80 | 9 | 4 | 2 |
| 12 ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი | რეინჯერსი | ნახ | 25 | 17 | 1 | 2 | 0 |
| 8 ედგარ დავიდსი | იუვენტუსი | ნახ | 27 | 34 | 4 | 4 | 0 |
| 7 ფილიპ კოკუ | ბარსელონა | ნახ | 29 | 45 | 4 | 4 | 0 |
| 5 ბუდევინ ზენდენი | ბარსელონა | ნახ | 23 | 25 | 5 | 4 | 2 |
| 11 მარკ ოვერმარსი | არსენალი | თავდ | 27 | 59 | 13 | 4 | 2 |
| 9 პატრიკ კლუივერტი | ბარსელონა | თავდ | 23 | 44 | 28 | 4 | 5 |
| 10 დენის ბერხკამპი | არსენალი | თავდ | 31 | 78 | 37 | 4 | 0 |

*ა — ამპლუა, წ — წლოვანება, თ — თამაში, გ — გოლი, თე — თამაში ევრო 2000-ზე, გე — გოლი ევრო 2000-ზე.*

### ნახევარფინალი: ვინ რამდენჯერ?

| იტალია | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3 ივნისი, 1934 | მილანი | მ.ჩ. | ავსტრია | 1:0 |
| 16 ივნისი, 1938 | მარსელი | მ.ჩ. | ბრაზილია | 2:1 |
| 5 ივნისი, 1968 | ნეაპოლი | ე.ჩ. | სსრკ (წილისყრაში იტალიამ იმარჯვა) | 0:0 |
| 17 ივნისი, 1970 | მეხიკო | მ.ჩ. | გფრ | 4:3 |
| 8 ივლისი, 1982 | ბარსელონა | მ.ჩ. | პოლონეთი | 2:0 |
| 22 ივნისი, 1988 | შტუტგარტი | ე.ჩ. | სსრკ | 0:2 |
| 3 ივლისი, 1990 | ნეაპოლი | მ.ჩ. | არგენტინა | 1:1 (პენ. 2:3) |
| 13 ივლისი, 1994 | ნიუ იორკი | მ.ჩ. | ბულგარეთი | 2:1 |

| ჰოლანდია | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16 ივნისი, 1976 | ზაგრები | ე.ჩ. | ჩეხოსლოვაკია | 1:3 |
| 21 ივნისი, 1988 | ჰამბურგი | ე.ჩ. | გფრ | 2:1 |
| 22 ივნისი, 1992 | გიოტებორგი | ე.ჩ. | დანია | 2:2 (პენ. 4:5) |
| 7 ივლისი, 1998 | მარსელი | მ.ჩ. | ბრაზილია | 1:1 (პენ. 2:4) |

*მ.ჩ. — მსოფლიოს ჩემპიონატი, ე.ჩ. — ევროპის ჩემპიონატი*




ჩირო ფერარა, ლუიჯი დი ბიაჯო და ფრანჩესკო ტოტი ნახევარფინალის წინ უხასიათობას არ უჩივიან

მერაბ ოაციშვილი

27 ივნისი

ევროპის ჩემპიონატის დღიური

# ბეკენბაუერმა სამშობლო ჩამოაქვეითა

## მათეუსს რიბეკის წინააღმდეგ შეთქმულება ჩაუშლია



ფრანც ბეკენბაუერმა გერმანიის ნაკრები დაგესლა

ᲐᲰᲐ, ბოლოს ისიც ალაპარაკდა. გერმანიის ნაკრებს ევრო 2000-ზე განცდილი ფიასკოს გამო მრავალი მოსარჩლე თუ მოსამართლე გამოუჩნდა. აზრი გამოთქვა ყველამ — რურელი მეშახტით დაწყებული, ქვეყნის კანცლერით დამთავრებული. კაიზერ ფრანც ბეკენბაუერი კი, ვისი სახელიც გერმანულ ფეხბურთთან გაიგივებულია, ხმას არ იღებდა. ბოლოს კაიზერმაც თქვა ორიოდ სიტყვა, თუმცა გერმანიის ნაკრებისთვის სჯობდა, საერთოდ არაფერი ეთქვა. იმიტომ, რომ ერთია, როცა გაკრიტიკებს მავანი, თუნდაც ძლიერი ფეხბურთელი ან მწვრთნელი და მეორეა, როცა დაგცინის ფრანც ბეკენბაუერი. მოდით, გავიხსენოთ, ვინ არის ეს კაცი: გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი, მიუნხენის „ბაიერნის" პრეზიდენტი, მსოფლიოს ჩემპიონი როგორც ფეხბურთელი და როგორც მწვრთნელი, ევროპის ჩემპიონი, ევროპის სამგზის საუკეთესო ფეხბურთელი... ევროთასებზე და ეროვნულ ტიტულებზე ნულარ დავხურდავდებით.

მაშ ასე, ხუმრობის ხასიათზე მყოფი ბეკენბაუერი გაზეთ „ბილდის" კორესპონდენტს ჩამოუჯდა და საუბარი მკაცრად დაიწყო: „გერმანია სამართლიანად გამოვარდა ევროპის ჩემპიონატიდან. იქ მას არაფერი ესაქმებოდა და ძალიან კარგია, რომ გზა დაუთმო „საოცნებო ფეხბურთის" მიმდევარ გუნდებს, მაგალითად, ჰოლანდიას და საფრანგეთს".

ამის მერე კაიზერის სერიოზულად და ხუმრობით ნათქვამი ერთმანეთში აირია: „უნდა შევქმნათ ევროპის ორი ჩემპიონატი, პირველი და მეორე კლასის ჯგუფებით. გერმანიის და ინგლისისნაირი გუნდები მეორე კლასში უნდა იყვნენ. მაშინ, როცა ჰოლანდიელებივით ვისწავლით გოლების გატანას და ფრანგებივით დახვეწილი ტაქტიკა გვექნება, პირველ კლასში გადასვლაზე ვიოცნებოთ".

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის საკითხს ბეკენბაუერი გვერდს როგორ აუვლიდა: „მსოფლიოს ჩემპიონობის მასპინძლობა ახლა ისე გვჭირდება, როგორც არასდროს. ეს უფლება რომ ვერ მოვიპოვოთ, გერმანიის ნაკრები ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდება, რადგან შესარჩევ ეტაპს ვერ დაძლევს".

ახლა ბეკენბაუერს თავი დავანებოთ და მასზე არანაკლებ ტიტულოვანი და დამსახურებული ლოთარ მათეუსი მოვიკითხოთ. ევრო 2000-ის მერე არაერთგზის გალანძღულმა ფეხბურთელმა ერთი საიდუმლო გაამხილა: „ევროპის ჩემპიონატისთვის ესპანეთში ვემზადებოდით. ჩემთან მოვიდნენ დიტმარ ჰამანი, მარკუს ბაბელი და იენს იერემისი და ამბოხებაში მონაწილეობა შემომთავაზეს. ეს ფეხბურთელები მეთაურობდნენ იმ ჯგუფს, რომელსაც მწვრთნელ ერიხ რიბეკის გადაყენება და მის ადგილზე ჩემი დანიშვნა სურდათ. განსაკუთრებით ჰამანი აქტიურობდა. მან რამდენჯერმე მითხრა, გავაკეთოთ ეს საქმე, დადექი ნაკრების მწვრთნელად, ეს ყველასთვის კარგი იქნებაო".

გერმანია ადრე გავარდა ევროპის ჩემპიონატიდან და სადღეისოდ კრიტიკის პირველი და ყველაზე ძლიერი ქარიშხალი მოგერიებული აქვს. ესპანეთს კი ამჟამად უდგას ეს პერიოდი. ნაკრების მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩო ახსნა-განმარტებებს იძლევა. კამაჩომ „მარკას" უთხრა ის, რასაც მისგან მთელი ესპანეთი ელოდა: „მორიენტესთან დაკავშირებით შევცდი. „რეალის" თავდამსხმელი ჩემპიონატზე უნდა წამეყვანა. თუმცა, ოთხ მატჩში შვიდი გოლი გავიტანეთ, რაც არცთუ ისე ცუდია". გაზეთ „ასთან" საუბრისას კამაჩომ შემდეგი რამ თქვა: „დიდი ხნის წინ მივხვდი, რომ ფეხბურთის მიზეზით არანაირი ტრაგედია არ უნდა შექმნა. ჩემს ოპონენტებსაც ამას ვურჩევ. გუნდი იქამდე გავიდა, სადამდეც შეეძლო. ბედს რომ ენებებინა, იქნებ ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო, მაგრამ ვერაფერს იზამ — ეს ფეხბურთია. ზოგიერთმა ფეხბურთელმა შეცდომები დაუშვა. პირველ რიგში ეს მეკარეებს, მოლინას და კანისარესს, აგრეთვე გვარდიოლას და რაულს ეხება".

კარგი დღე არც ინგლისის ნაკრების მწვრთნელ კევინ კიგანს ადგას. პრესისა და ექსპერტების კრიტიკას თავი რომ დავანებოთ, ინტერნეტში სპეციალური გვერდები გაიხსნა, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია კიგანის შესახებ აზრის გამოთქმა. დაახლოებით ალბათ წარმოიდგენთ, რა შინაარსის წერილები და მიმართვები იქნება. კონტრაქტით კიგანმა კიდევ ორი წელი უნდა უხელმძღვანელოს ინგლისის ნაკრებს, მაგრამ... „თუკი კევინი ნაკრებიდან წავა, მზად ვარ, გუნდი ჩავიბარო და მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის მოვამზადო" — ამ სიტყვების მთქმელი ერთხელ უკვე ხელმძღვანელობდა ინგლისის ნაკრებს და ევრო 96-ზე ნახევარფინალში გაიყვანა. ტერი ვენეიბლზის თქმით, მას ბევრი ხალხი სთხოვს ნაკრებში დაბრუნებას. ის კი არა, თურმე ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის დიდმოხელეთაც ჩამოუგდიათ სიტყვა ამ თემაზე. ვენეიბლზი აცხადებს, ფეხბურთი სახალხო თამაშია და ჩემი საკითხიც ხალხმა გადაწყვიტოსო: „თუკი მთავრობა აწყობს რეფერენდუმს, ჩავერთოთ თუ არა საერთო-ევროპულ ფულად სისტემაში, ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ამ გზით რატომ არ უნდა ავირჩიოთ?" დასასრულ ვენეიბლზმა კოლეგიალობა დაიცვა და ევრო 2000-ზე ჩაფლავების მიუხედავად, კიგანზე აუგი არ დასცდენია.

ახლა კი ცოტა სექსზე ვილაპარაკოთ, რადგან ამგვარ ამბებში ფეხბურთელები გაეხვნენ. ინგლისელებს რიო ფერდინანდს, კირონ დაიერს და ფრენკ ლამპარდს ცოტა დააკლდათ და ევრო 2000-ზე ამოყოფდნენ თავს. ეს ფეხბურთელები კიგანის რჩეულთა შორის ვერ მოხვდნენ, ამიტომ დასასვენებლად კვიპროსს მიაშურეს. ეს ბიჭები მავანთ 40-წუთიან პორნო-ფილმში მონაწილეობაზე [illegible] ლან, ოღონდ გარიგების დეტალები აქამდე მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. ჰოდა, გაიცნეს ფეხბურთელებმა იქაურ ბარებში გოგოები, გამოელაპარაკნენ, თითო ჭიქა ერთად გადაჰკრეს, წაიცეკვეს და მერე სასტუმროში განცხრომას მიეცნენ. მათ ნებივრობას კი ფარული ვიდეო-კამერებით იღებდნენ. ამქვეყნად რა იმალება და ფართო საზოგადოებამ ეს კადრებიც იხილა. გოგოები თავზარდაცემულნი არიან, ჩვენ სიყვარულით დავნებდით, მათ კი პორნო-მსახიობებად გამოგვიყენესო. განსაკუთრებით შფოთავს კირონ დაიერის გულის ვარდი, რომელმაც თქვა, მიშელი მქვიაო და ერთ-ერთი კომპანიაში მდივნად მუშაობს: „ისინი ნორმალური ადამიანები მეგონა, სინამდვილეში კი გახრწნილები და გარყვნილები ყოფილან". ამ მიშელმა ისიც თქვა, ბარში სმისას მილიონერმა ფეხბურთელებმა ერთი ჭიქა ვისკიც კი არ გვიყიდეს, რასაც ვსვამდით, სულ ჩვენი ფულითო.

პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელს უმბერტუ კოელიუს კი სექსზე საკუთარი მოსაზრება აქვს. მისი ნებართვით ნაკრების ფეხბურთელები ყოველ ღამეს, ვინ ცოლ-შვილთან, ვინ მეგობარ გოგონებთან ატარებენ. კოელიუს თქმით, სექსი ხელს უწყობს გადაღლილი ორგანიზმის მოდუნებას და მრავალ დადებით ემოციას აღძრავს. მწვრთნელი ამბობს, რომ ბედნიერია, როცა ყოველ დილას თავის მოთამაშეებს გახარებულებს და დაწყნარებულებს ხედავს. ფრანგი ფეხბურთელები კი ამ მხრივ დაჩაგრულები არიან: ჩემპიონატის დაწყებიდან მათ მხოლოდ ორჯერ მისცეს ცოლ-საყვარლებთან ყოფნის ნება.

სხვათა შორის, კოელიუს ცოლი ფრანგია. პორტუგალიელთა თავკაცს ჰკითხეს, ნახევარფინალში თქვენი მეუღლე პორტუგალიელებს უქომაგებს თუ ფრანგებსო. მწვრთნელმა ერთაზროვანი პასუხი ვერ გასცა: „ვერ გეტყვით, უმჯობესია, თავად მას დაეკითხოთ. ჩემი აზრით, პორტუგალიის მხარეს იქნება".

ახლა პოლიტიკასაც მივხედოთ. იტალიის მრავალფეროვან და მრავალპარტიულ მთავრობაში თითქმის ყველა საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა, ოღონდ ფეხბურთზე — არა. ყოფილი კომუნისტები, ცენტრისტები, მარქსისტები და მწვანეები შეიკრიბნენ და ერთხმად დაადგინეს: იტალია ფინალში თამაშს იმსახურებს. პოლიტიკოსთა აზრით, „სკუადრა აძურას" ფინალში საფრანგეთი დაუპირისპირდება.

დოპინგზეც მინდოდა მეთქვა, მაგრამ სათქმელიც ბევრი არაფერია. უეფას ცნობით, ევრო 2000-ის დაწყებიდან დოპინგზე 118 ფეხბურთელი შემოწმდა და მათ ორგანიზმში ყველაფერი რიგზე ყოფილა.

# ბოშკოვის მატარებელი

## იუგოსლავიურ ფეხბურთს ძირეული რეფორმა სჭირდება

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ველიბორ ვასოვიჩმა, რომელიც ამჟამად ქვეყანაში ფეხბურთის მფარველობის ასოციაციას მეთაურობს, ნაკრების მწვრთნელის ვუიადინ ბოშკოვის გათავისუფლება მოითხოვა. უფრო მეტიც, ვასოვიჩი, რომელმაც 1971 წელს „აიაქსთან" ერთად ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო და გუნდის კაპიტანიც გახლდათ, იუგოსლავიური ფეხბურთის პრობლემას კიდევ უფრო ჩაუღრმავდა და განაცხადა, ბოშკოვის გზას ფედერაციის პრეზიდენტი მილიან მილიანიჩიც უნდა დაადგესო.

„ბოშკოვის დრო უკვე წავიდა, მისი ხელმძღვანელობით იუგოსლავიური ფეხბურთი რამდენიმე წლით ჩამორჩა — განაცხადა ვასოვიჩმა ევრო 2000-ის მეოთხედფინალში ჰოლანდიასთან 1:6 განადგურების შემდეგ — მილიანიჩი და მისი ამალა მმართველობის სადავეებს უნდა ჩამოვაშოროთ და რაც შეიძლება მალე, რათა იუგოსლავიაში ფეხბურთი არ დაიღუპოს".

ადვილი წარმოსადგენია, როგორ შეხვდა სამარცხვინო წაგებას იუგოსლავიის პრესა. ერთ-ერთი პოპულარული გაზეთი „ბლიჩი": „ნაკრები უსუსური და უმწეო ჩანდა, სივრცესა და განზომილებაში დაკარგულებივით გამოიყურებოდნენ. 69 წლის მწვრთნელმა კი ორიენტაცია სულ დაკარგა".

„მასპინძლებმა ჩვენებურებს თავბრუ დაახვიეს. „დე კუიპის" სტადიონზე ცოდვა ტრიალებდა. ჰოლანდიელებმა 6 გოლი გაგვიტანეს და გუნდს შინ წამოსასვლელი ბილეთები დაუჯავშნეს" — წერს გაზეთი „გლას იავნოსტი".

„ჩემი ბრალი იყო, თუმცა შეიძლებოდა, ოდნავ გაგვემართლებოდა" — განაცხადა სამარცხვინოდ წაგებული მატჩის შემდეგ გამოცდილმა ბოშკოვმა.

არადა, ალბათ გახსოვთ, ჰოლანდია — იუგოსლავიის მატჩის წინ „სამპდორიას" ყოფილი თავკაცის თამამი გამონათქვამები. სპეციალისტი საჯაროდ გაიძახოდა, ჰოლანდია ისეთი ძლიერი აღარაა, როგორც ორი წლის წინ, მსოფლიოს ჩემპიონატის დროს იყოო (მაშინაც მერვედფინალში სწორედ ჰოლანდიას შეხვდნენ).

ბოშკოვის გამონათქვამები თავად შეაფასეთ და განსაჯეთ, რომელი ჰოლანდიის ნაკრები სჯობია, ახლანდელი, თუ ორი წლის წინანდელი, ან იმ ორ წელიწადში იუგოსლავიის ნაკრებმა თამაშს მოუკლო, თუ მოუმატა... ვუიადინ ბოშკოვის სანაკრებო კარიერას კი ალბათ აღარ უწერია დიდი დრო.

გაზეთი „სპორტსკი": „თავს იმითღა ვიმშვიდებთ, რომ ინგლისს, გერმანიას, შვედეთს ვაჯობეთ და რვა საუკეთესო ევროპულ გუნდს შორის მოვხვდით, მაგრამ იქ რაც დაგვემართა სამარცხვინოა. ახლა მწვრთნელის ძებნას უნდა შევუდგეთ. გუნდი ახალგაზრდა ფეხბურთელებით უნდა დაკომპლექტდეს, მოზარდ თაობას შანსი უნდა მივცეთ. რადიკალური ცვლილებებია საჭირო. სხვაგვარად არაფერი გამოვა, ჩიხში აღმოვჩნდებით."



ვუიადინ ბოშკოვი

# თურქებმა დენიზლი შეცვალეს

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ჩემპიონატის მეოთხედფინალში პორტუგალიასთან 0:2 დამარცხებულ თურქეთის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, მუსტაფა დენიზლი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და მის ნაცვლად თურქეთის ნაკრების ყოფილი მეკარე სენოლ გიუნეში დანიშნეს.

თურქეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატს გამოეთიშა, თუმცა მეოთხედფინალში მოხვედრა ამ გუნდისთვის, ალბათ მაინც წარმატება იყო. წინა ევროპის ჩემპიონატზე თურქებმა უსახელოდ იასპარეზეს და შინ ისე დაბრუნდნენ, ერთი გოლიც კი არ გაუტანიათ. ბოლო წლებია ნაკრები და საერთოდ თურქული ფეხბურთი აშკარად ვითარდება, გუნდი ევროპის რვა საუკეთესოს შორის მოხვდა და გათამაშებას ერთ-ერთი თანამასპინძელი, ბელგია გამოთიშა.

თურქთა ახალი მწვრთნელი სენოლ გიუნეში ადრე „ტრაბზონსფორში" თამაშობდა, 30-იანი წლების მიწურულს კი ამ გუნდის მწვრთნელობა დაიწყო.

მუსტაფა დენიზლი თურქული ფეხბურთის ერთ-ერთ წამყვან კლუბ „ფენერბაჰჩეს" ჩაუდგა სათავეში. ეს გუნდი მომავალი სეზონისთვის რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის შეძენას გეგმავს და ჩემპიონობასაც აპირებს.

# უმაღლესი გაძვირდა თავის მსაჯებიანად

**თვენახევარიც** და XII ეროვნული ჩემპიონატი შეაბიჯებს ნაწვალებ ქართულ სარბიელზე. წინასწარი ინფორმაციით, პირველი ტურის მატჩები 14 აგვისტოს დაიწყება, თუმცა ეს თარიღი მაინც პირობითია. იქამდე ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ დღემდეც ბევრი რამ მოხდა. თუნდაც ის რად ღირს, რომ ამიერიდან ეროვნული ჩემპიონატის მატჩები ახალი ქართული მარშის აკომპანიმენტით ჩაივლის. პირველს რომ უმაღლესი სჯობს (უფრო ეფექტურად ჟღერს), ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, ჰოდა, სფფ-მაც იზრუნა ამაზე, ხალხის მოსაზრება გაიზიარა და პირველ ჯგუფს უმაღლესი ლიგა ეწოდა, შესაბამისად რეგიონალურ ლიგას II ლიგა დაერქვა, II ჯგუფს კი — რეგიონალური.

ცვლილებებია ჩემპიონატის რეგლამენტშიც. ამაში უჩვეულო არაფერია, რადგან წლეულს სფფ-ს ახალი სისტემით უწევს ეროვნული პირველობის ჩატარება. ეს კი, ბუნებრივია, მეტ ყურადღებას და პასუხისმგებლობასაც საჭიროებს ფედერაციისგან. სხვა თუ არაფერი, 12 გუნდა ჩემპიონატის ანალოგი ჩვენში დღემდე არ ყოფილა. მაგრამ ცვლილებაცაა და ცვლილებაც... გეხსომებათ, შარშან რა აჟიოტაჟი გამოიწვია გუნდებზე საწევრო თანხის დაწესებამ. სფფ-ს გადაწყვეტილებით, შარშან კლუბები მსაჯების მომსახურებისგან განთავისუფლდნენ, სამაგიეროდ, ჩემპიონატში მონაწილეობისთვის 10000 ლარის გადახდა მოუხდათ. ფედერაციაც ამ თანხიდან ანაწილებდა ხელფასის სახით შევოსნებზე ფულს. ისიც გეხსომებათ, ეს 10000 ლარი რა სიმწრით გადაიხადა ჩემპიონატში მონაწილე ზოგიერთმა კლუბმა. რუსთავის „გორდამ“ სულაც ფედერაციის მიერ დამატებულ დროში შეძლო საწევროს სრულად გადახდა და ჩემპიონატიდან მოკვეთას გადაურჩა. წლეულს უფრო უარესსაც უნდა ველოდეთ...

მოდით, სფფ-ს გენერალური მდივნის ხელმოწერილ და 23 ივნისით დათარიღებულ წერილს გავეცნოთ და სათქმელსაც გავაგრძელებ. აი, რას წერს პატივცემული გენმდივანი უმაღლესლიგელი „გორდას“ ხელმძღვანელებს: „ამა წლის 21 ივნისს გამართულ შეხვედრაზე, სფფ-სა და უმაღლეს ლიგაში მონაწილე გუნდების პრეზიდენტებს შორის მიღწეული იქნა ერთსულოვანი შეთანხმება იმის თაობაზე, რომ რეგლამენტით გათვალისწინებული თანხა გაიზარდოს 4000 ლარით, რომელიც გათვალისწინებული იქნება XII ჩემპიონატის დაწყებამდე მსაჯებისთვის უკეთ მომზადების მიზნით დამატებითი შეკრების ჩასატარებლად, აგრეთვე საუკეთესო მსაჯების წასახალისებლად. ზემოთ აღნიშნულ შეკრებაზე მსაჯებს ჩაუტარდებათ პრაქტიკულ-თეორიული მომზადება, ფიფას მიერ თამაშის წესებში ცვლილებების განხილვა და ახალი წესების სრულყოფა.

გთხოვთ, თანხმობა წერილობით დაგვიდასტუროთ, სფფ-ში მთლიანი თანხა, 22000 ლარი შემოტანილი უნდა იყოს 10 ივლისამდე.“ სფფ-ს გენერალური მდივანი ვ. ჩოლარია (სტილი დაცულია).

ამ წერილით ირკვევა, რომ ამასწინანდელ სფფ-ს ხელმძღვანელთა და გუნდების პრეზიდენტების დახურულ სხდომაზე ახალ საწევრო თანხად 18000 ლარი დათქვეს. სამწუხაროდ, ამ ინფორმაციის ოფიციალური გამომზეურებისგან სფფ-ს ჩინოსნებმა თავი შეიკავეს. საინტერესოა, რატომ? ამ კითხვაზე ალბათ ფედერაციის ხელმძღვანელები ევროპული ტურნედან დაბრუნების შემდეგ გაგვცემენ პასუხს.

საწევრო თანხის გაზრდის წინააღმდეგი არც ჩვენ ვართ, ბოლოს და ბოლოს ჩვენს ისედაც დაქცეულ პირველობას უსახსრო და უფულო გუნდები კარგს ვერაფერს შეჰმატებენ, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ამ ცვლილებასთან დაკავშირებით სფფ-ს გაცილებით ადრე უნდა ჩაეყენებინა გუნდები საქმის კურსში. იმაში ნამდვილად ვერ დავეთანხმები გენერალურ მდივანს, რომ საწევრო თანხის გაზრდასთან დაკავშირებით გუნდების პრეზიდენტებმა ერთსულოვნება გამოამჟღავნეს. ჩემპიონატში 12-მა გუნდმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, ზემოთ აღნიშნულ სხდომას კი მხოლოდ 9 გუნდის პრეზიდენტი ესწრებოდა. ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია, მათზე რა რეაქცია მოახდინა 18 ათას ლარზე კიდევ 4000 ლარის დამატებამ, ის კი დარწმუნებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ გენერალური მდივნის წერილმა რუსთაველები შოკში ჩააგდო. მსგავსი წერილი, ბუნებრივია, „იბერიას“ და „დინამოსაც“ მიუვიდოდათ და ალბათ არც მათ დაადგებოდათ კარგი დღე.

რუსთაველებს თავიანთი გასჭირვებიათ. თითქმის უპატრონოდ არიან დარჩენილი და ეს მათი პრობლემაა, მაგრამ „გორდას“ პრეტენზია უსაფუძვლო სულაც არ გახლავთ. რატომ იღებენ მსაჯებისთვის ამდენ ფულს კლუბებიდან? კითხულობენ რუსთაველები. გენერალური მდივნის განმარტებით, ეს თანხა კარს მომდგარ ჩემპიონატზე მსაჯების მომზადებისთვის და მათ წასახალისებლად არის გათვალისწინებული. რა გამოდის? მსაჯებისთვის გუნდების მიერ შესატანი თანხა ჯამში 48000 ლარია. ათ ივლისამდე ალბათ ერთი კლუბიც არ წარადგენს ამ თანხას. ათი ივლისიდან 14 აგვისტომდე კი ერთ თვეზე ცოტა მეტი რჩება. საკითხავია, ერთ თვეში მსაჯების მომზადებას რად უნდა 48 ათასი. ამ საქმეს ხომ აღნიშნული თანხის მეათედიც ეყოფა. თავისთავად ეჭვი ჩნდება, რომ ფედერაცია მსაჯებით მანიპულირებს. გუნდები კი იმ დღეს მისტირიან, როცა მსაჯთა ანაზღაურების გაღება თავად უხდებოდათ. წლიდან წლამდე ხარჯი ამ მხრივ 5-6 ათას ლარს არ სცდებოდა და ყველა კმაყოფილი იყო, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ამგვარ წესს ხშირად უარყოფითი შედეგიც მოჰქონდა. რაც არ უნდა იყოს, მატჩის წინ მსაჯს ფულთან საქმე არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ დღევანდელი სიტუაციაც რომ ბუნდოვანია. სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი დღესდღეობით სფფ-ზეა დამოკიდებული და, ბუნებრივია, დიდი შანსია საიმისოდ, რომ ფედერაციის დაკვეთები შეასრულოს. ვფიქრობ, უპრიანი იქნებოდა, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბებულიყო, ისევე როგორც ეს ევროპის ბევრ საფეხბურთო ქვეყანაშია. მაგრამ ამ იდეის განხორციელება ჩვენში პრაქტიკულად რომ შეუძლებელია, ეს რამდენიმე წლის წინათაც გამოჩნდა. გეხსომებათ, 1994 წელს სფფ-ს ყველა შავოსანი განუდგა. ავთანდილ კოკაიამ მსაჯთა ასოციაცია ჩამოაყალიბა და რა შედეგი მიიღო? ჩემპიონატის განახლებამდე ასოციაციას მხოლოდ პრეზიდენტი და ერთი მსაჯი შერჩა. სფფ ვერ შეელია მაშინ მსუყე ლუკმას და ალბათ უფრო ვერ შეელევა დღესაც.

და ისევ საწევრო 22 ათასზე. ნუ გაგიკვირდებათ, ახალი რეგლამენტით გათვალისწინებულმა თანხამ გარკვეული გავლენა რომ მოახდინოს ახალი ჩემპიონატის სტრუქტურაზე.

ჯერჯერობით ყოველივეს მხოლოდ ერთ კითხვამდე მივყავართ — შეხვდება კი 12 გუნდი XII ეროვნულ ჩემპიონატს?

**პაატა ქვანტალიანი**



ოთარ ხიზანეიშვილი

# რომანცევს ელიან: ხიზანეიშვილი, გაზაევი და ბოსკამპი

*თითქმის ათი დღეა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და აქამდე უკრაინის „კრივბასის“ მცველი, 18 წლის ოთარ ხიზანეიშვილი რუსეთის ჩემპიონ მოსკოვის „სპარტაკთან“ ერთად ვარჯიშობს, ვარჯიშობს მაშინაც კი, როცა გუნდი უქმადაა და თამაშის შემდეგ ისვენებს...*

*„სპარტაკმა“ როსტოვში „როსტსელმაშს“ რომ სძლია და რუსეთის ჩემპიონატის პირველი წრე ჩაამთავრა, მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა ფეხბურთელები რამდენიმე დღით დაითხოვა, ტარასოვკის საწვრთნელ ბაზაზე სამშაბათისთვის დაიბარა, ოთარ ხიზანეიშვილს და ორ ბრაზილიელს კი ვარჯიშის ინდივიდუალურად გაგრძელება სთხოვა. ოთარი ტარასოვკაში დილაობით რამდენიმე საათს ქანცის გაწყვეტამდე ვარჯიშობს და მერე მთელ დღეს ისვენებს, ძალა ხომ უნდა აღიდგინოს.*

*გუშინაც ასე გახლდათ, თუმცა არც მთლად — ოთარ ხიზანეიშვილს საღამოთი შევეხმიანეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ. ისე, ზოგიერთ ქართველ ფეხბურთელს სჩვევია, ვიდრე ახალ კლუბთან კონტრაქტს არ გააფორმებს, იქამდე სამომავლო გეგმებზე არაფერს ამბობს, ცუდად მაქვს დაცდილი, ბოდიში...*

*ოთარ ხიზანეიშვილმა კი, რა პრობლემაა, გვითხრა და...*

**— გავიგეთ, თითქოს „სპარტაკს“ ადრეც ჰქონდა შენი გადაბირების სურვილი. მართალია?**

— მართალია თუ ტყუილი, ამის თაობაზე ვერაფერს ვიტყვი, თუმცა ფაქტია, უკრაინის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ თბილისში რომ ჩამოვედი, მითხრეს, სასწრაფოდ მოსკოვში გაფრინდი, „სპარტაკი“ გელოდება, რამდენჯერმე დაგვირეკესო. მეც თბილისში აღარ შევყოვნებულვარ, ჩამოვედი, ოლეგ რომანცევს ვესაუბრე და მეორე დღესვე გუნდთან ერთად ვარჯიში დავიწყე.

**— მერე და არ გაგჭირვებია?**

— გამიჭირდა რომელია. ბოლო ხანს „კრივბასში“ ხეირიანად არც მივარჯიშია, თამაშები გვქონდა, სულ თვითმფრინავში ვიყავი, ქალაქიდან ქალაქში. თანაც „კრივბასში“ საქმეები აირია და... ერთი სიტყვით, „სპარტაკში“ პირველი ორი ვარჯიშის შემდეგ სიარულიც მიჭირდა, ისე ვიღლებოდი, მით უმეტეს, სასურველ ფორმაში არ ვიყავი. ახლა კი ნელ-ნელა კიდევ უფრო დიდად ვიტვირთები. ამას მწვრთნელებიც ამჩნევენ.

**— „კრივბასი“ მართლა დაიშალა?**

— დაშლის პირასაა. იქ სამი-ოთხი ფეხბურთელიღა თუ დარჩა. ხელფასებსაც ვერ გვირიგებდნენ. ჩემპიონატი ჩავამთავრეთ და ყველამ თავისი გზა ნახა. მე „სპარტაკში“ ვარ.

**— რომანცევთან გილაპარაკია, რაო, რა გითხრა?**

— ბევრიც არაფერი, თუმცა ვამჩნევ, მისმა თანაშემწეებმაც მითხრეს, კმაყოფილია. მეც თავს არ ვზოგავ, გულიანად ვვარჯიშობ და იმედი მაქვს, ამ გუნდის წევრი გავხდები.

**— საბოლოო პასუხს როდის იტყვიან?**

— სამშაბათს. რუსეთში ახლა პირველი წრე დამთავრდა და გუნდი რამდენიმე დღეს ისვენებს. რომანცევი კი სადღაც მიემგზავრება. ჩამოვა, ბაზაზე შევხვდები და ვნახოთ, რას მეტყვის. ჯერჯერობით, ხომ ვთქვი, იმისთანას ვერაფერს ვატყობ, აქედან გამომიშვას.

**— თუ „სპარტაკში“ დარჩი, ხომ კარგი, თუ არადა... „კრივბასი“ დაშლის პირასაა, იქ დამბრუნებელი ალბათ აღარ ხარ.**

— „კრივბასში“ დაბრუნება გამორიცხულია, თუმცა არც ისეა საქმე, უგუნდოდ დავრჩე. აგერ ახლა, სადაც ვცხოვრობ, მოსკოვის „დინამოს“ წარმომადგენლები მესტუმრნენ, მითხრეს, გაზაევის დავალებით მოვედითო. „დინამოში“ თამაში შემომთავაზეს. რამდენიმე ბელგიური კლუბიც მიწვევს, მათ შორის ბოსკამპის „გენკი“.

**— „დინამოს“ წარმომადგენლებს რა უპასუხე?**

— ჯერჯერობით არაფერი. ველოდები რას მეტყვის „სპარტაკი“. სხვებს მერე დაველაპარაკები.

**— რომანცევს შენზე უთქვამს, ეგ ბიჭი ლიბერო არ არის, მას უფრო მეტოქის პერსონალური მეურვეობა უნდა ეხერხებოდესო. ეს იცი?**

— ვიცი, რომელიღაც მწვრთნელმა მითხრა ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ.

**— ეთანხმები რომანცევს?**

— რა გითხრათ. ჩემთვის სულ ერთია, რას დამავალებენ, მთავარია, შუაში ვითამაშო.

**— ფეხბურთელები უკვე გაიცანი?**

— რამდენიმე ცოტა არ იყოს, ენის პრობლემა მაქვს და ურთიერთობა მიჭირს.

**ბონა ინასარიძე**



ფედერაცია ქართველი მსაჯების სახელით ჩემპიონატს აძვირებს

# აშვეთიადა...

ყველაზე სასარგებლო ქართველი სკამზე მჯდომი ქართველიაო — ასე მწარედ იხუმრა ერთმა უცნობმა ქომაგმა წლეულს 26 მაისს ეროვნულ სტადიონზე „ტორპედო“ — „ლოკომოტივის“ თასის ფინალისას. მაგალითად ალექსანდრე გოგობერიშვილი მოიშველია, ფეხბურთელი, რომელსაც იმ დროისთვის წუთიც არ ეთამაშა წლევანდელი რუსეთის ჩემპიონატის გუნდ-გამოცანა „ანჟიში“.

ცხადია, ასეთი ხუმრობა ზედმეტად უტრირებულია და გოგობერიშვილიც საუკეთესო მაგალითად არ გამოდგება, მაგრამ აქ არის სიმართლის ნატამალიც — ვინც არ თამაშობს, ის ხომ არ ცდება.

ხუმრობა იქით იყოს და წლეულს მართლაც მოისუსტეს რუსეთში ქართველმა ლეგიონერებმა. მეზობელი ქვეყნის ჩემპიონატიდან საუკეთესო ბომბარდირის გიორგი დემეტრაძის აბარგების შემდეგ რუსულ პრესა-ტელევიზიაში ჩვენებურის ძვირს თუ წაიკითხავს ან მოისმენს კაცი, თორემ ძვირზე ძვირად საქებარს.

ერთი შეხედვით არცაა გასაკვირი, ზაზა ჯანაშიას წილი მოსკოვის „ლოკომოტივის“ წლევანდელ მეორეობაში ლამის იმხელაა, რამხელაც თითოეული თქვენგანის. „სარბიელის“ გამოკითხვით საქართველოს 98/99 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელმა მხოლოდ შვიდჯერ (ისიც უმეტესად არასრულად) ითამაშა და ერთხელ გაიტანა სანახევროდ გასრულებულ რუსეთის ჩემპიონატში.

გოგობერიშვილსაც, მისი გუნდის საქმე ისე კარგად აეწყო, მხოლოდ 33 წუთით მოუწია ბოლოსწინა ტურში თამაში და აბა, იმისთვის ხომ არ შეაქებდა ვინმე, 14 მატჩია, სკამზე კარგად ზისო.

ერთი საქართველოს ნაკრების და „კრილიას“ მეკარე დავით გვარამაძე თუ მოსწყვეტდა ტრიბუნებს ტაშს და მოგვაწვდენდა ხმას სამარიდან (ღმერთმანი, უხერხული სიტყვათშეთანხმებაა). თვით „კრილიას“ შარშანდელი კაპიტანი ზურაბ ფოფხაძეც თავიდან თადარიგში განამწესეს და ბოლო ხანია, რაც თამაშს შეუდგა.

ახლა „ალანია“! სილაგაძე თუ იდგა, წერეთელი იჯდა, წერეთელი დადგა და სილაგაძე დასვეს. ფოცხვერიას ძირითადში თამაში არ ეღირსა და ვლადიკავკაზიდან სულ მთლად აიყარა. თითქოს ეს არ კმაროდა, ახლა ოსთა ძირითადის ერთადერთი უცვლელი ქართველიც თერთმეტეულს მიღმა არ მოხვდა?

მთელი საფეხბურთო ვლადიკავკაზი ამაოდ რომ ელოდა მისთვის ძველ აშვეთიაში ახალი დემეტრაძის პოვნას, ამან არ გაამართლა. მიხეილ აშვეთიამ სასტარტო ორ გოლს ხანგრძლივი გვალვა მოაყოლა. ჰოდა, ადგა ვლადიმერ გუცაევის შემცვლელი ალექსანდრ ავერიანოვი და აშვეთიას ახალი უფრო „სასარგებლო“ ამპლუა გამოუნახა — სკამზე დასვა.

აშვეთიამ კონკურენცია იგრძნო თუ რა, სამშაბათს მან თავისი საუკეთესო მატჩი გამართა რუსეთის ჩემპიონატში: 2 გოლი გაიტანა (ერთი თავით) და ერთხელაც საგოლე პასით დაასრულა ჩინებული დრიბლინგი.

აშვეთიას გოლები, ცხადია, სასიამოვნოა, მით უმეტეს, რომ ისინი ქართველის კარში არ გასულა.

ალექსანდრ ტარხანოვმა თადარიგშიც კი არ შეიყვანა მეკარე დავით გვარამაძე, რომელიც „როსტსელმაშთან“ 0:3 წაგებულ მატჩში ერთ-ერთ მთავარ დამნაშავედ ცნეს.

არადა, სანამ გვარამაძე მართლაც შეცდებოდა უხეშად, მან არბიტრ ბუტენკოს დანიშნული თავისუფალი დარტყმა მოიგერია და აბა, ის რა საყვედურია, ამას მოყოლილ პენალტს რომ ვეღარ გაუმკლავდა.

რუსეთში თუ პირველი წრე დამთავრდა, „ლეგიონერების“ წინა გამოშვების შემდეგ უკრაინის ჩემპიონატი დასრულდა. აქ აღსანიშნი კიეველთა მორიგი ჩემპიონობა, კაიდარაშვილის „კრივბასის“ ჩემპიონთა ლიგაში ვერმოხვედრა და ტერნოპოლის „ნივას“ გადარჩენაა.

დასრულდა მოლდოვის ჩემპიონატიც, სადაც მთელი სეზონი „შერიფი“ ლიდერობდა, მაგრამ ბოლოს ჩემპიონობა დაკარგა. ბოლო ტურში გორელი მიხეილ თაყაძის დებიუტი შედგა, რომელიც მანამდე „შერიფის“ სათადარიგო გუნდში თამაშობდა.

ლატვიაში სიტუაცია დიდად არ შეცვლილა. „სკონტო“ ისევ პირველია და „პოლიციასი“ ისევ მერვე (ბოლო). ეგაა, ზურაბ მენთეშაშვილი და ვალერი გაგუა ტრავმების გამო ვეღარ თამაშობენ.

და კიდევ საანგარიშო პერიოდში მეორე დამატებითი მატჩი ითამაშა ლევან ქებაძის ბერძნულმა „ირაკლისმა“. ამ სალონიკურმა კლუბმა თანაქალაქელ „არისს“ ხომ 2:0 მოუგო (ერთი ქებაძემ გაიტანა) და „პანიონიოს“ 2:2 დაუზავდა (ქართველმა 90 წუთი ითამაშა), რითაც უეფას თასის საგზური მოიპოვა.

**ვახტანგ ბზიკაძე**



მიხეილ აშვეთია და დავით გვარამაძე

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | შ | ზენიტი 1:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 1 | 3 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | ს | ცსკა 1:0 | 36 | შეცვლაზე ითამაშა | 11 | 2 | 11 |
| ლევან სილაგაძე | ალანია | ს | ცსკა 1:0 | 34 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 0 | 11 |
| მამუკა წერეთელი | ალანია | ს | ცსკა 1:0 | 56 | შეცვალეს, გააფრთხილეს | 7 | 0 | 11 |
| დავით გვარამაძე | კრილია | შ | ტორპედო 3:2 | 90 | | 4 | -5 | 9 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრილია | შ | ტორპედო 3:2 | 90 | გააფრთხილეს | 4 | 0 | 9 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | ურალანი 0:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 12 |
| ალექსანდრე გოგობერიშვილი | ანჟი | შ | ნ.ნოვგოროდი 4:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 2 |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| ზვიად ჯელაძე | ლ.პეტერბურგი | შ | ტორპედო ზილი 1:4 | 90 | | 9 | 0 | 19 |
| გიზო ჯელაძე | ლ.პეტერბურგი | შ | ტორპედო ზილი 1:4 | 75 | შეცვალეს | 12 | 0 | 19 |
| ბახვა ამბიძე | ვოლგარი | შ | ლადა 1:1 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 17 |
| გოჩა გოგრიჭიანი | ჟემჩუჟინა | ს | მ.ლიპეცკი 1:1 | 53 | შეცვალეს | 11 | 3 | 15 |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | ს | როსტსელმაში 0:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 1 | 3 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | შ | ურალანი 1:1 | 0 | სათადარიგო | 11 | 2 | 10 |
| ლევან სილაგაძე | ალანია | შ | ურალანი 1:1 | 47 | შეცვლაზე ითამაშა | 9 | 0 | 10 |
| მამუკა წერეთელი | ალანია | შ | ურალანი 1:1 | 90 | | 8 | 0 | 10 |
| დავით გვარამაძე | კრილია | ს | ზენიტი 3:0 | 90 | | 5 | -8 | 9 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრილია | ს | ზენიტი 3:0 | 90 | გააფრთხილეს | 5 | 0 | 9 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | ლოკომოტივი 0:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 12 |
| ალექსანდრე გოგობერიშვილი | ანჟი | ს | დინამო 1:2 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 2 |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| ზვიად ჯელაძე | ლ.პეტერბურგი | ს | ჟემჩუჟინა 3:4 | 90 | | 10 | 0 | 20 |
| გიზო ჯელაძე | ლ.პეტერბურგი | ს | ჟემჩუჟინა 3:4 | 0 | | 12 | 0 | 20 |
| ბახვა ამბიძე | ვოლგარი | ს | კრისტალი 0:0 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 17 |
| გოჩა გოგრიჭიანი | ჟემჩუჟინა | ს | ლ.პეტერბურგი 2:4 | 90 | 1 გოლი, გააფთხილეს | 12 | 4 | 12 |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | შ | ალანია 1:0 | 90 | გააფრთხილეს | 6 | 1 | 3 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | ს | ლოკომოტივი 0:1 | 17 | შეცვლაზე ითამაშა | 12 | 2 | 12 |
| ლევან სილაგაძე | ალანია | ს | ლოკომოტივი 0:1 | 90 | | 10 | 0 | 12 |
| მამუკა წერეთელი | ალანია | ს | ლოკომოტივი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 9 | 0 | 12 |
| დავით გვარამაძე | კრილია | შ | როსტსელმაში 0:3 | 53 | | 6 | -11 | 11 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრილია | შ | როსტსელმაში 0:3 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 5 | 0 | 11 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | კრილია 3:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 9 |
| ალექსანდრე გოგობერიშვილი | ანჟი | შ | სატურნი 2:0 | 33 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 2 |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| ზვიად ჯელაძე | ლ.პეტერბურგი | ს | ს.ნალჩიკი 0:2 | 0 | | 10 | 0 | 20 |
| გიზო ჯელაძე | ლ.პეტერბურგი | ს | ს.ნალჩიკი 0:2 | 0 | ტრავმა | 12 | 0 | 20 |
| ბახვა ამბიძე | ვოლგარი | ს | შინიკი 0:0 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 17 |
| გოჩა გოგრიჭიანი | ჟემჩუჟინა | შ | ბალტიკა 1:0 | 90 | | 13 | 4 | 10 |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | ს | ურალანი 0:1 | 36 | შეცვალეს | 7 | 1 | 2 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | შ | კრილია 4:3 | 60 | შეცვლაზე ითამაშა, 2 გოლი | 13 | 4 | 9 |
| ლევან სილაგაძე | ალანია | შ | კრილია 4:3 | 90 | | 11 | 0 | 9 |
| მამუკა წერეთელი | ალანია | შ | კრილია 4:3 | 90 | გააფრთხილეს | 10 | 0 | 9 |
| დავით გვარამაძე | კრილია | ს | ალანია 3:4 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 6 | -11 | 12 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრილია | ს | ალანია 3:4 | 90 | | 6 | 0 | 12 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | სპარტაკი 2:3 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 10 |
| ალექსანდრე გოგობერიშვილი | ანჟი | ს | ჩერნომორეცი 0:3 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 3 |
| **უკრაინა** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კახა კალაძე | დინამო | ს | მ.ზაპოროჟიე 3:0 | 0 | ტრავმა | 25 | 1 | 1 |
| გიორგი დემეტრაძე | დინამო | ს | მ.ზაპოროჟიე ძ3:0 | 0 | ნაკრებში იყო გამოძახებული | 12 | 5 | 1 |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | კრივბასი | შ | პრიკარპატია 3:0 | 0 | სათადარიგო | 22 | 5 | 3 |
| კახა კალაძე | დინამო | ს | მეტალისტი 5:0 | 0 | ტრავმა | 25 | 1 | 1 |
| გიორგი დემეტრაძე | დინამო | ს | მეტალისტი 5:0 | 90 | 1 გოლი | 13 | 6 | 1 |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | კრივბასი | ს | ვორსკლა 0:3 | 0 | ტრავმა | 22 | 5 | 3 |
| ვიტალი დარასელია | ცსკა | შ | კარპატი 2:3 | 58 | შეცვალეს | ? | 0 | 10 |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | შ | ჩორნომორეცი 3:1 | 90 | 1 გოლი | 21 | 12 | 13 |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | შ | ჩორნომორეცი 3:1 | 90 | საგოლე პასი | 29 | 3 | 13 |
| კახა დგებუაძე | ნივა | შ | ჩორნომორეცი 3:1 | 0 | სათადარიგო | 18 | 1 | 13 |
| ავთანდილ გვიანიძე | ნივა | შ | ჩორნომორეცი 3:1 | 90 | | ? | 0 | 13 |
| ავთანდილ სიხარულიძე | ნივა | შ | ჩორნომორეცი 3:1 | 41 | საგოლე პასი, გააფრთხილეს | 16 | 3 | 13 |
| შოთა ჩომახიძე | ნივა | შ | ჩორნომორეცი 3:1 | 90 | | 12 | 2 | 13 |
| კახა კალაძე | დინამო | შ | კრივბასი 2:1 | 0 | ტრავმა | 25 | 1 | 1 |
| გიორგი დემეტრაძე | დინამო | შ | კრივბასი 2:1 | 90 | 1 გოლი | 14 | 7 | 1 |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | კრივბასი | ს | დინამო 1:2 | 0 | ტრავმა | 22 | 5 | 3 |
| ვიტალი დარასელია | ცსკა | ს | ჩორნომორეცი 0:2 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | ? | 0 | 10 |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | ს | კარპატი 1:0 | 90 | | 22 | 12 | 12 |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | ს | კარპატი 1:0 | 90 | | 30 | 3 | 12 |
| კახა დგებუაძე | ნივა | ს | კარპატი 1:0 | 0 | სათადარიგო | 18 | 1 | 12 |
| ავთანდილ გვიანიძე | ნივა | ს | კარპატი 1:0 | 90 | | ? | 0 | 12 |
| ავთანდილ სიხარულიძე | ნივა | ს | კარპატი 1:0 | 45 | შეცვალეს | 17 | 3 | 12 |
| შოთა ჩომახიძე | ნივა | ს | კარპატი 1:0 | 90 | | 13 | 2 | 12 |
| **ლატვია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| | სკონტო | შ | პოლიციასი 2:0 | 0 | ნაკრებში იყო გამოძახებული | 9 | 3 | 1 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | შ | დინაბურგი 3:0 | 58 | შეცვალეს | 10 | 3 | 1 |
| | სკონტო | შ | მეტალურგსი 0:0 | 31 | შეცვლაზე ითამაშა | 11 | 3 | 1 |
| | სკონტო | შ | პოლიციასი 2:0 | 0 | ნაკრებში იყო გამოძახებული | 9 | 1 | 1 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | შ | დინაბურგი 3:0 | 0 | ტრავმა | 9 | 1 | 1 |
| | სკონტო | შ | მეტალურგსი 0:0 | 90 | | 10 | 1 | 1 |
| | სკონტო | შ | პოლიციასი 2:0 | 0 | ტრავმა | 8 | 3 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | დინაბურგი 3:0 | 0 | ტრავმა | 8 | 3 | 1 |
| | სკონტო | შ | მეტალურგსი 0:0 | 0 | ტრავმა | 8 | 3 | 1 |
| | სკონტო | შ | პოლიციასი 2:0 | 87 | შეცვალეს | 8 | 2 | 1 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | დინაბურგი 3:0 | 60 | შეცვალეს | 9 | 2 | 1 |
| | სკონტო | შ | მეტალურგსი 0:0 | 0 | სათადარიგო | 9 | 2 | 1 |
| | პოლიციასი | ს | სკონტო 0:2 | 0 | სათადარიგო | 9 | 0 | 8 |
| ვალერი გაგუა | პოლიციასი | შ | ვენტსპილსი 3:5 | 0 | სათადარიგო | 9 | 0 | 8 |
| | პოლიციასი | შ | ვალმეირა 1:0 | 0 | სათადარიგო | 9 | 0 | 8 |
| **მოლდოვა** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ლევან გვაზავა | ზიმბრუ | შ | ტილიგული 3:0 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 0 | 1 |
| | ზიმბრუ | ს | ოლიმპია 5:2 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 0 | 1 |
| დავით მუჯირი | შერიფი | შ | აგრო 1:0 | 90 | | ? | 11 | 2 |
| | შერიფი | ს | ნისტრუ 2:1 | 0 | სათადარიგო | ? | 12 | 2 |
| გიორგი რევაზიშვილი | შერიფი | შ | აგრო 1:0 | 0 | სათადარიგო | ? | 0 | 2 |
| | შერიფი | ს | ნისტრუ 2:1 | 90 | | ? | 0 | 2 |
| ვაჟა თარხნიშვილი | შერიფი | შ | აგრო 1:0 | 90 | | ? | 1 | 2 |
| | შერიფი | ს | ნისტრუ 2:1 | 0 | სათადარიგო | ? | 1 | 2 |
| თამაზ პერტია | შერიფი | შ | აგრო 1:0 | 0 | სათადარიგო | ? | 0 | 2 |
| | შერიფი | ს | ნისტრუ 2:1 | 0 | სათადარიგო | ? | 0 | 2 |
| მიხეილ თაყაძე | შერიფი | ს | ნისტრუ 2:1 | 90 | | 1 | 0 | 2 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

### ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** სააგენტოს ცნობით, „არსენალი" „კორინთიანსის" ნახევარმცველ ედუარდო სეზარ დაუდ გასპარს ანუ ედუს ყიდულობს და ბრაზილიურ კლუბს 6 მილიონ გირვანქას უხდის. თუმცა ლონდონელები ამ ინფორმაციას ჯერჯერობით არ ადასტურებენ. „კამერუნელი ლორენის გარდა ჯერჯერობით არავინ შეგვიძენია, თუ ვინმეს გადმოვიბირებთ, აუცილებლად შეგატყობინებთ" — განუცხადა „არსენალის" პრესატაშემ ჟურნალისტებს. ლონდონელები პორტუგალიელი ფორვარდის, ნუნუ გომეშის დაყოლიებასაც ცდილობდნენ, თუმცა ამაში „ასტონ ვილა„ უშლით ხელს — „ბენფიკას" 23 წლის თავდამსხმელს ჯონ გრეგორიმაც დაადგა თვალი. ბირმინგემულ კლუბში შეიძლება აღმოჩნდეს გომეშის თვისტომი ჟოაუ პინტუც.

**იუგოსლაველი ფორვარდი მატეა კეჟმანი შესაძლოა მიუნხენის „ბაიერნში" გადავიდეს. ბელგრადის „პარტიზანის" 21 წლის მოთამაშე ოტმარ ჰიცფელდმა მოიწონა. მისი სავარაუდო ფასი 15 მილიონი დოლარია. ახალგაზრდა ფეხბურთელის შეძენა სხვა ევროპულ გრანდებსაც სურთ, მათ შორის „მილანს", „ბარსელონასა" და „ფიორენტინას". შეგახსენებთ, რომ კეჟმანი ნორვეგიელებთან ჯგუფურ შეხვედრაში შეცვლაზე გამოჩნდა მინდორზე, თუმცა ერიკ მიუკლანდთან უხეშობის გამო რამდენიმე წამში წითელი ბარათი დაიმსახურა.**

**შოტლანდიის** ჩემპიონმა „გლაზგო რეინჯერსმა" „ჰიბერნიანის" ფორვარდი რენი მილერი 3 მილიონ დოლარად იყიდა. 20 წლის ფეხბურთელმა გლაზგოურ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მილერმა წინა სეზონში 13 გოლი გაიტანა. აქედან სამჯერ „რეინჯერსის" წინააღმდეგ გამოიჩინა თავი. გლაზგოელებმა სეზონის დაწყებამდე უკვე მეხუთე მოთამაშე შეიძინეს, მანამდე მათ ალკმარელი ფერნანდო რიკსენი, სანდერლენდელი ალან ჯონსტონი, ბოლტონელი პოლ რიჩი და აკადემისკელი პიტერ ლოვენკრაიდსი შეუერთდნენ.

**თურქეთის ჩემპიონ „გალათასარაის" მთავარ მწვრთნელად რუმინელი მირჩა ლუჩესკუ დაინიშნა. სპეციალისტმა უეფას თასის მფლობელთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ლუჩესკუ მანამდე მილანის „ინტერსა" და ბუქარესტის „რაპიდს" ავარჯიშებდა. შეგახსენებთ, რომ სტამბოლურ კლუბში მისი ორი თანამემამულე — გეორგე ჰაჯი და გეორგე პოპესკუ თამაშობს. ისიც გავიხსენოთ, რომ ლუჩესკუმ „გალათასარაიში" ფათიჰ თერიმი შეცვალა, რომელმაც ტრიუმფალური სეზონის შემდეგ „ფიორენტინას" მიაშურა.**

**იტალიური** „ინტერის" თავკაცი მარჩელო ლიპი გადახალისებას აპირებს. მილანელები იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრ, ნიკოლა ვენტოლას ერთი სეზონით, ალბათ, „ატალანტაში" გაანათხოვრებენ. „ინტერი" შესაძლოა ფრანჩესკო მორიერომ და ფრანჩესკო კოლონეზემ დატოვონ, ისინი „ლაციოში" გადავლენ, ხოლო რომიდან მილანში ლაციოელი გუერინო გოტარდი და სტეფანო ლომბარდი გადაინაცვლებენ. სავარაუდოა, რომ „ინტერი" სულ მალე „მონპელიეს" ფორვარდ სტეფან ბიაკოლოს შეიძენს. საფრანგეთის 18-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი მილანში უკვე ჩავიდა და სამედიცინო შემოწმება გაიარა.

**ფრანგული „მარსელი" „ფიორენტინას" მცველის ალდო ფირიკანოს გადაბირებას ამაოდ ლამობს — ვეტერანი ფეხბურთელი აცხადებს, რომ ფლორენციაში ბედნიერია და არსად წასვლას არ აპირებს. „ფიორენტინას" დატოვება არ მსურს, ფლორენცია მიყვარს და ამ გუნდის მაისურით თამაში მსიამოვნებს. როცა კარიერას დავასრულებ, მინდა, „ფიორენტინას" მწვრთნელი გავხდე" — თქვა 33 წლის ფირიკანომ.**

**რუმინეთის** პირველდივიზიონელი „ჩაჰლაულის" მწვრთნელი ვიორელ ჰიზო კლუბის ხელმძღვანელებთან უთანხმოების გამო თანამდებობიდან გაათავისუფლეს. რუმინული გაზეთის ცნობით, „ჩაჰლაულის" მეპატრონე გეორგე სტეფანმა ჰიზოს გუნდის ტაქტიკის შეცვლა მოსთხოვა, სპეციალისტს ეს არ ესიამოვნა და გადადგა. „მე მწვრთნელი ვარ და არ დავუშვებ, რომ ვინმემ ტაქტიკური სქემები დამიგეგმოს" — განაცხადა ჰიზომ. შეგახსენებთ, რომ „ჩაჰლაულმა" ინტერტოტოს პირველი ეტაპი წარმატებით დასძლია და 1-8 ივლისს ესპანურ „მალიორკას" შეხვდება.

**ლიბერიელი ჟორჟ ვეა შესაძლოა „მონაკოში" დაბრუნდეს და თავისი კარიერა საფრანგეთში დაასრულოს. ქვეყნის ჩემპიონი გუნდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი აცხადებს: „ვეას გადმობირებას მართლაც ვაპირებთ. გავიგეთ, რომ „მონაკოში" გადმოსვლას არც თავად ფეხბურთელი უარობს. მას სურს, ევროპული კარიერა დაასრულოს იქ, სადაც დაიწყო. ვეას „მილანთან" კონტრაქტის ვადა გაუდის და ჩვენთან, ალბათ, საკომპენსაციო თანხის გადაუხდელად გადმოვიყვანთ, თანაც „მონაკოში" თავისი ძველი თანაგუნდელი მარკო სიმონესთან ერთად ითამაშებს".**

**იტალიის** სერია B-ში გავარდნილი „ვენეცია" მწვრთნელად „ვერონას" თავკაც ჩეზარე პრანდელის იწვევს. ეს ინფორმაცია თავად გუნდის პრეზიდენტმა მაურიციო სამპარინიმ დაადასტურა. „ვიმედოვნებ, პრანდელი ვენეციას რამდენიმე დღეში ესტუმრება. იგი რაც შეიძლება მალე უნდა მოვიყვანოთ, რათა გუნდის დაკომპლექტება დაიწყოს" — განაცხადა სამპარინიმ. პრანდელის „ვერონას" ხელმძღვანელობასთან არცთუ სახარბიელო ურთიერთობა აქვს და ალბათ, კლუბს დატოვებს.

**იუგოსლაველმა სავო მილოშევიჩმა ევრო 2000-ზე ჩინებული თამაშით უმალ მიიპყრო ბობოლა კლუბების ყურადღება და პირველმა გამოხმაურებამაც არ დააყოვნა. მადრიდის „რეალი" მზადაა, „სარაგოსას" ის თანხა გადაუხადოს, რასაც ეს კლუბი ფეხბურთელში მოითხოვს. „მილოშევიჩი სწორედ ის მოთამაშეა, რომელიც „რეალის" თავდასხმას ჩინებულად მოერგება. რაული და სავო ბრწყინვალე დუეტს შექმნიან" — აცხადებს სამეფო კლუბის თავკაცი ვისენტე დელ ბოსკე. იუგოსლაველის მიმართ ინტერესს იტალიელებიც იჩენენ. „ლაციო", „იუვენტუსი", „მილანი" და „ფიორენტინა", მადრიდელთა მსგავსად, მზად არიან, მეგოლე თავის რიგებში იხილონ. 30-35 მილიონ დოლარად შეფასებული მილოშევიჩი განცვიფრებულია: „ეს სასიამოვნო სიურპრიზია, მეტს ვერაფერს ვიტყვი. ახლა მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს, კარგად დავისვენო, მერე კი სეზონისთვის მოვემზადო".**

**ესპანურმა** მადრიდის „რეალმა" სავო მილოშევიჩის შეძენა კი მოისურვა, მაგრამ თანახმაა, ფრანგი ნიკოლა ანელკა და ფერნანდო მორიენტესი გუნდიდან გაუშვას. მორიენტესის თაობაზე ჯერ არავინ შეხმიანებიათ, ანელკას გადაბირება კი „პარი სენ ჟერმენს" უნდა, მან ხომ ფეხი იქ აიდგა. პსჟ მზადაა, დღესვე „რეალს" ანელკას სანაცვლოდ 18 მილიონი გირვანქა ჩაუთვალოს. სამეფო კლუბი კი უარზეა — „არსენალს" რაც გადავუხადეთ, 23 მილიონი გირვანქა, გვიბოძეთ და ანელკაც თქვენთვის დაგვითმიაო.

**არგენტინის ნაკრების მეკარე პაბლო კავალიერო „სელტაში" გადავიდა, მან ვიგოურ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გალისიელებმა არგენტინულ „ველეს სარსფილდს" გოლკიპერის სანაცვლოდ 2,8 მილიონი დოლარი გადაუხადეს. კავალიეროს პრიმერადივიზიონში ადრეც უთამაშია, „ესპანიოლში" იგი განათხოვრებით ასპარეზობდა. მისმა გუნდმა ესპანეთის თასი მოიგო.**

## რუსეთი

### XV ტური

**სატურნი 1:0 ნ. ნოვგოროდი**

1:0 მოვსესიანი (35)

**ჩერნომორეცი 3:0 ანჟი**

1:0 პოპოვი (29), 2:0 სვისტუნოვი (49), 3:0 პრიზეტკო (85)

**ტორპედო 2:0 როტორი**

1:0 ვიაზმიკინი (25), 2:0 ლიტვინოვი (51)

**ზენიტი 5:0 ფაკელი**

1:0, 2:0, 3:0 პოპოვიჩი (8, 22, 48), 4:0 კობელევი (63), 5:0 პანოვი (84)

**როსტსელმაში 2:3 სპარტაკი**

0:1 რობსონი (8), 0:2 შირკო (19), 1:2 კორიჩენკო (23პ), 1:3 ხლესტოვი (31), 2:3 ხანკეევი (86)

**ალანია 4:3 კრილია**

0:1 კასიმოვი (44), 1:1 აშვეთია (48), 1:2 ლაკიჩი (61), 2:2 კუტარბა (63), 3:2 აშვეთია (69), 3:3 ლაკიჩი (78), 4:3 თედეევი (79)

**ურალანი 0:1 ლოკომოტივი**

0:1 ხარლაჩევი (61)

**ცსკა 2:2 დინამო**

0:1 გრიშინი (4), 1:1 შიშკინი (15), 1:2 რომაშჩენკო (53), 2:2 ხომუხა (71)



ტორპედო — როტორი 2:0. მასპინძელმა რიმანტას ჟვინგილასმა სტუმარი იგორ დუბროვსკი აბანავა

**სანამ** ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის — რუსეთის ჩემპიონატის მე-15 ტურის მატჩების მიმოხილვას შევუდგებოდი, უნებურად ათი წლის წინანდელი ამბები გამახსენდა. მაშინ, 1990-ში, იტალიაში მსოფლიოს ჩემპიონატი იყო გახურებული, ჰოდა, იმ გაგანია ფეხბურთისას, თუ არ ვცდები, ერთადერთი ქვეყანა ატარებდა ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს — საქართველო. სწორედ მაშინ იმართებოდა პირველი ეროვნულის კალენდარული მატჩები.

ახლა, ევრო 2000-ის დროსაც, ერთ ქვეყანაში ტარდება ტურის მატჩები. რუსებმა თუ ასე გააგრძელეს, არაა გამორიცხული, პრემიერლიგასაც გაეჯიბრნონ. ალბიონზე ხომ თითქმის ყოველ მეორე დღეს ბურთაობენ. აგერ, ახლახან იყო მე-13 და მე-14 ტურის მატჩები, გუშინწინ კი რუსეთში პირველი წრე გასრულდა. რა მოხდა ამ ტურში? „სპარტაკს" წინა ტურში შინ „ზენიტთან" წაფორხილებამ კარგი გაკვეთილი ჩაუტარა, „როსტსელმაშს" სტუმრად 3:2 სძლია. როგორც იქნა, მოიგო მოსკოვის „ლოკომოტივმა", რკინიგზელებს მძიმე კრიზისში მყოფი „ურალანი" ემსხვერპლა. „ალანიას" მწვრთნელმა ალექსანდრ ავერიანოვმა ჩვენებური მიხეილ აშვეთია 30-ე წუთზე შეუშვა სიკოევის ნაცვლად მინდორზე და არც ინანა. მიხომ ორი ბურთი თავად გაიტანა, ერთი საგოლე პასიც მიითვალა და ჟურნალისტებმაც მატჩის საუკეთესოდ ცნეს. ვლადიკავკაზური მატჩი უხვგოლიანობით და ქართველებით გამოირჩა. სტუმარ ზურაბ ფოფხაძეს, მასპინძლობას მამუკა წერეთელი, ლევან სილაგაძე და მიხეილ აშვეთია უწევდნენ. როგორც ჩანს, სამარელთა თავკაცი ალექსანდრ ტარხანოვი საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე დავით გვარამაძის წინა ტურში „როსტსელმაშთან" მატჩით უკმაყოფილო დარჩენილა, ქართველი ვერც 18-კაციან განაცხადში მოხვდა.

წინა ტურში „სპარტაკის" მოსკოვში ძლევამ „ზენიტი" მადაზე მოიყვანა და ვორონეჟის „ფაკელიც" 5:0 გაბდღვნა. ფრანგულ „სენტ ეტიენში" წასასვლელად გამზადებული ალექსანდრ პანოვს არ უნდოდა, თავისი ბოლო მატჩი უგოლოდ დაესრულებინა. როცა 4:0 გახდა, პეტერბურგელებმა თავიანთ ლიდერზე დაიწყეს თამაში. ერთი ბურთიც და თავდამსხმელი „ზენიტის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირობას გამოჰკრავდა ხელს, მიაღწია კიდეც მიზანს. იგონინის პასით 84-ე წუთზე ორი მეურვე მოატყუა იოლად, მერე მეკარეც მიაყოლა და თავისი 25-ე ზენიტური ბურთიც გაიტანა. ბოლოს არბიტრმაც ჩასტვინა და პანოვის პეტერბურგული ოდისეაც დასრულდა.

მახაჩყალის „ანჟიმ" აურია, ნოვოროსიისკში ულაპარაკოდ წააგო 0:3 და მეორე ადგილიც დედაქალაქურ „ლოკომოტივს" გაუცვალა.

მოსკოვურ დერბიში „დინამო" ორჯერ უგებდა არმიელებს, მაგრამ ბოლოს მშვიდობიანად დაშორდნენ.

**გიორგი ვაშაკიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 15 | 12 | 1 | 2 | 33:12 | 37 |
| ლოკომოტივი | 15 | 9 | 5 | 1 | 16:6 | 32 |
| ანჟი | 16 | 9 | 2 | 5 | 25:14 | 29 |
| ჩერნომორეცი | 15 | 8 | 4 | 3 | 26:9 | 28 |
| ტორპედო | 15 | 8 | 4 | 3 | 20:13 | 28 |
| დინამო | 15 | 8 | 4 | 3 | 21:15 | 28 |
| ზენიტი | 16 | 7 | 4 | 5 | 21:13 | 25 |
| სატურნი | 15 | 7 | 3 | 5 | 14:13 | 24 |
| ალანია | 15 | 5 | 3 | 7 | 15:20 | 18 |
| როსტსელმაში | 16 | 3 | 8 | 5 | 12:11 | 17 |
| როტორი | 15 | 4 | 4 | 7 | 15:28 | 16 |
| კრილია | 15 | 5 | 0 | 10 | 17:29 | 15 |
| ცსკა | 15 | 3 | 3 | 9 | 12:23 | 12 |
| ფაკელი | 15 | 2 | 6 | 7 | 16:30 | 12 |
| ურალანი | 15 | 2 | 4 | 9 | 11:20 | 10 |
| ნ. ნოვგოროდი | 16 | 0 | 5 | 11 | 6:24 | 5 |

# მატრიარქატი ბელარუსში

## ედუარდ მალოფეევი: ჯერ ცოლი, მერე... ნაკრები

**ფეხბურთის** სტაჟიან გულშემატკივართ ედუარდ მალოფეევი უთუოდ გეხსომებათ. საბჭოეთის ხანაში მინსკის „დინამოსა" და სსრკ ნაკრების მოთამაშე, შემდგომში ჩინებული მწვრთნელობითაც იწონებდა თავს. რისი დასტურიც მინსკის „დინამოს" 1982 წელს გაჩემპიონება და შემდეგ ერთხანს საბჭოეთის ნაკრების თავკაცობა გახლავთ.

წარმოშობით რუსი სპეციალისტი ახლა კვლავაც გაიხსენეს. ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციამ მალოფეევს ეროვნული ნაკრების თავკაცობა შესთავაზა, თქვენზე უკეთესი კანდიდატურა არა გვყავსო. მალოფეევი არ ჩქარობს, ჯერ ოჯახს, კერძოდ კი მეუღლე დინას უნდა მოველაპარაკო, ღირს თუ არა ამ პოსტის დაკავებაო, თუმცა „ვთვლი, რომ ბელარუსის ნაკრებს ძალუძს, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დაძლევა, სადაც ჩვენს გარდა უკრაინის, ნორვეგიის, პოლონეთის, უელსის და სომხეთის გუნდები ითამაშებენ. თუ მინსკში ჩავალ და ნაკრებს ჩავიბარებ, ყურადღებას მის წევრთა ურთიერთობაზე გავამახვილებ, უპირველესად კი კიევის დინამოელ ლიდერებს — ხაცკევიჩსა და ბელკევიჩს დაველაპარაკები."

ჟურნალისტის კითხვაზე, ხელმეორედ რითი დაიწყებს ბელარუსის პირველი გუნდის შენებას, მალოფეევმა უპასუხა: „ფეხბურთელებმა თავიანთ კლუბებში მაქსიმუმი უნდა გაიღონ, ყველანაირად დაიხარჯონ, ნაკრებში მხოლოდ ღირსეული ითამაშებს. პირველი „შემოწმება" კი მატჩი იქნება, სადაც ერთმანეთს ბელარუსის ჩემპიონატის კლუბების ნაკრები და ლეგიონერები შეხვდებიან, ყველა მაშინ დარწმუნდება, ვინ არის ღირსეული."


სიახლე!

პირველად საქართველოში!

რადიო „ევრიკა" გთავაზობთ პროექტს „ევრო 2000"

RADIO EVRIKA 100.3 FM

*გადაცემაში „ევრო 2000" თქვენ თამაშების წინ მოისმენთ:*

- ცოტაოდენი რამ ევროპის ჩემპიონატის ისტორიიდან
- ინფორმაცია ფეხბურთელთა პირადი ცხოვრებიდან
- კურიოზები და ანეკდოტები ფეხბურთზე
- სტატისტიკური ცნობები ევროპის ჩემპიონატის შესახებ
- გასული თამაშის მიმოხილვა
- საუბარი იმ გუნდების შესახებ, რომელთა თამაშიც არის იმ დღეს, ხოლო გადაცემის ბოლოს მიიღებთ მონაწილეობას საინტერესო ვიქტორინაში.

გენერალური პრიზის მომწოდებელი — ტურისტული ფირმა „აფრა"

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**კროკოს ბიუროები ევროპის ჩემპიონატის მატჩების დღეებში უქმეების გარეშე იმუშავებს (როცა თამაშები არ ტარდება — ჩვეულებრივი განრიგით)**

### ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 29 ივნისი | | | |
| 030 | ჰოლანდია-იტალია | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| | მჩ შესარჩევი მატჩები | | | |
| | 29 ივნისი | | | |
| 034 | კოლუმბია-არგენტინა | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 035 | ჩილე-პარაგვაი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 036 | ეკვადორი-პერუ | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| | ავსტრია. სუპერთასი | | | |
| | 30 ივნისი | | | |
| 045 | ტიროლი-გრაცერი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 29 ივნისი | | | | | | | | | |
| 21.00 | 080 | ჰოლანდია-იტალია | 2,8 | 10,0 | 18,0 | 3,4 | 4,5 | 6,3 | 12,0 | 9,0 | 5,6 |

| ჩემპიონი | | ფინალში გასვლა | |
|---|---|---|---|
| 28 ივნისი (21.00) | | 28 ივნისი (21.00) | |
| 101 ჰოლანდია | 2,0 | 201 ჰოლანდია | 1,4 |
| იტალია | 3,5 | იტალია | 2,3 |

*(დასაშვებია ორი გუნდის გადამრავლება)*

### ევროპის ჩემპიონატის ბომბარდირი. 28 ივნისი (21.00)

| | | | |
|---|---|---|---|
| 701 მილოშევიჩი | 4,0 | 701 ფ.ინძაგი | 20,0 |
| კლუივერტი | 1,1 | ზენდენი | 50,0 |
| კონსეისაუ | — | ტოტი | 30,0 |
| ანრი | — | გომეში | — |
| ფ. დე ბური | 50,0 | ანელკა | — |
| დელ პიერო | 50,0 | ჯორკაეფი | — |

*იმ შემთხვევაში, თუ ორმა ან მეტმა ფეხბურთელმა გოლების თანაბარი რაოდენობა დააგროვა, დადებულ ფსონს ზემოთ მოგებული თანხა ბომბარდირთა რაოდენობაზე გაიყოფა*

**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი; თემქა, მე 11-ე მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და

**ახალი ბიუროები: ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)**

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „იმერიონის“ შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

**რუსთავში ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს“ განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.**

*დასაშვებია მხოლოდ ის გადამრავლებები, რომლებიც მითითებულია სიაში არასწორი გადამრავლებისას, დარიცხება პროგნოზთა ის ჯგუფი, რომლის კოეფიციენტთა ნამრავლიც მეტია*

*გადამრავლება დასაშვებია მხოლოდ იმ წესით რომელიც ზემოთ არის მითითებული*

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# ოთარ ხმელიძე ამბობს ძალიან ბევრს და არ ამბობს უფრო მეტს



ოთარ ხმელიძე

*საკალათბურთო ჩემპიონატის ფინალი „აზოტის" გარეშე წარმოუდგენელი გახდა. ზედიზედ სამი წელია, რუსთაველი გუნდი ფინალამდე აღწევს, მაგრამ იქ რატომღაც ყოველთვის მარცხდება. „აზოტი" ერთხელაც ვერ შესწვდა სანუკვარ ჩემპიონობას, მუდმივად მეორეა და გულდაწყვეტილი. ჯერ იყო და ორჯერ „ვითა", ახლა კი ბათუმის „ბასკო" გადაეღობა ტრიუმფის გზაზე ოთარ ხმელიძის გუნდს. „აზოტის" ხვედრი ამჯერადაც ვერცხლია... ტრადიციადქცეულ ვიცე-ჩემპიონობას ტრადიციულივე მიზეზით ხსნიან რუსთაველები. ბევრჯერ მინიშნებით, ახლა კი დაუფარავად გაიშვირეს ხელი მსაჯებისკენ. შეფიქრიანებული და საშინლად იმედგაცრუებულია გუნდის მთავარი მწვრთნელი ოთარ ხმელიძეც, ყოველივე მის საუბარშიც აშკარად იგრძნობა...*

— სეზონის დასაწყისში მიზნად ჩემპიონობა დავისახეთ და რომ არ მიკერძოებული მსაჯობა, წინ ვერაფერი დაგვიდგებოდა. გაგვწირეს, უკვე მერამდენედ, არც კი ვიცი, რაღა ვთქვა. განუკითხაობაა ქართულ კალათბურთში, ამას უკვე კარგა ხანია, მივხვდი. ის ვერ გავიგე, „აზოტს" რას ერჩიან, ფაქტია, რომ განტევების ვაცის როლში სულ ჩვენ გამოვდივართ.

მსაჯობა კი არა, კოშმარი იყო, არბიტრები „აზოტს" უსინდისოდ მოექცნენ, რის შემდეგაც მათ მადლობას უხდიან. უტიფრობაა, როცა ამბობენ, მაჩალაძისა და ბერეკაშვილის დონის მსაჯები რუსეთშიც არ მოიძებნებაო. დონე რა შუაშია? მსაჯი პიროვნება უნდა იყოს, მასზე ვერავინ უნდა ახდენდეს გავლენას, ჩვენი არბიტრების შემხედვარე ვინღა აიღებს სასტვენს ხელში?

ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. თუ ფედერაციაში პატიოსანი დარჩა ვინმე, ხმა აიმაღლოს და უსამართლობას დაუპირისპირდეს, თუ არა და ქუდი დაიხუროს. მე რომ ფედერაციის პრეზიდენტი ვყოფილიყავი, ვიცი, როგორ მადლობასაც გადავუხდიდი მსაჯებს, მაგრამ... ვინ არის მაგათი დამტუქსავი, რაც უნდათ იმას აკეთებინებენ, ჩემს გუნდს კი ყველანაირი ხერხით ებრძვიან. ერთხელაც არ მოსულა ჩემთან ფედერაციის რომელიმე წარმომადგენელი და გამარჯვება არ მოულოცავს. ამის შემდეგ რა გინდა იფიქრო?

**— მაშ, ფედერაცია „ბასკოს" გაჩემპიონებით იყო დაინტერესებული?**

— რა თქმა უნდა. აქ „აზოტი" და ოთარ ხმელიძე არაფერ შუაშია. ნებისმიერი ყოფილიყო ჩვენს ადგილზე, ასევე მოექცეოდნენ. ქართული კალათბურთისთვის, მოგეხსენებათ, დიდი საქმე გაკეთდა ბათუმში, „ბასკომ" ეროვნულ ნაკრებსაც დიდი დახმარება გაუწია. ამიტომაც გადაიხარა ფედერაციის სიმპათიები ზღვისპირელთა მხარეს. ყოველივემ გავლენა იქონია ჩვენი კალათბურთის ჩინოვნიკებზე, უბრალოდ, იმის კაცი არა ვარ, ყველაფერი დავაკონკრეტო, არის ისეთი რაღაცეები, რისი თქმაც არ შეიძლება.

**— ბატონო ოთარ, საზოგადოებაში ჩამოყალიბდა აზრი, რომ „აზოტი" ნებისმიერ შემთხვევაში ჯოხს მსაჯებზე ტეხს. იმასაც ამბობენ, ფინალური სერიის მეორე შეხვედრაში 39 ქულით წაგების შემდეგ არბიტრებზე ენა როგორღა მოუბრუნდა ხმელიძესო...**

—თქვენ წარმოიდგინეთ, იმ მატჩშიც ბევრჯერ მეტოქის სასარგებლოდ შეცდნენ მსაჯები. ეს მე აშკარად დავინახე და ამიტომაც გამოვთქვი პრეტენზია. სხვანაირად არ შემიძლია, ასეთი ვარ და ვერაფერი შემცვლის, რაღა დაგიმალოთ და არც გამოსწორებული ხალხის მჯერა.

კონკრეტულ თამაშს რაც შეეხება, მსაჯებზე მეტად ჩემმა ბიჭებმა დამწყვიტეს გული. მართალია შეცდნენ მსაჯები, მაგრამ კალათბურთელებს მაინც არ ჰქონდათ მოდუნების უფლება. ეს ძალიან განვიცადე. მატჩის შემდეგ მეტისმეტად მკაცრი საუბარი მქონდა მათთან, ერთი-ორი ისეთი მწარეც ვთქვი, ახლა მრცხვენია კიდეც, მაგრამ თავს მაინც ბედნიერად ვგრძნობ. ბიჭებმა გამიგეს და გვერდში დამიდგნენ, ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლეს, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის.

**— რამდენადაც ვიცით, ფინალის მეოთხე შეხვედრაში საერთოდ არ აპირებდა „აზოტი" მოედანზე გასვლას. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა, თუმც ადვილი მისახვედრია, რომ ეს იქნებოდა პროტესტის კიდევ ერთი გამოხატულება მსაჯებისა და მთლიანად ფედერაციის მიმართ.**

— პროტესტი პროტესტად, მაგრამ რომ დავფიქრდეთ, ეს უპირველესად საკუთარი თავის უპატივცემლობა იქნებოდა და სწორედ ამან აგვაღებინა ხელი განზრახვაზე. ანგარიში გავუწიეთ ჩვენს გულშემატკივარს, პატივი ვეცით კალათბურთს და სხვათა შორის, ფედერაციასაც, მიუხედავად იმისა, იმსახურებდა თუ არა ამას ჩვენგან. ერთხანს მართლაც სერიოზულად ვფიქრობდით, უარი გვეთქვა თამაშზე. ძალიან ძნელია, უყურო მსაჯთა უამრავ ცალმხრივ შეცდომას და მშვიდად იჯდე, მათმა ქმედებამ მწვრთნელებიც და კალათბურთელებიც წონასწორობიდან გამოგვიყვანა. არბიტრებმა ჩვენი ოცნებები ფაქტობრივად დაასამარეს მესამე მატჩში. ძალიან მტკივა გული და ამას იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ყოველ წელს მთელ შრომას წყალში მიყრიან. თქვენ რა გგონიათ, იგივე მაჩალაძესა და ბერეკაშვილს რამეს ვეტყვი? არა, მათ ისევე თბილად შევხვდები, როგორც აქამდე. გულში ჩადება და ბოღმის ამონთხევა არ მჩვევია.

**— გამოდის, „ბასკომ" მხოლოდ ფედერაციის ხელშეწყობით მიაღწია ჩემპიონობას და არა კარგი თამაშით. არადა, სპეციალისტთა უმრავლესობამ ფავორიტად თავიდანვე ბათუმელთა გუნდი შერაცხა, აქაოდა, შემადგენლობაც უკეთესი ჰყავსო...**

— მეტოქე მართლაც ღირსეული გვყავდა. ჩვენი დაპირისპირება ზეიმად უნდა ქცეულიყო, მაგრამ ვიმეორებ, მსაჯებმა ყველაფერს ხაზი გადაუსვეს. სულაც არ მსურს „ბასკოს" დამსახურების დაკნინება, ბათუმელებს გულწრფელად ვულოცავ წარმატებას, მათ, ალბათ, მიზანმიმართულად წარმართეს თავიანთი საქმიანობა და შედეგიც მოიმკეს. ერთის მხრივ, რომ დაფიქრდე, არც არის გასაკვირი ზღვისპირელთა ჩემპიონობა. „ბასკო" მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ჩვენზე უკეთეს პირობებში ემზადებოდა, მოაწყო რამდენიმე შეკრება, ჰყავს ჩინებული მწვრთნელები ზურაბ ტომარაძის თაოსნობით, ფინალისთვის რუსი სპეციალისტიც დაიხმარა, ჩვენს კვალობაზე შესანიშნავ კალათბურთელებსაც მოუყარეს თავი, შეკრული, მებრძოლი გუნდია და ვფიქრობ, პოტენციაც გაცილებით დიდი აქვს, ვიდრე ეს ფინალურ სერიაში გამოვლინდა. არ დაგავიწყდეთ, რომ ტრავმირებული მამუკა აბრამიძის სახითაც უდიდესი ძალა მოისაკლისეს ბათუმელებმა. იგი რომ ჰყოლოდათ, დარწმუნებული ვარ, ერთიორად უკეთესი კუთხით წარმოჩნდებოდა „ბასკო".

**— ორიოდ სიტყვით სტუ-სთან ნათამაშევ ნახევარფინალურ შეხვედრებზეც ვთქვათ. ბევრისთვის მოულოდნელად, „აზოტმა" საკმაოდ იოლად დასძლია სტუდენტური ბარიერი.**

— ექვსეულის მატჩების დამთავრების შემდეგ საგანგებო პროგრამით შევუდექით ნახევარფინალისთვის და ფინალისთვის მზადებას. ვიცოდით, რომ სტუს-თან ძალიან მძიმე ბრძოლა მოგვიწევდა, ამიტომ თავდაპირველად ამ გუნდის წინააღმდეგ თამაშზე გავაკეთეთ აქცენტი. აღმოვაჩინეთ ჩვენი კოზირები, რაც აუცილებლად უნდა გამოგვეყენებინა, სხვანაირად წარმატებას ვერ მივაღწევდით.

საბედნიეროდ, ყველაფერი შევასრულეთ, რაც მიზნად დავისახეთ. თბილისურ მატჩებში სულაც საუკეთესო თამაში აჩვენა „აზოტმა", ფსიქოლოგიურადაც მეტოქეზე უკეთ ვიყავით მომზადებულნი, რამაც, ვფიქრობ, გადამწყვეტი როლი ითამაშა. საკუთარ კედლებში თამაში შედარებით გაგვიჭირდა. ეს, ალბათ, ნერვიულობით აიხსნება, ქომაგების წინაშე გაორმაგებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობდით. სტუმაც პირველი შეხვედრიდან შესაბამისი დასკვნები გამოიტანა, და ერთიორად აგრესიული დაცვა დაგვიპირისპირა. ნახევარფინალში გამარჯვებას მნიშვნელოვნად იმანაც შეუწყო ხელი, რომ იმ დროისთვის გუნდი შეკრებაზე იყო გადასული. სულ ერთად ვიყავით, რაც საშუალებას მაძლევდა, მუდმივად მელაპარაკა ბიჭებთან. ფინალისთვის კი ეს აღარ მოხერხდა, [illegible] ეკონომიკური პირობების გამო. ამიტომ არ შემეძლო, კალათბურთელებს გავსაუბრებოდი და მათთვის რჩევა-დარიგება მიმეცა, თამაშის წინ მიხდებოდა წინა შეხვედრის გარჩევა და ბიჭებისთვის მომდევნო მატჩის სათამაშო სქემის გაცნობა. ეს რომ არა, ვინ იცის, იქნებ საწადელიც ბოლომდე აგვესრულებინა, სტუ-ს მაგალითმა ხომ ნათლად დაგვანახა, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ამ დროს შეკრებას. მიმაჩნდა და ახლაც ამ აზრზე ვარ, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი „ბასკოზე" მეტი თუ არა, ნაკლები სიძლიერის სულაც არ არის.



რამაზ გოგობერიშვილი (ბურთით) „აზოტისთვის" ძალიან ბევრს ნიშნავს

**— ახლა დროა, „აზოტის" კალათბურთელებზეც ვთქვათ, ვის ემადლიერებით, ვის — არა...**

— ერთი ნამდვილად ვიცი, თავი არავის დაუზოგავს, ყველამ მეტნაკლებად შესაძლებლობების მაქსიმუმი გაიღო, რისთვისაც ბიჭებისთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. სხვა რგოლებთან შედარებით ჩვენს გუნდს უკანა ხაზი უფრო ძლიერი ჰყავს. აჩიკო ჟღენტი უნიჭიერესი გამთამაშებელია, თუმც სიმართლე გითხრათ, ჩემპიონატის განმავლობაში მისი თამაშით უკმაყოფილო ვიყავი. ერთხელ მას სერიოზულადაც ველაპარაკე, რამაც აჩიკოზე სასიკეთოდ იმოქმედა და ვფიქრობ, ჩემპიონატის გადამწყვეტ ფაზაში მან ბრწყინვალედ გაართვა თავი დაკისრებულ მისიას. რამაზ გოგობერიშვილზე საუბარიც ზედმეტია, ბედნიერებაა, როცა გუნდში ასეთი კალათბურთელი გყავს. გოგობერიშვილი და ზაზა გაბისონია დანარჩენებს თავდადების მაგალითს აძლევენ, რწმენას ულვივებენ. ერთადერთი, რასაც გოგობერიშვილს ვსაყვედურობ, ისაა, რომ პარტნიორებს ხშირად ეკამათება, მაგრამ ამას მეორე მხარეც აქვს — ძალიან განიცდის, როცა მხარს ვერ უბამენ. ბაბიაშვილი, წიკლაური, ბერუაშვილი, ჩაჩუა, ჯიმშელეიშვილი — უქლებლივ ყველა ქებას იმსახურებს. რაც შეეძლო, გააკეთა ვანო გოგოლაძემაც, მან უკვე დაანება თავი კალათბურთს და შეუძლებელია, მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიო. კოჭლამაზაშვილს, მართალია, არც თუ ხშირად უწევდა თამაში, მაგრამ მუდამ გუნდის ინტერესის დაცვას ცდილობდა. ანატოლი ბოისა და იური დანელიანი კი ჯერაც ახალგაზრდები არიან და ყველაფერი წინ აქვთ.

**— მომავალში, ალბათ, ცვლილებებსაც უნდა ველოდოთ „აზოტში". ახლა თუ არა, სულ მალე, ვფიქრობ, აუცილებლად მომწიფდება გუნდის გადახალისებისა და გაახალგაზრდავების საკითხი.**

— გადახალისებას, მე თუ მკითხავთ, ახლავე საჭიროებს გუნდი, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ფინანსებზეა დამოკიდებული. არის რამდენიმე მოთამაშე, რომელთა ჩემს გუნდში ხილვასაც ძალიან ვისურვებდი, მაგრამ ფული თუ არ იქნა, მათი „აზოტში" მოწვევისგან ძალაუნებურად თავი უნდა შევიკავოთ.

**— როგორც ვიცით, წლეულს „აზოტი" კორაჩის თასის გათამაშებაში მონაწილეობას არ მიიღებს. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ...**

— ესეც თანხების უქონლობით არის გამოწვეული. ფინალში წაგება არანაირად არ უკავშირდება კორაჩზე თამაშს. კლუბის ხელმძღვანელები ამის თაობაზე ჯერ კიდევ რეგულარული ჩემპიონატის დროს გვესაუბრნენ და ალალად გვითხრეს, რომ წლეულს კორაჩის თასზე სამონაწილეო თანხას ვეღარ გადაიხდიდნენ. ეს, ცხადია, ძალიან საწყენია, რადგან ევროტურნირში დაგროვებული გამოცდილება შემდეგ ეროვნულ ჩემპიონატშიც ძალიან დაგვეხმარებოდა. მაგრამ რას ვიზამთ, თავს ზემოთ ძალა არ არის.

**— როდის შეუდგება „აზოტი" მომავალი სეზონისთვის მზადებას?**

— სავარაუდოდ ხუთ აგვისტოს შევიკრიბებით. თავდაპირველად რუსთავში ვივარჯიშებთ, შემდეგ ორკვირიან მზადებას გავივლით ურეკში, ამის მერე კი ისევ მშობლიურ ქალაქში გავაგრძელებთ წვრთნას.

მერწმუნეთ, მათე ეროვნულშიც მხოლოდ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს „აზოტი", ხელი არასდროს ჩაგვიქნევია და ამას არც ახლა ვაპირებთ. ერთადერთი მიზანი გვაქვს და რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა მივაღწიოთ.

გიორგი ბიძაშვილი

## ევროპული ამბები

### საბერძნეთი

# ოლიმპიაკოსს დიდება დაუბრუნდა

ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐ გავჩარხეო, პირეოსის „ოლიმპიაკოსმა“ უნდა თქვას. გუნდმა ის მოთამაშე დაიბრუნა, ვისი წყალობითაც სამი წლის წინ ევროლიგა მოიგო და ამით ისტორიაში ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია. ამერიკელი დევიდ რივერსი პირეოსში დაბრუნდა და მომავალ სეზონში „ოლიმპიაკოსის“ თეთრ-წითელ მაისურას მოირგებს.

ევროპის ერთი-ერთი საუკეთესო მოთამაშის დასაკუთრებისთვის „ოლიმპიაკოსს“ ერთი დოლარიც კი არ გადაუხდია. მოგეხსენებათ, რივერსი თურქეთის ბოლო ორი წლის ჩემპიონ და თასის მფლობელ ბურსას „თოფაშში“ თამაშობდა. ფინანსური პრობლემების გამო „თოფაში“ დაიშალა და მისი კალათბურთელები თავისუფალ აგენტებად იქცნენ. „ოლიმპიაკოსმაც“ პირველმა გაუბა მოლაპარაკება რივერსს და ერთწლიან კონტრაქტზე დაიყაბულა.

რივერსი 1995-97 წლებში თამაშობდა „ოლიმპიაკოსში“. ამ ხნის განმავლობაში პირეოსელები ორჯერ გახდნენ საბერძნეთის ჩემპიონები და 1997 წელს ევროლიგა მოიგეს. იმ წელს რივერსი ევროლიგის „ოთხთა ფინალის“ უძვირფასეს მოთამაშედ და ევროპის საუკეთესო კალათბურთელად აღიარეს. ამდენად, მაშინდელი „ოლიმპიაკოსის“ წარმატება პირდაპირ იყო დაკავშირებული დღეს 35 წლის და 185-სანტიმეტრიან ამერიკელთან.



1997 წელი. ოლიმპიაკოსელი დევიდ რივერსი ევროპის ჩემპიონთა თასით

რივერსმა კარიერა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნოტრ დამის უნივერსიტეტში დაიწყო. 1988 წელს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციის დრაფტში 25-ე ნომრად აიყვანა „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“. მომდევნო სეზონი კალათბურთელმა „ლოს ანჯელეს კლიპერსში“ გაატარა, მერე კი სამი წლით კონტინენტურ საკალათბურთო ასოციაციას მიაშურა. 1993 წლიდან რივერსი ევროპაშია. უთამაშია ფრანგულ „ანტიბში“, ბერძნულ „ოლიმპიაკოსში“, იტალიურ „ტიმსისტემში“ და თურქულ „თოფაშში“. გამხდარა საფრანგეთის, საბერძნეთის და თურქეთის ჩემპიონი. იტალიასა და თურქეთში თასებიც მოუგია.

## ნეთსს სამგზის ჩემპიონი გაწვრთნის

„ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ ᲜᲔᲗᲡᲘᲡ“ მფლობელმა ლუის კაცმა და პრეზიდენტმა როდ თორნმა დიდი ფიქრის შემდეგ გუნდის გაწვრთნა ბაირონ სკოტს შესთავაზეს. ამის შესახებ მათ ორშაბათს აცნობეს სკოტს, რომელიც სამშაბათს საკრამენტოდან ნიუ ჯერსიში ჩამოფრინდა. კლუბის ოფისში შესული სკოტი ერთ საათში უკან გამობრუნდა, ოღონდ „ნეთსის“ მთავარი მწვრთნელის რანგში.



ბაირონ სკოტი

39 წლის ბაირონ სკოტი წარსულის დიდი მოთამაშე იყო. იგი 80-იანი წლების ლეგენდარული „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ძირითადი მსროლელი გახლდათ. სამჯერ იყო ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი (1985, 1987, 1988) და ამ წარმატებებს მეჯიქ ჯონსონის და ქარიმ აბდულ ჯაბარის მხარდამხარ მიაღწია. სკოტმა 14 სეზონი გაატარა პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში, აქედან 11 სეზონი „ლეიკერსში“ იყო, ორი — „ინდიანა პეისერზში“, ერთი — „ვანკუვერ გრიზლიზში“. იგი 13 პლეი ოფის მონაწილეა, სადაც 183 მატჩი ჩაატარა. ეს ლიგის ისტრიაში მეხუთე შედეგია. პლეი ოფში სკოტზე მეტი ქარიმ აბდულ ჯაბარს, დენი ეინჯს, მეჯიქ ჯონსონს და რობერტ პერიშს უთამაშიათ.

კარიერის დამთავრების შემდეგ (1997) სკოტმა ერთი წელი დაისვენა და მერე ორი სეზონის განმავლობაში „საკრამენტო კინგზის“ მწვრთნელის თანაშემწედ. იმუშავა. „ნიუ ჯერსის“ ხელმძღვანელობა კმაყოფილია სკოტის გადმოყვანით. ლუის კაცის აზრით: „ბაირონი სრულად აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს. მას საჩემპიონო გამოცდილება და სული აქვს. ვიმედოვნებთ, იგი „ნეთსსაც“ აქცევს საჩემპიონო გუნდად“.

საინტერესოა, რომ ბაირონ სკოტი უთავკაცოდ დარჩენილი „ინდიანა პეისერზის“ მწვრთნელობის უპირველეს კანდიდატად ითვლებოდა, მაგრამ „ნეთსმა“ მოასწრო და გადაიბირა.


## ქირავდება

ერთოთახიანი, იზოლირებული,
კეთილმოწყობილი ბინა ქავთარაძის ქუჩაზე

☎ 931572



# შენ ვარჯიშობდი იმ ღამეს, მერი...



მწვრთნელ-შეგირდი:
ვახტანგ იაგორაშვილი და მერი ბეტი

რომანტიკოსი მწერალი მისტერ და მისის იაგორაშვილების ცხოვრების ისტორიიდან მშვენიერ რომანს გამოადნობდა. ვახტანგ იაგორაშვილი საქართველოშია დაბადებული, მისი ცოლი, მერი ბეტი ვისკონსელია. დღეს ისინი თანამედროვე ხუთჭიდში ურთიერთთანამშრომლობის იდეალურ ნიმუშებს წარმოადგენენ და სიუჟეტიც ამ ფაქტზე აიგებოდა.

წყვილმა ჯვარი გასული წლის აგვისტოში დაიწერა, თუმცა მათი ურთიერთობები გაცილებით მეტი ხნისაა. მერი მეუღლეზე 10 წლით უმცროსია, ხოლო მისმა კარიერამ სწორედ 35 წლის ვახტანგის გაცნობიდან (1998 წელს) შეიცვალა იერსახე. კოლეჯში სწავლის დასრულების შემდეგ მერი ტექხასის შტატის სან ანტონიოს საწვრთნელ ბანაკში მივიდა, სადაც ვახტანგი ვარჯიშობდა და იქიდან მოყოლებული სულ წარმატებებს აღწევდა: პანამერიკული თამაშები მოიგო, ქვეყნის ჩემპიონი გახდა და ახლა ოლიმპიური გუნდის წევრიცაა, სექტემბერში სიდნეიში გამოვა.

ვახტანგი? ვახო (როგორც მას მოფერებით ეძახიან) სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოსმედალოსანია, არც სიდნეიში იქნებოდა იგი ადვილად დასაბრიყვებელი. იაგორაშვილის ამერიკის ნაკრებში მოხვედრას ხელს უშლის არა მისი დაბალი კლასი, არამედ ის, რომ ცხრა წელია, ამერიკის პასპორტს ვერ ეღირსა. ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, შტატების ღირსება მსოფლიოს პირველობებსა და თასებზე დაეცვა, მაგრამ ოლიმპიადაზე შეუშლის, თუმცა ჯერ იქნებ რამე შეიცვალოს, ხოლო ვახტანგის ფაქტორი რომ მისი წარმატებებისთვის უმთავრესია, ამას მერი ბეტი ასაბუთებს: „ფარიკაობაში ვახო, როგორც მწვრთნელი, ძალიან მეხმარება. ეს ორივე ჩვენგანის საყვარელი სახეობაა, დანარჩენ დისციპლინებში კი ემოციურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას მიწევს. როცა საქმე ცუდად გაქვს, ჩინებული რამაა, გვერდით ისეთი კაცი გყავდეს, ვინც გაგიგებთ, ვინც იცის შენი აზრებისა და გრძნობების შესახებ დაბოლოს, ვინც საჭიროების მიხედვით, შეგახურებს კიდეც. ხანდახან ვფიქრობ, რაღაცას კარგად თუ ვერ გავაკეთებ, მას მაინც თუ ვეყვარები-მეთქი, მაგრამ არაფერი მსგავსი... ჩვენ გვიყვარს ერთმანეთს."

საგენტო *WORLDSPORT*



# შანსი არის, ფული?

ევროპის ხელბურთის ფედერაციას, ჩვენდა საუბედუროდ, შესარჩევი მატჩების ჩასატარებლად მაინცდამაინც იანვარი ამოუჩემებია. ცხადია, ამჯერადაც ასეა — შეღავათს არავინ გაგვიწევს.

არც ისე დიდი დრო, ზუსტად ექვსი თვეა დარჩენილი 2002 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპამდე. საქართველოს ნაკრებს წილისყრამ მეტოქეებად ბოსნია, თურქეთი და საბერძნეთი არგუნა. ასპარეზობა მისვლა-მოსვლით, ორ წრედ გაიმართება. მართალია, ჯერ ზუსტი თარიღები არ დადგენილა, მაგრამ თამაშების მიმდევრობა უკვე ცნობილია და ზაზა დოლიძის ბიჭებისთვის საკმაოდ ხელსაყრელიცაა. თავიდან კარის მეზობლებს ესტუმრებიან, მერე თურქებსა და ბერძნებს თბილისში დაუხვდებიან და ორი გასვლითი მატჩის შემდეგ ტურნირს შინ, ბოსნიასთან შეხვედრით ჩაამთავრებენ. რაც მთავარია, ჯგუფიდან პლეიოფში ორი გუნდი გადის და ჩვენებსაც ურიგო შანსი არა აქვთ, მაგრამ...

ტვინისსაჭყლეტი ისევ და ისევ ფულის შოვნის პრობლემაა. ამასთან, მარტო უცხოეთში გასამგზავრებლისა არა, აქაც, თბილისშიც ბლომად დასჭირდებათ მსაჯ-მეტოქეთა სამასპინძლოდ, თან იმხელა სპორტის სასახლეს გათბობა ხომ უნდა (თუნდაც ბევრად მომცრო, არმიის სპორტული კლუბის დარბაზში რომ ითამაშონ).

ერთი სიტყვით, მთავარია, ის უბედურება არ განმეორდეს, რაც წინა, მსოფლიოს ჩემპიონატის შერჩევით ეტაპზე დაგვემართა. მაშინაც ხომ ქვეჯგუფიდან გასვლის შესაძლებლობა სწორედ უფულობის გამო გაგვიფრინდა ხელიდან, რადგან უმთავრეს მოწინააღმდეგეებს ორჯერვე მათ მოედანზე ვეთამაშეთ.

დრო ჯერ არის, თუმცა არც ისე ბევრი.

გია ახალაძე



# სოტომაიორი თამასგარეში

## კუბელი ტყუილად ახტა-დახტა, სასამართლოს ვერ გადაახტა



ხავიერ სოტომაიორი ბევრ თამასას გადავლებია, სიდნეისას კი არ გაცკარეს

სრულიად კუბამ იწყინა და გაბრაზდა. გუშინწინ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის საარბიტრაჟო სასამართლომ კუბელი სიმაღლეზე მხტომელის, ხავიერ სოტომაიორის საქმეს წერტილი დაუსვა — მსოფლიოს რეკორდსმენი ორი წლით მოკვეთა. გადაწყვეტილება საბოლოოა და ვერ გასაჩივრდება. ერთი სიტყვით, სოტომაიორი 2001 წლის 30 ივლისამდე უსაქმოდ დარჩება, რაც მისგან სიდნეის ოლიმპიადის გამოტოვებას ნიშნავს. იმ თარიღამდე ორი კი არა, ერთი წელია, მაგრამ ასეც უნდა იყოს, სოტომაიორი გასული წლის ივლისში, პანამერიკულ თამაშებზე ამხილეს და დროის ათვლა იქიდან დაიწყო.

სპორტსმენის ცინცხალი რეაქცია უცნობია. გასამართლებისას იგი იქვე იყო, მონაკოში, და თორმეტსაათიან საქმის გარჩევას მოთმინებით იტანდა. გვერდით ედგნენ ალბერტო ხუანტორენა (კუბის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი და საერთაშორისო ფედერაციის საბჭოს წევრი) და კიდევ რამდენიმე მხარდამჭერი. ხუანტორენას სოტომაიორზე ამაგი აქვს, მშობლიური ფედერაცია სწორედ მისი მოთავეობით ცდილობდა მძლეოსნის გამართლებას, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციის მამებზე ვერაფრით იმოქმედა. ახლაც მხარს უჭერდა და განაჩენიც გააპროტესტა, რომელსაც ჰავანიდან წამოსული ხმებიც შეუერთა. კუბის სპორტის ინსტიტუტის თავმჯდომარემ, უმბერტო როდრიგესმა სააგენტო „პრენსა ლატინას" ბრძოლის გაგრძელების თაობაზე აუწყა და საარბიტრაჟო სასამართლოს საქმის არასრულად შესწავლაში დასდო ბრალი. ბრძოლის ფორმებზე ვერაფერს ვიტყვით, სასამართლომ ცხადად თქვა, არავითარი აპელაცია არ მიიღებაო.

სოტომაიორი კი სიდნეის გარეშე დარჩა. აფსუსია, ახლა მას მუხლი კი აწუხებდა, მაგრამ მწვანე კონტინენტზე მაინც ფავორიტებში იქნებოდა. ოლიმპიადას ერთი კარგი სანახაობა მოაკლდა.

დავით გულუა



# სკოტური ჰუკი ჰოუკელებს

შოტლანდია
ახალ ზელანდიაში

27 ივნისი, ნეპიერი

**ჰოუკის ყურე 7:24 შოტლანდია**

**ჰოუკის ყურე: 1ლ — ლოიდი; 1გ — ლეიტონი**

**შოტლანდია: 2ლ — რიდი, ლონგსტაფი; 1გ — ჰოდჯი; 4ს — შილი, ჰოდჯი (3)**

ჩვენთან გაგანია ზაფხულია და ყველა გაგრილების საშუალებებს ეძებს, სამხრეთ ნახევარსფეროს კი შუა ზამთარი უდგას და თუ თბილად არ ჩაიცვი, შეიძლება გაცივდე კიდეც. სწორედ ზამთრის გამო იყო, შოტლანდიელებს ტურნეს მეექვსე მატჩის ჩატარება საკმაოდ ცუდ კლიმატურ პირობებში რომ მოუხდათ. თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში გადაუღებლად წვიმდა, თუმცა ბრიტანულ ამინდს შეჩვეულ სკოტებს ამან ხელი სულაც ვერ შეუშალა, მათ მეორე გამარჯვება მოიპოვეს. დანარჩენ ოთხ მატჩში ერთი ფრე და სამი წაგება აქვთ (აქედან ერთი ტესტში). ტურნეს ბოლო შეხვედრა კი „ოლ ბლექსთან" 1 ივლისს გაიმართება.

სტუმრებმა საკმაოდ კარგად ითამაშეს, განსაკუთრებით ხელით. მათი დაცვაც ისე სუსტი აღარ იყო, როგორც ახალზელანდიის ნაკრებთან, როცა 11 ლელო გაუშვა. თუმცა ხანდახან მაინც ჩნდებოდა ბზარები. „პატარა შეცდომები გვქონდა, მაგრამ ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, რადგან წინა შაბათის მწარე მარცხის შემდეგ მთავარი გამარჯვება იყო" — თქვა შოტლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა იან მაკგიჩენმა.

მისი შეგირდები პირველ ტაიმშივე დაწინაურდნენ, როცა როლანდ რიდმა ლელო, ხოლო ახალგამომცხვარმა კაპიტანმა გრემ შილმა საჯარიმო გაიტანეს. თუმცა ქულების მოხვეჭაზე მთავარი იყო ის, რომ მეტოქეს არ დანებდნენ. არადა, მასპინძლებს ორი მშვენიერი სალელოე მომენტი ჰქონდათ.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა დანკან ჰოდჯმა იყოჩაღა. მან სამი საჯარიმო და შონ ლონგსტაფის ლელოსთვის დანიშნული გარდასახვა შეაგდო და მისი გუნდი 24:0 დაწინაურდა. ჰოუკის ყურის ნაკრებს პრესტიჟის ლელოთიღა მოუწია დაკმაყოფილება. შოტლანდიამ ერთი შეხედვით კარგად კი ითამაშა, მაგრამ „ოლ ბლექსთან" მომავალ ტესტში კიდევ ერთხელ შერცხვენას რომ გადაურჩნენ, ასეთი თამაში სულაც არ იქნება საკმარისი.

# ბეილი უკეთ ითვლის



დონოვან ბეილიმ (194) ლუცერნში ძველებურად ირბინა

კანადელმა სპრინტერმა დონოვან ბეილიმ გუშინწინ შვეიცარულ ლუცერნში 100-მეტრიანი დისტანცია დიდი უპირატესობით მოიგო და, რაც მთავარია, ყოველი ათი მეტრის გასარბენად საშუალოდ წამზე ნაკლები დახარჯა. 9 წამი და 98 მეასედი სეზონის მეორე შედეგია და მსოფლიოს რეკორდსმენის, მორის გრინის წლევანდელ საუკეთესო მიღწევას მხოლოდ შვიდი მეასედით ჩამორჩება. ბეილიმ უახლოესი მდევრებიც დიდად დაჩაგრა: ამერიკელი კენი ბროკენბერის შედეგი 10,20 წამი იყო, ხოლო ბერნარდ უილიამსისა — 10,27.

„თავს ძლიერ მსუბუქად ვგრძნობ — თქვა შემდეგ ბეილიმ — ვატყობ, ტრავმა წარსულს ჩაბარდა". ის ტრავმა აქილევსის მყესისა იყო, რომელიც კანადელმა ორი წლის წინ მიიღო და ატლანტის ოლიმპიადაზე მსოფლიოს რეკორდის ავტორი კინაღამ დააკოჭლა.

ბეილის უახლოესი გეგმა ლოზანაში რბენას ითვალისწინებს, უფრო შორი კი — 9,80 წამიანი ზღვრის დაძლევას. სარეკორდო ფიქრებზეა ლაპარაკი,

ბეილი ირწმუნება, რომ თუ უფრო ბეჯითად ირბენს და ივარჯიშებს, ამას აუცილებლად მიაღწევს.

ესეც სიდნეის ოლიმპიადის კიდევ ერთი ფავორიტი.

დავით გულუა

# ავსტრალიაში მწვრთნელებს კარი გაუღეს

ზე 12-ის მონაწილე სამი ავსტრალიური გუნდიდან ორს ახალი მწვრთნელი ჰყავს. ბრისბენმა წლევანდელი ტურნირი საჩემპიონო ამბიციებით დაიწყო, მაგრამ საბოლოოდ მეშვიდე ადგილს დასჯერდა და ნახევარფინალს მიღმა დარჩა. ასე რომ, მისი ხელმძღვანელებს სიახლე სურდათ. თანაც ბრისბენელთა თავკაც ჯონ კონოლის კონტრაქტის ვადაც გაუვიდა. თუმცა მის გაგდებას არავინ აპირებდა, ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ ამის შესახებ კრინტიც არავის დაუძრავს. მთავარი მწვრთნელის პოსტის დასაკავებლად კლუბის უფროსობამ ოთხი კანდიდატურა განიხილა — ნაოლბლექსარი გრანტ ბეტი, ავსტრალიის ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელი ტომ ბარკერი, ყოფილი „ვოლაბი" მარკ მაკბეინი და ჯონ კონოლი. საბოლოოდ ყველას მაკბეინი ამჯობინეს, რომელსაც მორაგბეობისას ბრისბენელთა ღირსება 67-ჯერ დაუცავს. ეს ბოლო 50 წელში ბრისბენის მეოთხე (მხოლოდ!) მთავარი მწვრთნელია. კონოლი ამ თანამდებობაზე 12 წელი მუშაობდა.

ორშაბათ საღამოს სიდნეიმაც დაითხოვა მწვრთნელი. იან კენედის კიდევ ერთი წლით აკავშირებდა კონტრაქტი გუნდთან, თუმცა ზე 12-ში მეცხრე ადგილი (5 მოგება, 6 წაგება) მას არ აპატიეს და ვადამდე გაათავისუფლეს. სიდნეის თავკაცებმა კენედის შემცვლელი იქნებ შეიგულეს კიდეც, მაგრამ საზოგადოებას მის სახელს ჯერჯერობით არ ამცნობენ.

გაიოზ თალაკვაძე


**იყიდება ან ქირავდება**

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით

ტელ: 60-21-23



ცურვა

# ლონგ ჯონმა მსოფლიო გადარია



სპორტული სამოსის მწარმოებელი ფირმები თავიანთ ლაბორატორიებში ნიადაგ მუშაობენ ისეთი საცურაო კოსტიუმის შექმნაზე, რომელიც სპორტსმენებს ცურვისას წყლის წინაღობის დაძლევას გაუიოლებს.

ყველაფერი კი ოთხი წლის წინათ დაიწყო, როდესაც ამგვარი კოსტიუმის მეცნიერული დამუშავების იდეას ხელი მოკიდა ისეთმა ცნობილმა ფირმამ, როგორიცაა „სპიდო“. ფირმის თანამშრომლებმა შეიმუშავეს ისეთი საცურაო კოსტიუმი, რომელიც ზვიგენის კანს წააგავს, სპორტსმენს კისრიდან ფეხის ტერფამდე ფარავს და წინაღობას 3 პროცენტამდე ამცირებს.

„ლონგ ჯონს“, როგორც ამ საცურაო კოსტიუმს უწოდებენ, შექმნის დღიდანვე გამოუჩნდნენ მომხრეებიცა და მოწინააღმდეგენიც. ეს უკანასკნელნი აცხადებენ, რომ „ზვიგენის კანს“, იგივე „სლიკინა კანს“ (ასეც უწოდებენ მას) არავითარი კავშირი არა აქვს სპორტთან, რადგან იგი მოცურავეს ხელს უწყობს უკეთესი შედეგის ჩვენებაში, რაც ცურვის საერთაშორისო ფედერაციის (ფინა) მიერ წესდებით აკრძალულიაო.

„ასპარეზობაზე არ დაიშვება მოცურავე, რომელიც სათვალეების გარდა გამოიყენებს თუ ჩაიცმევს სხვა ნებისმიერ სამოსსა თუ მოწყობილობას, რომელიც მას მეტი სისწრაფის განვითარებაში და ამტანობაში დაეხმარება (მაგალითად, აპკიანი ხელთათმანები, ფარფლები, საცურაო აპკი და ა.შ.)“ — ვკითხულობთ ფინას წესდებაში. თუმცა, იგივე ფინამ განაცხადა, რომ „ლონგ ჯონი“ არ შეიძლება ჩაითვალოს დამხმარე ხელსაწყოდ, რადგან ახალი ტექნოლოგიური კოსტიუმი სრულიად შეესაბამება ფინას კანონმდებლობას.

ამერიკელ მოცურავეთა გუნდის ხელმძღვანელმა დენის პარსლომ ავსტრალიურ რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში ფინას გადაწყვეტილება გააკრიტიკა იმის გამო, რომ წინ არ აღუდგა ამგვარი კოსტიუმების ლეგალიზებას. მას მთავარ არგუმენტად მოჰყავს ის, რომ ასეთი კოსტიუმები არათანაბარ პირობებში აყენებს სპორტსმენებს, რადგან ეგრეთწოდებული „სლიკინა კანით“ შემოსილნი არიან მხოლოდ ელიტარული სპორტსმენები, კერძოდ ავსტრალიელები. თანაც, კომპანია „სპიდო“ ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტის სპონსორია.

ისე, გასაკვირიც არის ამერიკელთა წუწუნი, თითქოს მათ ხელთ არ ეწიფებოდეთ ასეთი კოსტიუმების შეძენა, თუ გავითვალისწინებთ მის ფასს. იგი 112-დან 320 ამერიკულ დოლარამდე ღირს. ეს ძვირი სულაც არ არის მაშინ, როდესაც საქმე ეხება ოლიმპიელებს.

ამასობაში „სპიდომ“ განაცხადა, რომ 6 000 ასეთი კოსტიუმი უკვე მზადაა და მასალაც იდენტურია იმისა, რომელიც გამოიყენეს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მკლავები და ფეხები უფრო გრძელიაო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს საცურაო კოსტიუმი მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი წინამორბედისგან, „აკვაბლეიდისგან“, რაც სიტყვასიტყვით წყლის სამართებელს ნიშნავს.

საინტერესოა საცურაო სიახლის მომხრეთა მოსაზრებებიც, რომლებიც მის დაკანონებას უფრო მარტივად უყურებენ.

მსოფლიოს რეკორდსმენები იან ტორპი, სუზან ონილი, ოლიმპიური ჩემპიონი კირენ პერკინსი თვლიან, რომ შედეგს აღწევენ თავით და არა კოსტიუმით. „ლონგ ჯონით“ აღფრთოვანებას ვერ ფარავენ მსოფლიოს ჩემპიონები მაიკლ კლიმი და გრანტ ჰეკეტი, რომლებსაც სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე, სპრინტერულ დისტანციებზე სწორედ მისი ჩაცმა სურთ. მაიკლ კლიმს მიაჩნია, რომ „სლიკინა კანით“ ასპარეზობა მას ახალ შეგრძნებებს მატებს, ცნობილი რუსი სპეციალისტი გენადი ტურეცკი კი ამბობს, რომ „ლონგ ჯონი“ თავად არ დაცურავს და რომ მის ასამოქმედებლად სპორტსმენია საჭირო. ანუ რად გინდა უნაგირი, თუ ცხენი არა გყავსო.

აღსანიშნავია, რომ საცურაო სიახლის გარშემო ატეხილი მთელი ეს აურზაური ისევ და ისევ ავსტრალიელების წამოწყებულია. მათი სიფრთხილე გამოწვეულია შიშით. სიდნეის ოლიმპიადაზე „ლონგ ჯონში“ გამოწყობილი ოზების მიერ დამყარებული შესაძლო მსოფლიოს რეკორდები ვაითუ არ ჩაგვითვალონო, რადგან დამარცხებულმა სპორტსმენებმა, რომლებიც ტრადიციულ ფორმაში იქნებიან გამოწყობილნი, შესაძლოა პროტესტით მიმართონ შვეიცარიაში დაბინავებულ სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს (CAS) იმის გამო, რომ მეტოქეებმა მათზე უპირატესობას ტექნიკის გამოყენებით მიაღწიეს და რომ ოლიმპიური მედლები არათანაბარი პაექრობის შედეგად დაკარგეს.

სწორედ ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად ავსტრალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა და ცურვის ასოციაციამ ამ გაზაფხულის პირზე მიმართეს სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს, რათა საცურაო სიახლე დაეკანონებინათ, მითუმეტეს, რომ ოზების ოლიმპიადაზე 20 მედლის მოპოვება განუზრახავთ.

და აი, როგორც იქნა, სპორტის საარბიტრაჟო სასამართლომ დიდი სჯაბაასის შემდეგ გადაწყვიტა, რომ საცურაო კოსტიუმი დაეკანონებინა.

რუს ოლიმპიურ ჩემპიონს ალექსანდრ პოპოვს კი სულ არ ანაღვლებს, მისი მთავარი კონკურენტი კისრიდან ფეხებამდე ასეთ კოსტიუმში იქნება გამოწყობილი თუ არა.

— თუ უნდათ აკვალანგის ფორმით გამოვიდნენ. — განაცხადა პოპოვმა, რომელსაც 50 და 100 მეტრ დისტანციებზე თავისუფალი სტილით ცურვაში 1992 და 1996 წლების ოლიმპიადაზე ოთხი ოქროს მედალი მოუპოვებია. — მე იგი რამდენჯერმე გამოვცადე, მაგრამ არ მომეწონა. ერთხელ მის გამომგონებელს უთქვამს: „ჩვენ ამ საცურაო კოსტიუმის შექმნით გამოვიწვიეთ დიდი აურზაური, რაზეც მთელი მსოფლიო გადაირია,“ მე კი მშვიდად ვარ — დასძინა პოპოვმა.

რაც შეეხება სხვათა აზრს, ბრიტანელებმა თავიანთ მოცურავეებს ნება დართეს „ლონგ ჯონით“ თუნდაც დღესვე იასპარეზონ, ხოლო ამერიკელებმა ამის უფლება სიდნეის თამაშებამდე აკრძალეს, მათ შორის საოლიმპიადოდ შესარჩევ აშშ-ის ჩემპიონატზეც. მათი თქმით, ამგვარი გადაწყვეტილება მიიღეს ჩემპიონატის მონაწილეთა შანსების გასათანაბრებლად.

**გიგა გურასაშვილი**

აფროსნობა

# ემა კაცებს არ მამათ




იტალიელი ანდრეა განსია ინგლისელ ქალს რვა საათით ჩამორჩა

„იერეფ უან ნიუ მენ სტარის“ რეგატის აშკარა მაჩანჩალა ერთი ვინმე ფრანგი გახლავთ (გვარ-სახელი მკითხველს არაფერს ეტყვის), რომელმაც ამდენი ხნის მანძილზე ინგლისური პლიმუტიდან მხოლოდ 800 საზღვაო მილი გაცურა და ამერიკულ ნიუპორტამდე ორნახევარი იმდენი უკლია. 535 მილი დარჩა ფრანგსავე პატრიკ ფავრს, მაგრამ იმას უფრო შეიძლება მაჩაჩალა ეწოდოს. ვინმე ფრანგის იახტა მეოთხე კლასისაა, ფავრი კი პირველი კლასით მიცურავს და განა დასარცხვენად არა აქვს საქმე, უკვე რამდენიმე მეორე და მესამე კლასის იახტებმა მიასწრო ნიუპორტში შესვლა? ატლანტიკას შეჭიდებული ფავრის განსჯა ჩვენგან მაინც უმადური საქმე გვგონია, ამიტომ სხვებზე მოგეხსენებათ.

22 ივნისს ფინიშის ხაზი მეორე კლასის პირველმა ტრიმრანმა გადალახა. „ტენ ბოუნ ლეზ ანფანზე“ ფრანგი ერვე კლერი იდგა. საათნახევრის შემდეგ პირველი კლასის რომელილაც მაჩანჩალა ცალკორპუსა იახტა გამოჩნდა და კიდევ სამ საათში კლერის თანაკლასელი, თვისტომი და ერთადერთი მოქიშპე, ფრანკ ივ ესკო მიადგა ხმელეთს თავისი „დელიაჟით“. მეორე კლასის იახტათა ალლუმი ნიუპორტში მეორე დღესაც გაგრძელდა, როცა ახლა ცალკორპუსიანები გამოჩნდნენ. პირველი ბრიტანელი ემა რიჩარდსის „პინდარი“ იყო. ეს 25 წლის ლედი მეორე გახლავთ ალბიონელთაგან ელენ მაკარტურის შემდეგ, ვინც დაამტკიცა, რომ ნაოსნობის ხიბლი ინგლისში არამარტო კაცებმა იციან. რიჩარდის ფინალურმა სპურტმა ორივე მთავარი მოქიშპე უკან დატოვა: იტალიელი ანდრეა განსიას „ნასტრო აზურო“ რვა საათით ჩამორჩა, ბრიტანელი ალექს ტომპსონი კი სულაც თერთმეტით. ისინი ისეთი გამოცდილი შკიპერები არიან, ქალისგან დამარცხება არ ეკადრებათ, მით უფრო 36 წლის ტომპსონს, რომელიც ელიტარულ ნაოსნად ითვლება. ტომპსონმა კარგად დაიწყო, მაგრამ შემდეგ მისი ინტერნეტსახელიანმა იახტა „SAILTHATDREAM.COM“-მა აურია, აქეთ ანძა გადატყდა, რანჰოუტშიც დაიმტვრა რაღაც-რაღაცეები. ტომპსონი გმირულად ებრძოდა პრობლემებს და ერთხანს 34 კვანძამდე ასწია სიჩქარე, მაგრამ იახტამ ბოლოს მაინც გააწბილა. მზის ამოსვლამდე ნახევარი საათით ადრე რბოლადამთავრებული ტომპსონის შედეგი 19 დღე, 12 საათი და 32 წუთი იყო.

ნახევარ საათში ერთი პირველი კლასის მაჩანჩალაც გამოჩნდა და სულ მალე მე-3 და მე-4 კლასის გამარჯვებულები თითქმის ერთდროულად გაირკვა. თორმეტმა საათმა გაყო ერთმანეთისგან მოწინავე მესამე და მეოთხეკლასელები, ფრანგი ჟან-მარი არტო და ბელგიელი რონი ნოლე, ოღონდ მათი იახტები ცალკორპუსიანები იყვნენ. სად წავიდნენ თითქოს ადრეც გამოსაჩენი იმავე კლასის ტრიმარნები და ფრანგული კატმარანი (სულ 4 იახტა), ამაზე საინფორმაციო წყარო დუმს.

მომდევნო, ვინც ნიუპორტში შევიდა, კიდევ ერთი პირველი კლასის იახტა იყო და მის შკიპერს აღარ გაგაცნობთ, რომ არ შერცხვეს. სამაგიეროდ, სხვა ფინიშს მიახლოებულებზე გეტყვით. საცაა, გავა ბოლოში რეგატის ერთადერთი რუსი მონაწილე, ვიქტორ იაზიკოვი, რომელიც მეოთხე კლასის ცალკორპუსიანი და ხატოვანსახელიანი იახტით ცურავს („ვეტრი პერემენ“ ქვია). იაზიკოვმა თერთმეტი წლის წინ დედამიწის მარტო შემოვლით გაითქვა სახელი, ახლა კი 304 მილი უვლია, ხოლო ამერიკელებში პირველობის მთავარ კანდიდატს, მარტინ ვან ბრეემსს — ზუსტად 500. ჩამორჩნენ საქმეში ამერიკელები.

**დავით გულუა**

ოლიმპიზმი

# ხუთი რგოლი, როგორც მაშველი რგოლი

*ეტყობა, 12-14 ივნისს გამართულმა სამიტმა დადებითად იმოქმედა ჩრდილო და სამხრეთ კორეელებზე. გეხსომებათ, ამას წინათ სამხრეთ კორეის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი კიმ უნ-იონგი ვარაუდობდა, შესაძლოა ჩრდილო და სამხრეთ კორეელები სიდნეის ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიალზე ხელიხელჩაკიდებულები გამოვიდნენო. ამასთან, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი კორეელებს აგულიანებდა და მოუწოდა, რომ ერთიანი გუნდით გამოსვლის შემთხვევაში დიდ სამსახურს გაუწევთ ოლიმპიურ მოძრაობასო.*

უნდა ითქვას, რომ კორეელებმა ყველაზე დიდი სამსახური საკუთარ თავს გაუწიეს, როდესაც მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხის მოგვარებაში ძალიან აქტიურობდნენ სამხრეთელები, რომლებიც კომუნისტური იდეებითა და შეხედულებებით გადაგვარებულ ძმებთან დაახლოების ყველაზე რეალურ ნაბიჯებს დგამდნენ. ამას ჩრდილო კორეელთა გამოხმაურებასთან ერთად რეალური შედეგიც მოჰყვა — ნახევარი საუკუნის წინათ გამიჯნული ძმები ერთიანი გუნდის ჩამოყალიბებას შეუდგნენ, რათა სხვადასხვა საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობებზე ერთად გამოვიდნენ. მეტიც, მათ გადაწყვიტეს, რომ 38-ე პარალელით გაყოფილი ქვეყნების გაერთიანების პერსპექტივაც განიხილონ.

როგორც ხედავთ, სამიტმა მოლოდინს გადააჭარბა, თუმცა ეს მომავლის საქმეა, მანამდე კი კორეელებს სპორტი დააახლოებს.

კიმ უნ-იონგს სურს, რომ გაისად იაპონიაში მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე და 2002 წლის აზიის თამაშების ზოგიერთ სახეობაში ერთი ნაკრებით იასპარეზონ, ხოლო ფეხბურთის ეროვნული ასოციაციის ხელმძღვანელის ჩუნგ მონგ-ჯუუნს კი ლიბანში, ოქტომბერში გასამართ აზიის თასის ტურნირზე და 2001 წლის მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე არგენტინაში ერთიანი ნაკრებით გამგზავრება სწადია. გარდა ამისა, მისი სურვილია, რომ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის რამდენიმე მატჩს სამხრეთ კორეასთან და იაპონიასთან ერთად ჩრდილო კორეამაც უმასპინძლოს.

— ჩვენ სამხრეთ კორეელთა წინადადებების მიმართ ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი — განაცხადა ჩრდილო კორეის სოკ-ის წევრმა იანგ უნმა.

**გიგა გურასაშვილი**

# ტურამდე მრბოლებმა შინ შეიარეს




ედი მერქსი თავის ვაჟ აქსელს ბელგიის ჩემპიონის თასს ქვეყნის მეფე ალბერ მეორისა და დედოფალ პაოლას თვალწინ გადასცემს

სულ რამდენიმე დღეღა დარჩა ველომრბოლთა უმთავრესი ტურნირის, „ტურ დე ფრანსის" დაწყებამდე და სპორტსმენებმაც უკანასკნელი მოსამზადებელი შეჯიბრები ჩაატარეს. ტრადიციულად, „ტურის" პროლოგამდე ერთი კვირით ადრე მრბოლთა უმეტესობამ თავიანთი ქვეყნების ეროვნულ ჩემპიონატებში მოსინჯა ძალა. ამიტომ, ახლა მოწინავე ქვეყნების შესახებ მოკლედ მოგახსენებთ.

დავიწყოთ საფრანგეთით. იქ ფინალურ სპრინტში „ბიგ მატის" წევრმა კრისტოფ კაპელმა იმარჯვა, რომელმაც ჟაკ დიურანს ზედიზედ მესამედ ჩემპიონობა აღარ დაანება. არადა, კაპელი ზამთარში ბრუცელოზით იყო დაავადებული და ერთი ხანობა გუნდი მის შემცვლელსაც ეძებდა, მაგრამ ბოლოს ყველაფერი კარგად დამთავრდა. რბოლა ძალიან მაღალი სიჩქარით წარიმართა (47 კმ/სთ საშუალოდ), ბევრი შეტევაც განხორციელდა, მაგრამ ბიგმატელებსა და ბონჟურელებს თავიანთი სპრინტერების ეიმედებოდათ და ლტოლვილების დასაწევადაც ძალ-ღონეს არ იშურებდნენ. გაუვიდათ კიდეც. უკანასკნელი დაწინაურებული პელოტონმა ფინიშამდე 14,3 კმ-ით ადრე ჩაყლაპა და ფინალური სპრინტიც გარდაუვალი გახდა.

გერმანიაში „ტელეკომის" კარნახით წარიმართა ჩემპიონატი. ყველაზე მრავალრიცხოვანი სწორედ ეს გუნდი იყო და რბოლის გაკონტროლება მას არც გასჭირვებია. დაახლოებით შუა გზიდან მისმა ორმა წევრმა — რალფ ალდაგმა და შტეფან ვეზემანმა შეუტიეს. მათი უპირატესობა ძალიან არა, მაგრამ მაინც იზრდებოდა და მალე წუთზე მეტიც გახდა. პელოტონი კი ამ დუეტის დასაწევად თითქმის ვერაფერს აკეთებდა, რადგან ტელეკომელები აფერხებდნენ. ფინიშამდე 300 მეტრით ადრე ალდაგმა თანაგუნდელიც ჩამოიტოვა და საბოლოოდ მას 8 წამით აჯობა. შარშანდელი გამარჯვებული უდო ბოლტსი ალდაგს წუთითა და 9 წამით ჩამორჩა. მეოთხე ადგილი კი იან ულრიხმა დაიკავა.

ბელგიის ჩემპიონატიც საინტერესო გამოდგა. აქ ხშირად აქსელ მერქსი (მაპეი) უტევდა და მისმა იერიშებმაც სასურველი შედეგი გამოიღო. მერქსი დანარჩენებს ბოლო 8 კილომეტრზე გაექცა და ფინიშს სხვებზე 31 წამით ადრეც უწია. 30 წლის შემდეგ ბელგიის ჩემპიონი ისევ მერქსი გახდა. 1970 წელს ეს პატივი ლეგენდარულ ედის (აქსელის მამას) უკანასკნელად რგებია წილად.

ყველაზე დიდი შანსი ესპანეთში გაჩემპიონებისა გონსალეს დე გალდეანოს ჰქონდა. მიზეზი მეტად უბრალო იყო — რბოლაში ორი ამ გვარის კაცი მონაწილეობდა (ალვარო და იგორი). ასეც მოხდა. უფროსმა ძმამ უმცროსსაც აჯობა და ყველა სხვა დანარჩენსაც. ფინიშამდე 12 კილომეტრით ადრე „ვიტალიციოს" წევრი შეტევაზე გადავიდა. მერე მდევრების იერიშებსაც გაუძლო და ფინიშზე 9-წამიანი მარაგით მივიდა.

იტალიაში მარკო პანტანიმ უარი თქვა ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობაზე, აქაოდა „ტურისთვის" ჩემეული გეგმით ვემზადები, რომელიც მანდ გამოსვლას არ ითვალისწინებსო. იტალიურ პელოტონში მეორე დიდ მრბოლს, მარიო ჩიპოლინისაც ვერ შენიშნავდით, მაგრამ მისი არყოფნა ტრავმით იყო გამართლებული. ფინალური სპრინტი არც იქ გამართულა. „მაპეის" მიკელე ბერტოლიმ მარტოობაში უწია ფინიშს და ოქროს მედალიც მოიპოვა.

ჰოლანდიაში სპეციალისტთა მოლოდინი გამართლდა — „რაბობანკის" წევრმა იმარჯვა, მაგრამ პატარა სიურპრიზი მაინც მოხდა. 1997-98 წლების ჩემპიონ მიკაელ ბოგერდს ლეონ ვან ბონმა აჯობა, იგი კოოს მოერენჰოუტთან ერთად გაექცა პელოტონს და სპრინტში თანამგზავრზე უკეთესიც გამოდგა. დანარჩენებმა მოწინავე დუეტთან წუთი და 10 წამი დათმეს.

შვეიცარიაში ჩემპიონის ვინაობა კი საფრანგეთის მსგავსად ჯგუფურ სპრინტში გადაწყდა და იქაც რაბობანკელმა გაიმარჯვა. რბოლის ლიდერად კარგა ხანს რჩებოდა ლტოლვილთა პატარა ჯგუფი, რომელშიც „შვეიცარიის ტურის" ახლახან მომგები ოსკარ კამენზინდი და ალექს ცულეც იყვნენ, მაგრამ მათ ბოლომდე ვერ გაძლეს და ფინიშამდე რამდენიმე კილომეტრით ადრე პოზიცია დათმეს. ოქროს მედალი კი მარკუს ზბერგის ნადავლი გახდა.

**გაიოზ თალაკვაძე**

## ეროვნული ჩემპიონატები

საფრანგეთი

1. კრისტოფ კაპელი; 2. ჟაკ დიურანი; 3. ანტონ მორენი

გერმანია

1. რალფ ალდაგი; 2. შტეფან ვეზემანი; 3. უდო ბოელტსი

ბელგია

1. აქსელ მერქსი; 2. ფრანკ ვანდენბრუკი; 3. რიკ ვერბრიუგე

ესპანეთი

1. ალვარო გონსალეს დე გალდეანო; 2. ფრანსისკო სერესო; 3. ანხელ ედო

იტალია

1. მიკელე ბარტოლი; 2. ჯილბერტო სიმონი; 3. დანიელე ნარდელო

ჰოლანდია

1. ლეონ ვან ბონი; 2. კოოს მოერენჰოუტი; 3. ერიკ დეკერი

შვეიცარია

1. მარკუს ზბერგი; 2. მარსელ სტრაუსი; 3. როჟე ბეშა

# დავუჯეროთ დირექტორს?



შაბათს 87-ე „ტურ დე ფრანსი" იწყება. ველომრბოლთა ამ უპრესტიჟულესი შეჯიბრის მოგებას, წლეულს ბევრს უწინასწარმეტყველებენ, აი, ისინიც — არმსტრონგი, ულრიხი, პანტანი, ვირანკი, ჟალაბერი, ცულე, ვანდერბრუკი, ჯულიჩი, ხიმენესი, ესკარტინი. ამ მრბოლთაგან საბოლოო გამარჯვება თუ არა, პოდიუმზე ასვლა ნამდვილად ყველას შეუძლია. ალბათ, საინტერესოა ტურნირის დირექტორის, ჟან-მარი ლებლანის აზრი ზოგიერთ მათგანზე:

ლენს არმსტრონგი ძალიან ძლიერი პიროვნება და სპორტსმენია. დაამარცხო კიბო და მერე „ტურ დე ფრანსიც" მოიგო (შარშან), საოცრებაა. ავადმყოფობამდე იგი სრულიად სხვაგვარი იყო, მხოლოდ საკუთარი ძალის იმედი ჰქონდა, გამოჯანმრთელების შემდეგ კი ძალიან შეიცვალა. ტაქტიკაც გაითავისა. ინდივიდუალურ რბოლებში ადრეც ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ, ახლა კი მთებშიც ძნელად მოეძებნება ბადალი. უდიდეს პატივს ვცემ მის პროფესიონალიზმს. იგი წლეულსაც გამარჯვების ერთ-ერთი უმთავრესი პრეტენდენტია.

იან ულრიხი ჩემთვის უპირველესად მანქანაა, მშვენიერი მანქანა. ხანდახან მგონია, რომ რასაც ის აკეთებს, უბრალო მოკვდავი ვერ შეძლებდა. იგი, უფრო ძლიერია ინდივიდუალური და მთიანი რბოლების შეჯერებისას, ვიდრე არმსტრონგი. გერმანელი ამერიკელს მთებში უფრო სჯობს, ვიდრე ამერიკელი გერმანელს ინდივიდუალურ ეტაპებზე. თუ ორივე თავის საუკეთესო ფორმაში იქნა, უპირატესობას ულრიხს მივანიჭებ. სამწუხაროა, რომ იგი უფრო თბილი და გულღია არ არის. თუმცა ეს იმ სისტემის ბრალია, რომელმაც მისგან პედლების მატრიალებელი ველომანქანა შექმნა.

მისი სრული ანტიპოდია მარკო პანტანი. მთებში მასზე უკეთესად მრბოლი არავინ მინახავს, თანაც როგორი წარმტაცი სანახავია — სულ შეტევაზე ფიქრობს. გულშემატკივრებთანაც მშვენიერი დამოკიდებულება აქვს. ძალიან მეწყინა, რომ შარშან ჩვენთან ვერ გამოვიდა. არადა, „ჯიროს" დამთავრებამდე ორიოდ დღით ადრე შეჯიბრიდან რომ არ მოეხსნათ... თუმცა შეცდომა ვის არ მოსვლია და ახლა „მეკობრის" მიმართ ისევ დიდ პატივისცემას ვგრძნობ.

ლორან ჟალაბერიც ძალიან მომწონს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად გვეჩხუბება. 1998 წლეს „ტურიც" უაზროდ მიატოვა, მაგრამ ამაზე ლაპარაკი აღარ ღირს. დიდი მუშაობის შედეგად იგი ერთ-ერთი საუკეთესო ინდივიდუალისტი გახდა. მთებშიც კარგად გამოდის, ოღონდ მხოლოდ 1800 მეტრ სიმაღლემდე, უფრო ზევით კი უჭირს. ძალიან შეცდა, როცა თავი დაირწმუნა, რომ „ტურის" მოგება არ შეეძლო. კარიერის ბოლოს აზრი კი შეიცვალა, მაგრამ ახლა, ალბათ, ძალიან გვიანია. თუმცა ვნახოთ".

დანარჩენებზეც თქვა ორიოდ სიტყვა ბატონმა ლებლანმა, მაგრამ ჩვენ ამჯერად ამ ოთხეულით შემოვიფარგლებით. სხვა ფავორიტებზე კი უფრო ვრცლად მერე ვილაპარაკოთ.

**გაგი გურული**



ლორან ჟალაბერი



ლენს არმსტრონგი



# ახალბედებმა სარფიანად ივაჭრეს

ამ უქმეებზე კალგარში გამართული დრაფტის ცერემონიალი ყველაზე მნიშვნელოვანი დებიუტანტებისთვის იყო — „მინესოტა უაილდისა" და „კოლუმბუს ბლუ ჯაკეტისთვის" გამოდგა.

არსებული წესის თანახმად, დრაფტამდე ერთი კვირით ადრე, ნჰლ-ის აწ უკვე მოქმედმა თექვსმეტმა გუნდმა (ნეშვილისა და ატლანტის გარდა) ეგრეთ წოდებულ დაცულ მოთამაშეთა სიები წარადგინა, რომლებშიც უნდა შეეყვანათ ერთი მეკარე, ხუთი მცველი და ცხრა თავდამსხმელი, ანაც ორი გოლკიპერი, სამი მცველი და შვიდი ფორვარდი. დანარჩენები კი დაუცველთა რიგებში მოხვდნენ, სწორედ მათგან უნდა აერჩიათ ლიგის ახალწვეულებს თავიანთი კანდიდატები. წლეულს ასეთი ჰოკეისტი, მით უფრო, ცნობილი, ბევრი იყო. თავად განსაჯეთ: ფორვარდები დუგ გილმორი, დეივ ანდრეიჩუკი, იგორ ლარიონოვი, შეინ კორსონი, რიკ ტოკეტი, მცველი პოლ კოფი, მეკარეები მაიკ ვერნონი და რონ ტაგნატი. აღარაფერს ვამბობთ მარკ მესიესა და კლოდ ლემიეზე. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, დებიუტანტებმა ამ მობერებულ და ძვირადღირებულ ვარსკვლავებთან საქმის დაჭერას თავი აარიდეს და ნაკლებად გამოჩენილი, მაგრამ უფრო სარგებლის მომტანი ჰოკეისტები აირჩიეს. და თუ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა" მაინც დაადგეს თვალი, მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგ ტრეიდები განეხორციელებინათ. მაგალითად, მინესოტამ ვერნონი აიყვანა, მაგრამ უმალ კალგარელ ფორვარდ დენ კავანაზე გაცვალა.

ოტაველი თავდამსხმელი ჯო ჟიუნო კი, რომელიც კლუბებს ხშირად იცვლის, მინესოტამ ფინიქსში ნიჭიერი ცენტრის, რიკარდ ვალინის შესაძენად გამოიყენა. „კოლუმბუსმა", თავის მხრივ, ორი საკმაოდ ძვირადღირებული მცველი — ლაილ ოდელეინი და მეტიუ შნაიდერი გადაიბირა, თუმცა მათთან კონტრაქტის გაფორმება, ალბათ, გაუჭირდება და 8 ივლისამდე, ესე იგი, თავისუფალ აგენტებად ქცევამდე შეეცდება მათ გაყიდვას.

დრაფტზე აყვანილი დანარჩენი ჰოკეისტები კი, ეტყობა, დებიუტანტთა ისტორიაში პირველი შემადგენლობის ბირთვს შეადგენენ. მათ შორის უპირველესად მეკარეები უნდა გამოვარჩიოთ. კოლუმბუსმა უაღრესად ნიჭიერი, 22 წლის კოლორადოელი მარკ დენი შეიძინა, ხოლო მინესოტამ — დალასელი მენი ფერნანდესი. საინტერესოა — დალასი ზედიზედ მეორედ ყიდის სხვა გუნდში ედ ბელფორის შემცვლელს. შარშან ეს რომან ტურეკი იყო, რომელიც ახლა სენტ ლუისში ბრწყინავს, და აი, ფერნანდესსაც მისი ბედი ეწია. როგორც ჩანს, დენი და ფერნანდესი ლიგის ახალბინადართა წამყვანი მეკარეები იქნებიან, მაგრამ მათმა გუნდებმა მდიდარი ნადავლით კიდევ უფრო გაამაგრეს ეს პოზიცია — მინესოტამ სენტლუისელი ჯემი მაკლენანი და ტამპელი საკ ბიერკი, კოლუმბუსმა კი კოლორადოელი რიკ ტაბარეჩი და ბუფალოელი დუეინ როულსონი იგდეს ხელთ დრაფტზე.

ისეთი პირი უჩანს, ახალბედებს საკმაოდ ძლიერი შემტევი პოტენციალი ეყოლებათ. ეს განსაკუთრებით კოლუმბუსზე ითქმის, რომლის ფორვარდებსაც — ჯეფ სენდერსონს, რობერტ კრონსა და სტივ ჰაინცეს 20-30 გოლის გატანაც კი ძალუძთ. ლიდერობას კი, ალბათ, ექსოტაველი კევინ დაინინი და ექსფინიქსელი დალას დრეიკი იტვირთავენ. დაცვაში, თუ გუნდი ოდელეინსა და შნაიდერს დაკარგავს, მთავარი საყრდენი, ალბათ, ბოსტონელი მატიას ტიმანდერი და დალასელი ჯემი პუშორი იქნებიან.



ჟაკ ლემერი

მინესოტას თავდამსხმელთა შორის ნაცნობი სახელი ცოტა თუ მოიძებნება. შეტევაში ყველაზე გამორჩეულნი, სენტლუისელი სკოტ პელერინი და დეტროიტელი სტეისი რისტი, თავიანთ გუნდებში მოწინავენი როდი იყვნენ, სერგეი კრივოკრასოვმა კი ნეშვილში მხოლოდ ერთი სეზონი ჩაატარა სათანადო დონეზე არც მცველები ქუხან „უაილდში". ამ ამპლუაში წამყვანი როლი, ალბათ, ყოფილ კაროლინელ კერტის ლეშაინინსა და ლოს ანჯელესში მოთამაშე შონ ოდონელს დაეკისრებათ.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ დებიუტანტთაგან ერთ-ერთს, კოლუმბუსს, დღემდე მთავარი მწვრთნელი არ ჰყავს. გუნდის გენერალური მენეჯერი, ცნობილი სპეციალისტი დუგ მაკლინი ერთბაშად რვა კანდიდატთან აწარმოებს მოლაპარაკებას. მათ შორის არიან კოლორადოს ასისტენტი მწვრთნელი, ლეგენდარული ბრაიან ტროტიე და ედმონტონის ყოფილი თავკაცი რონ ლოუ. თუმცა ყველაზე რეალურ პრეტენდენტებად ბუფალოელი ლინდი რაფის თანაშემწე დონ ლევერს მიიჩნევენ. მაკლინმა განაცხადა, რომ მწვრთნელს მომავალ კვირას დაასახელებს.

სამაგიეროდ, მინესოტამ უკვე გააკეთა არჩევანი. გუნდის გენერალურმა მენეჯერმა დუგ რაიზბრომ დიდი ავტორიტეტი, ჟაკ ლემერი მიიწვია. ისინი ძველი მეგობრები არიან, თავის დროზე მონრეალში ერთად თამაშობდნენ. ჰოკეისტის კარიერის დასრულების შემდეგ რაიზბრო წლების განმავლობაში კალგარის გენერალური მენეჯერი იყო, ხოლო ლემერმა მწვრთნელის პოსტზე დიდ წარმატებებს მიაღწია. მრავალრიცხოვანი ხაფანგების გამომგონებელმა 1995 წელს ნიუ ჯერსის მის ისტორიაში პირველი თასი მოაგებინა და იმედია, მინესოტასაც ანგარიშგასაწევ გუნდად აქცევს.

**სამველ ლარიბიანი**

დასაწყისი პირველ გვერდზე

გაოცებული ვადევნებდი თვალყურს, როგორ დაჩაგრა ჩოგბურთელობასთან ერთად მსახიობად და მოდელად მომუშავე ამერიკელმა მეშვიდედ განთესილი ჰიუიტი. ტყვიასავით მოწოდებებს ლამის ახლოსაც არ გააკარა, საფლავი კი საბოლოოდ ორივე მხრიდან ორხელა დარტყმებით გაუთხარა — 6:3, 6:2, 7:5.

„უბრალოდ, დღეს ერთ-ერთი იმ დღეთაგანი იყო, როდესაც არაფერი გამოგდის... წინა კვირაში კოჭი დავიშავე, რამდენიმე დღე ვერ ვივარჯიშე და ამანაც შემიშალა ხელი" — თავი იმართლა 19 წლის ავსტრალიელმა.

თითქოს ეს საკმარისი არ იყო, ჰიუიტის გელფრენდმა, 17 წლის თითქმის ამოსულმა ვარსკვლავმა კიმ კლაისტერსმა ქალთა ჩოგბურთის ვეტერანის, ბევრის (გამოიცანით, მათ შორის ვის) მიერ ასევე გამარჯვების პრეტენდენტად მიჩნეული ნატალი ტოზიას უიმბლდონურ კარიერას დაუსვა წერტილი — 6:3, 3:6, 6:2.

33 წლის ფრანგი სეზონის ბოლოს პენსიაზე გასვლას აპირებს და მით უკეთესი მისთვის. რამდენიმე თვის წინ ტოზიამ საფრანგეთში გამოსცა წიგნი „ქალთა ჩოგბურთის კულუარები", რომელშიც ლამის კოლეგა არ დატოვა, კბილი არ გაეკრა.

უიმბლდონის ყოფილ ფინალისტს WTA ტურის ნახევარი აღარ ელაპარაკება და ბევრი გაოცებულიც კია, რომ თვისტომმა ჟული ალარმა (რომელსაც მეუღლითურთ განსაკუთრებით მოხვდა), ანა კურნიკოვამ ან რომელიმე სხვამ ფრანგს აქამდე დარიშხანი არ შეურია სასმელში.

სულ იმის შიშში ყოფნა, რომ უკნიდან ვინმე მოგეპარება და ზურგში დანას ჩაგცემს, წარმატებულად თამაშს ხელს დიდად არ უწყობს. წიგნის გამოცემისას მსოფლიოს მესამე ჩოგანმა ტოზიამაც მას შემდეგ წაგებებს უხშირა და კლასიფიკაციაში დაქვეითდა.

კლაისტერსმა თავის უიმბლდონურ დებიუტზე შარშან მერვედფინალს უწია, წლეულს კი მინიმუმ კიდევ ერთი საფეხურით წაწევის შესანიშნავი შანსი აქვს — მის მკვლელ ფორჰენდებთან და ჯანიან მოწოდებასთან გამკლავებელი სატურნირო ბადის ამ ნაწილში მარი პირსის გარდა არავინ ჩანს (იმედია, ნიძლავის მოყვარულნი არც ამ პროგნოზს მიაქცევენ დიდ ყურადღებას).

საყვარელ ტურნირზე ერთეულებში უკანასკნელი მატჩის ჩატარებამ ისეთ „ჩამშვებსაც" კი აუჩუყა გული, როგორიც ტოზიაა და პრესკონფერენციაზე ჩვენს თვალწინ ცრემლიც აღვარღვარა: „როდესაც ჩემს კარიერას გავიხსენებ, ყველაზე მეტად იმაზე დამწყდება გული, რომ უიმბლდონზე ვერ ვიმარჯვე (თვალები წითლდება და წყლიანდება)... შანსი მქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენე, მეტს ველარაფეს ვიტყვი" (ისმის ოხვრა-გმინვა და სლუკუნი).

## ოქროსგულა გოლიათი

პირველ წრეში ყველაზე მეტ ინტერესს მსოფლიოს ყოფილი და, ალბათ, მომავალი პირველი ჩოგნების, ევგენი კაფელნიკოვისა და როჯერ ფედერერის შეხვედრა იწვევდა.

18 წლის შვეიცარიელი უიმბლდონის იუნიორების ჩემპიონი გახდა ორი წლის წინ, როდესაც ფინალში ჩვენებურ ირაკლი ლაბაძეს მოუგო. თამაშის მისეული, აგრესიული მანერა ზედგამოჭრილია ბალახის კორტებისთვის და არავის გაუკვირდება, ორ-სამ წელიწადში ახალგაზრდა შვეიცარიელი „მეიჯორის" ჩემპიონად რომ ვიხილოთ.

ჯერჯერობით კი ფედერერს გამოცდილება და ჯანი არ ჰყოფნის დიდი სლემის ტურნირებზე თავის გამოსაჩენად. აშკარად მაღალი დონის, თვალსასეირო შეხვედრაში მან არაერთი ლამაზი გათამაშება მოიგო და დაამტკიცა, რომ სუსტი ადგილი არ მოეძებნება, თუმცა მნიშვნელოვან მომენტებში ოდნავ უყურადღებოდ გაისარჯა და დაისაჯა კიდეც.

სოჭელმა ჟენიამ თავის მხრივ უჩვეულოდ ბევრი, 14 ორმაგი შეცდომა დაუშვა, მაგრამ ზუსტი მიღებისა და ბადესთან დროული გასვლების წყალობით დამაჯერებლად იმარჯვა — 7:5, 7:5, 7:6 (8:6).

კაფელნიკოვთან შეხვედრის იმედით ორ რუს ჟურნალისტთან ერთად კარგა ხანს ვიცადე ინტერვიუსთვის გამოყოფილ ადგილზე. ამასობაში ფედერერისთვის კითხვების დასმის შანსიც დავკარგე, ერთ-ერთმა მომსახურემ კი გვითხრა, გაუგებრობა მოხდა, ევგენი კითხვებზე პასუხის გაცემას არც აპირებდაო.

სოჭელის თანამემამულეებისგან გავიგე, კაფელნიკოვისთვის ჟურნალისტების „გადაგდება" ერთ-ერთი საყვარელი საქმიანობააო და გუნება დამიძმარდა.

დაკარგული დროის გამო ის-ის იყო, წუწუნს უნდა მოვყოლოდი, რომ დერეფანში მარატ საფინი გამოჩნდა. ორმეტრიანი რუსი კორტზე მეტად ფიცხი ხასიათით გამოირჩევა და კარიერის მანძილზე დამტვრეული ჩოგნების რაოდენობით ადრე თუ გვიან აუცილებლად რეკორდსმენი გახდება (შარშან 48 ჩოგანი შეიწირა), თუმცა კორტსგარეთ სრულიად განსხვავებულია.

მარად მღიმარმა მარატმა ლამის ყველა იქ მყოფს ჩამოართვა ხელი და მოიკითხა, ინტერვიუზეც დიდი სიამოვნებით დათანხმდა და თითქმის 40 წუთი მოთმინებით და გულახდილად პასუხობდა კითხვებს.

საფინმა, რომელმაც პირველ წრეში ესპანელი გალო ბლანკო დაამარცხა სამ სეტში — 7:6 (7:3), 6:4, 6:3, გაგვანდო, რომ მისი ბოლოდროინდელი წარმატებების თანაავტორ ანდრეი ჩესნოკოვს დაშორდა და უიმბლდონის დასრულების შემდეგ არც ახლანდელ მწვრთნელ, ლეგენდარულ ტონი პიკართან გააგრძელებს მუშაობას.

„ორივეს დიდი მადლიერი ვარ, მაგრამ ჩესნოკოვს ხასიათით ვერ შევეწყე, პიკარდი კი 65 წლისაა და მოგზაურობა ეზარება. მე ჩემი კბილა მწვრთნელი მჭირდება, ვისთან ერთადაც შემეძლება ბარში, დისკოთეკაზე წავიდე და ნაფიქრი გავუზიარო".

მარატს ირაკლი ლაბაძეზე ვკითხე და მისი პასუხით სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი: „ირაკლის ძალიან კარგად ვიცნობ, ადრე მითამაშია კიდეც მასთან, მახსოვს, დამამარცხა (აქ რუსი კოლეგა ჩაეჩხირა, ეტყობა, ლაბაძე შენზე უფროსიაო, მაგრამ როდესაც გაიგო, რომ ჩვენებური 18 წლის იყო, კარგა ხნით გაკმინდა ხმა). ის ისეთი ნიჭიერია, წესით საუკეთესოთა ოცეულში უნდა იყოს. წინსვლაში ხელი იმან შეუშალა, რომ მეტად უხეირო მწვრთნელი ჰყავდა. წლევანდელი სეზონის ბოლოს ირაკლი საუკეთესოთა ასეულში აუცილებლად შევა, ახლა მას კარგი ესპანელი სპეციალისტი ავარჯიშებს, გვარად სანჩესია".

საფინს სანჩესის სახელის გახსენებაც ვთხოვე. ასეთი ზრდილობიანი და გულღია მოთამაშე არასოდეს მინახავს — რამდენიმე წუთი ცდილობდა, გაეხსენებინა, ენის წვერზე მადგასო. ბოლოს თავად შევწუხდი და ვუთხარი, არაფერია, დიდად არც მჭირდება-მეთქი.

დამშვიდობებისას სულით და გულით ვუსურვე წარმატებები. ხელი ჩამომართვა და მადლობა გადამიხადა.

## სკანდი

მარკ ფილიპუსისს საჩოგბურთო სამყაროში ტყვიასავით მოწოდების გარდა უინტელექტობითაც გაუვარდა სახელი. როგორც არცთუ უსაფუძვლოდ ამბობენ, ავსტრალიელს თამაში და ფიქრი ერთად არც ეხერხება.

როდესაც იუნიორთა შარშანდელი ჩემპიონის, იურგენ მელცერის 6:4, 7:6 (7:3), 5:7, 6:4 დამარცხების შემდეგ „სკადი" ჟურნალისტებს გამოგვეცხადა, მეგონა, გრამატიკულ შეცდომებს დაუშვებდა და კითხვების გასაგებად ორ-სამჯერ გამეორება-განმარტება დასჭირდებოდა. არაფერი მსგავსი, პირიქით, საკმაოდ საინტერესო და სასიამოვნო მოსაუბრე გამოდგა.

**— ბოლო ხანს ძალიან შეიცვალეთ?**

— ჰო, ჩემს ცხოვრებაში ალბათ, ახალი ეტაპი იწყება. პატარა რომ ვიყავი, სწრაფი მანქანები მიყვარდა, ახლა 23 წლის ვარ და 16 მანქანა მაინც გამოვიცვალე, ყველაფერი მყავდა, რაზეც ვოცნებობდი და უკვე ყელში ამომივიდა. ყველა გავყიდე, მხოლოდ მოტოციკლები დავიტოვე.

**— რა, მანქანა აღარ გყავთ?**

— მყავს, „ფერარი", მაგრამ თავი ვერაფრით ვაიძულე, მასაც შეველიო.

**— რამდენი მოტოციკლი გყავთ?**

— თორმეტი, სამი „ჰარლეი დევიდსონი" და დანარჩენი სპორტულები (აქ სიჩუმე ჩამოვარდა). ალბათ, მითამაშა, სახლსაც ვყიდი და იქნებ ავსტრალიაში გადავდივარ საცხოვრებლად. დაახლოებით ოც აკრ მიწას ვიყიდი ყველასგან მოშორებით და იქ ვიცხოვრებ.

**— როგორ მოხდა, რომ ბორის ბეკერი თქვენს ბანაკში აღმოჩნდა?**

— რამდენიმე კვირის წინ სენტ პოლტენში მამას ვესაუბრებოდი და მოულოდნელად განვაცხადე, რა კარგი იქნება, ბალახის სეზონის განმავლობაში ბორისმა მავარჯიშოს-მეთქი. ბავშვობაში ის ჩემი კერპი იყო, ვცდილობდი, ყველაფერში დავმსგავსებოდი.

მამაჩემი იმავე საღამოს დაუკავშირდა ბეკერის ყოფილ მწვრთნელ მაიკ დე პალმერს და ჩემთან მუშაობაზე დაითანხმა. ბორისმა კი შემომითვალა, მუდმივად შენთან ყოფნის დრო არ მაქვს, ხანდახან დაგირეკავ, ან რამდენიმე დღით გეწვევით.

გადის რამდენიმე დღე, დილის 11 საათია, საწოლში ვნებივრობ და მოულოდნელად ტელეფონში ბორისის ხმა მესმის, ხომ არ გაგაღვიძეო. ცხადია, ვერ ვეტყოდი, გამაღვიძე-მეთქი და მოვიტყუე, ვითომ ვვარჯიშობდი. მე ხომ პროფესიონალი ვარ (იცინის). მითხრა, რომ ჩემს სანახავად ჩამოფრინდებოდა და შემეძლო, რაც მსურდა, ის მეკითხა და მეთხოვა. ყველაფერი ასე დაიწყო.

**— რა ზეგავლენა მოახდინა ამ ამბავმა თქვენზე?**

— ქანცის გაცლამდე ვვარჯიშობ. ადრე ვარჯიშის მერე იმდენი ენერგია მრჩებოდა, მოტოციკლზე ვსეირნობდი მეგობრებთან ერთად და ორ-სამ საათს სქეითბორდით ვერთობოდი, ახლა კი შინ მივდივარ, ტახტზე დავენარცხები ხოლმე და დედაჩემს ვთხოვ, საჭმელი მომიტანე, მანდ გამოსვლის თავი არ მაქვს-მეთქი.

ქალები. მეორე წრე: **ანე სიდოტი** (საფრანგეთი) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) 6:3, 6:4; **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — იუნგ გინ უი (ჩინეთი) 6:4, 6:1; **საბინე აპელმანსი** (ბელგია) — კრისტი ბოოგერტი (ჰოლანდია) 7:5, 3:6, 9:7; **ნატალი დეში** (საფრანგეთი) — კარა ბლექი (ზიმბაბვე) 4:6, 6:2, 6:1; **სილვია ტალაია** (ხორვატია) — მარიანა ლუჩიჩი (ხორვატია) 6:2, 6:2; **სონია ჯესალანი** (კანადა) — კონჩიტა მარტინესი (4, ესპანეთი) 6:4, 6:1; **ვინუს უილიამსი** (5, აშშ) — აი სიგუიამა (იაპონია) 6:1, 6:4, **ლიზა რაიმონდი** (აშშ) — იანა კანდარი (გერმანია) 6:2, 6:1; **ანკე ჰუბერი** (11, გერმანია) — ლუიზ ლატიმერი (ბრიტანეთი) 5:7, 6:3, 6:3; **ოლგა ბარაბანშიკოვა** (ბელარუსი) — ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) 6:4, 2:6, 6:4; **სერენა უილიამსი** (8, აშშ) — ივეტ ბასტინგი (ჰოლანდია) 6:1, 6:0; **კრისტინა ტორენს ვალერო** (ესპანეთი) — მაგდალენა გრჟიბოვსკა (პოლონეთი) 7:6 (8:6), 7:5

კაცები. მეორე წრე: **ბაირონ ბლეძი** (ზიმბაბვე) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:3, 7:5, 6:2; **ტომას ენკვისტი** (9, შვედეთი) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 7:6 (7:2), 7:6 (8:6), 7:5; **უეინ ფერეირა** (ს. აფრიკა) — რიჩარდ კრაიჩეკი (11, ჰოლანდია) 5:7, 6:3, 6:3, 7:6 (7:3); **ჟან მაიკლ გემბილი** (აშშ) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 4:6, 6:4, 6:2, 6:2; **ოლივერ როშოუ** (ბელგია) — მაგნუს ნორმანი (3, შვედეთი) 6:4, 2:6, 6:4, 6:7 (7:4), 6:1; **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — დანიელ ნესტორი (კანადა) 7:6 (8:6), 7:5, 4:6, 6:0



ნატალი ტოზიამ ცრემლიც აღვარღვარა



კიმ კლაისტერსი



მარატ საფინი



მარკ ფილიპუსისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მატე და ბღლარძუნი

პარაგვაის ნაკრები მალე ჩილესთან ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მორიგ ტურში. მზადება ფრიადი მიდის. მაგალითად, ერთმანეთს გადაფსკვნილი პარაგვაელი ბიჭები ჯგუფურად ჭიდაობენ. ჭიდაობის ელემენტებმა (მაისურის ქაჩვა და სხვა) ბოლო ხანს ფეხბურთშიც იმატა, მეგოლე-მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი მატეს წრუპავს (იქაური ჩაია ერთგვარი), რომელიც ჯანის სიმრთელისთვის კარგი ყოფილა, თუმცა ზედმეტი არაფერი ვარგა და ნაკრების ექიმის გამჭოლი მზერაც მეკარისკენ მიმართულა — საჭიროზე მეტი არ ხუხოო.



# მფრინავი ბრაზილიელი

მაღლა ფრანკაა, დაბლა — ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელები,ირგვლივ კი „მარაკანას" ტრიბუნები. ფრანკასთვის ურუგვაისთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში ნაკრებში დღე პირველი იქნება, ამიტომ ამხანაგებმა დროულად მონათლეს, ოღონდ ფეხბურთელის ბაყვს ჩაჭიდებული ხელები ვერ ჩანან მრავლად და დაბლა ბრაგვანი არ გაადინოს იმ შეჩვენებულმა! დამჭერებს ყურადღებით ყოფნას ვურჩევთ.





# მჭმუნვარე გრაფი

შტეფი გრაფს ისეთი ნაღვლიანი გამოხედვა აქვს, კაცი შეიცოდებს. არადა, იქნებ ადრე ცოტა საბრალოც ყოფილიყო პირადი ცხოვრების რიგ მოუწყობლობათა გამო, ახლა კი მის წარბთშორის შეყრილი ნაოჭები უადგილო ჩანს — შტეფის ცხოვრების თანამგზავრი ანდრე აგასი დღევანდელი ჩოგბურთის მეფეა და უიმბლდონზეც თავისი გოგოს თვალწინ პირველ წრეში ვინმე ტეილორ დენტი დაამარცხა. უყვართ კიდეც ერთმანეთი... ანუ, გაიღიმეთ გრაფ!

# იყიდება...

— აბა, კარგი, ნამდვილად კარგი მაისურები აქეთ... ეს კოლუმბიის ნაკრების, ესეც არგენტინისა... მობრძანდით, შეიძინეთ, თორემ კოლუმბია შესარჩევ მატჩს არგენტინას მოუგებს და ჩვენებური მაისურები ერთიორად გაძვირდება... რა ბრძანეთ? არგენტინამ რომ მოიგოსო? ბოგოტაში ვართ, ჩემო ბატონო... კარგით, ჯანდაბას, არგენტინის მაისურა იყოს...




REUTERS



# ბრინჯაოს აკრობატები

ჯილიან მიჩელი „აკრობატებად" წოდებულ თავის ქანდაკებას ასრულებს, კვარცხლბეკის მოცემენტებაღა რჩება. მიჩელის ნაშრომი ავსტრალიის სპორტის ინსტიტუტის წინ აღუმართავთ, ხოლო ზოგიერთის საყურადღებოდ ვიტყვით — ქანდაკება სპილენძისა არ გახლავთ. ბრინჯაოსია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge